# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 27 ნოემბერი 1999 №228 (1001) | ფასი 50 თეთრი

## ქინქლაძე დერბიში №27



მაშინ, როცა გიორგი ქინქლაძე ლონდონის ისტ მიდლენდის აეროპორტში სასაზღვრო კონტროლის მიღმა ელოდა დიდ ბრიტანეთში სამუშაოდ საჭირო ვიზას, ამ ქვეყნის განათლებისა და დასაქმების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა მარგარეტ ჰოჯმა ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომელიც გიოს კვირას „არსენალის“ წინაალმდეგ თამაშის საშუალებას მისცემს.

დერბის აღმასრულებელი კომიტეტის თავკაცი კეიტ ლორინგი იმდენად დარწმუნებული გახლდათ, რომ ქინქლაძეს ჰოჯისგან პრობლემები არ შეექმნებოდა, ადგა და გიო, რომელსაც ამ გადაწყვეტილების მიღებამდე ინგლისში ყოფნის ნება არ ჰქონდა, ამსტერდამიდან ლონდონს ჩაიყვანა. გადაწყვეტილებასაც იქვე დაალოდა.

ლონდონის დროით ორს რომ თხუთმეტიწუთი აკლდა, აეროპორტში მობილური აწკრიალდა და მომლოდინეთ სასიხარულო ამბავი ამცნეს.

ქინქლაძე გუშინვე „პრაიდ პარკზე“ წაიყვანეს, სადაც სეზონის ბოლომდე გაუფორმეს „დერბი ქაუნთისთან“ კონტრაქტი და ჩიჩიო ბაიანოს ნაქონი №27 მაისურა უბოძეს.

ქინქლაძე, რომელიც ინგლისურ „დერბიში ქაუნთიში“ ამსტერდამის „აიაქსიდან“ გადავიდა, ახალი მწვრთნელის ჯიმ სმიტის თქმით, კვირას „ჰაიბერიზე“ „არსენალთან“ მატჩისას ალბათ ითამაშებს.

**დავით მჭედლიშვილი ლონდონიდან**

## პელეს საიდუმლო

რატომ არ ითამაშა ფეხბურთის მეფემ 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე

## ჯიგრის ამბავი შენიას ჰკითხეთ

კაფელნიკოვმა თქვა, ენვისტს მოვუგებო და...

## EXCLUSIVE

# ასკარა დაუჯერებელი



ბადრი კოპალიანის ფოტო

ყველაფერი ლევან მიქაძის (№15) ამ გაფრთხილებით დაიწყო

„ლოკომოტივი“ „დინამო“. გახმაურებული მატჩი. ალბათ, გახსოვთ, რაც მოხდა ამ მატჩისას და მატჩის შემდეგაც. „ლოკომოტივმა“ სადისციპლინო კომიტეტში შეიტანა საჩივარი, აქაოდა, მატჩის გადავათამაშოთ, მსაჯმა გურამ ასკაროლლიმ თამაში დროზე ადრე დაამთავრაო. „ლოკომოტივი“ დაუკმაყოფილებელი დარჩა. შემდეგ რკინიგზელებმა საააპელაციო კომიტეტს მიმართეს საქმის გასარჩევად, კვლავ უშედეგოდ — „ლოკომოტივ“ „დინამოს“ 1:2 არ გაუქმებულა.

მთელი ეს სკანდალი, ავიოტავი კი ერთი კაცის, იმ მატჩის მსაჯის, ქარელელი გურამ ასკაროლლის მიერ რკინიგზელთა კარში დანიშნულ პენალტს მოჰყვა. თამაშის მთავარი მოქმედი პირიც სწორედ ის გამოდგა. ფიზიკურადაც შეურაცხყვეს „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებმა. მერე? მერე ასკაროლლი ფეხბურთის ფედერაციამ სამი თვით დასაჯა, უხეში შეცდომები დაუშვა მატჩისასო, თქვეს. მერე? მერე, ამ გახმაურებული მატჩის შემდეგ „ლოკომოტივმა“ თითქმის დაკარგა საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის შანსი. მერე? მერე გურამ ასკაროლლი შინ, ქარელში წავიდა და მას შემდეგ თბილისში აღარ გამოჩენილა. მანამდე კი მსაჯმა სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე უპრეცედენტო განცხადება გააკეთა — მატჩი ნაწყობილი იყო! თამაშამდე ჩემთან უცნობი პიროვნება მოვიდა და ჯიბეში ქაღალდი ჩამიდო, მითხრა, ფედერაციაში ყველაფერი იციანო — თქვა მსაჯმა.

გურამ ასკაროლლიმ გუშინ „სარბიელს“ თავად უთხრა... და არა მარტო ამ მატჩზე.

იხილეთ მეორე გვერდი

# თამაშის ჩაშლას რა უნდა?!

# ასკ — დათვები

### არმიელთა მეთაურმა ლევან მგელაძემ მოულოდნელი მანევრი ჩაატარა

*მატჩის დამთავრების შემდეგ მეთვალყურემ ოქმში ჩაწერა: „თამაშის მე-20 წუთზე ასკ-ის (თბილისი) მწვრთნელი შევიდა სტადიონზე, ჩამოხსნა ძელები. თამაში ჩაიშალა, ანგარიში 26:0 იყო „დათვების“ სასარგებლოდ“...*

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი



ბადრი კოპალიანის ფოტო

NO COMMENT: ლევან მგელაძემ ძელები ჩამოხსნა

# ასკარა დაუჯერებელი

## ნაცნობი პრობლემა: უცნობი და მსაჯები

**— თანმიმდევრობით მივყვეთ მოვლენებს. თქვენ თქვით, რომ „ლოკომოტივ“ — „დინამოს“ მატჩამდე უცნობმა ჯიბეში ქაღალდი ჩაგიდოთ. უფრო დაწვრილებით, თუ შეიძლება: რა ეწერა იმ ფურცელზე და რა გითხრათ იმ კაცმა?**

— დავიწყებ იქიდან, რომ „ლოკომოტივ“ — „დინამოს“ თუ ვმსაჯობდი, მატჩის დღეს, თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე გავიგე. მიუხედავად ამისა, ეროვნულ სტადიონზე ორი საათით ადრე მივედი. შესასვლელშივე ორი პიროვნება დამხვდა, გვერდით გამიყვანეს და ჯიბეში ბარათი ჩამიდეს, მითხრეს, თამაში ჩაწყობილია, ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტში ყველაფერი იციან, მათთან პასუხისმგებლები ჩვენ ვართო. ფურცელზე კი „ლოკომოტივის“ სამი ფეხბურთელის — ბალაშვილის, რუსიასა და მიქაძის გვარები ეწერა, ესენი არ გააფრთხილოო.

**— შემდეგ?**

— შემდეგ შევედი მსაჯთათვის განკუთვნილ ოთახში და ჩემს თანაშემწეებს ყველაფერი ვუამბე. ჩვენ ასეთი წესი, ჩვევა გვაქვს, ერთმანეთს ყოველთვის ვეუბნებით იმას, რაც მატჩთან დაკავშირებულია.

**— ალბათ, მაშინვე დაეჭვდებოდით, რომ მატჩი მართლაც ჩაწყობილი იყო.**

— თქვენ წარმოიდგინეთ, არა. ცალ ყურში შევუშვი მათი ნათქვამი, მეორეში გავუშვი. მე გამოცდილი მსაჯი ვარ და ჩემს კარიერაში ბევრჯერ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა ფსიქოლოგიური ზემოქმედების მიზნით სხვადასხვა გუნდების წარმომადგენლებს ასეთი რაღაცეები გაუკეთებიათ.

**— ის კაცები ვინ იყვნენ?**

— ლოკომოტიველები.

**— კონკრეტულად?**

— არ ვიცი.

**— ოთახში რომ შეხვედით, მერე თამაშამდე არავის შეუწუხებიხართ?**

— ერთი-ორჯერ კვლავ „ლოკომოტივის“ წარმომადგენლები შემოვიდნენ.

**— რა გითხრეს?**

— არაფერი, შემოიხედავდნენ და კარს იჯახუნებდნენ. იმაზე კი, მატჩი რომ ჩაწყობილი იყო, პირველად 85-ე წუთზე დავეჭვდი, მაშინ, როცა აშვეთია პენალტს...

**— ვიდრე წინადადებას დაამთავრებდეთ, ის თქვით, მატჩის დღეს რატომ შეგატყობინეს, რომ მსაჯი თქვენ უნდა ყოფილიყავით?**

— არ ვიცი. სხვათა შორის, დასამალი რა მაქვს, ამ ფაქტთან დაკავშირებით საყვედური ვუთხარი კიდეც სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტს. მე წინა დღით ვიკითხე, რომელი მატჩი უნდა ვიმსაჯო-მეთქი, ფედერაციაში მიპასუხეს, ხვალ გეტყვითო. დავრეკე მეორე დღეს და „ლოკომოტივი — „დინამოს“ მატჩი მომანდეს. მადლობა გადავუხადე, ტურის ცენტრალური მატჩის არბიტრად რომ დამნიშნეს.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ შეგნებულად მოხდა თქვენი ამ მატჩზე დანიშვნა? ეგებ ფედერაციაში იცოდნენ, თამაში რომ გარიგებული იყო და ასკაროლლი...**

— არა, არა მგონია. ისეთი დაძაბული ჩემპიონატია, ახლანდელი ფედერაცია ამას არ გააკეთებს.

**— დარწმუნებული ხართ?**

— თითქმის.

**— ახლა მატჩზე ვთქვათ. „ლოკომოტივის“ კარში დანიშნული პენალტის სისწორეში თუ დაეჭვებულხართ?**

— პენალტი ასპროცენტიანი იყო. სამართლიანი გადაწყვეტილება მივიღე. მე არავის ვუყურებ, არავის ვუსმენ, მსაჯის სიტყვა კანონია. იყო საჯარიმოში თამაშის წესების დარღვევა და პენალტიც დავნიშნე.

**— დანიშნეთ პენალტი. თითი პენალტის ნიშნულისკენ გაიშვირეთ. მერე?**

— ფეხბურთელები მომვარდნენ...

**— „ლოკომოტივის“?**

— დიახ, რა თქმა უნდა. მეკამათებოდნენ, პენალტი რად დანიშნეო. ვპასუხობდი, მინდა და ვნიშნავ, არის და იმიტომ-მეთქი. სიტყვას მიტრიალებდნენ, მოიცა კაცო, გაიგე... ჩემი მაინც გავიტანე, ვუთხარი, არ ვიცი, რა ხდება, პენალტია — გავიმეორე რამდენჯერმე.

**— ფეხბურთელებმა კამათისას თქვეს, რომ მატჩი ჩაწყობილიაო?**

— არა, ასეთი რამ არავის უთქვამს.

**— და პენალტის დარტყმის დროც დადგა. როგორც თქვით, სწორედ მაშინ...**

— აშვეთია ბურთს მიუახლოვდა და მაშინ მივხვდი, მატჩი რომ ჩაწყობილი იყო. დინამოელი „ლოკომოტივის“ მეკარე ასლანაძეს ეუბნებოდა, ჩემი ყურით მოვისმინე, მარჯვენა კუთხეში დაგირტყამო, მეკარემ ჰკითხა, ჩემგან მარჯვნივ თუ შენგანო, აშვეთიამ კი ხელით ანიშნა, საითაც აპირებდა დარტყმას, ბურთი ნელა გაგორდა, ასლანაძემ ვერ აიღო. დინამოელმა თავში ხელები შემოირტყა.



ასკაროლლიმ მიქაძის (№15) მოქნეული ხელი კი აიცდინა...

გეკითხებით, რა უნდა მეფიქრა?

**— თუ მიხვდით, რომ მატჩი გარიგებული იყო, რატომ დროზე ადრე არ ჩასტვინეთ, მატჩი რად განაგრძეთ?**

— ეს, ვაღიარებ, ჩემი შეცდომაა. თამაში აღარ უნდა...

**— უკაცრავად და, პენალტამდე წიხლიც მოგარტყეს ლოკომოტიველმა ფეხბურთელებმა. ფიზიკური შეურაცხყოფა მოგაყენეს.**

— დიახ, ასე იყო. მსაჯის ფიზიკურად შეურაცხყოფისას კი მატჩი უნდა შეწყდეს, თანაც ჩაწყობილი. ფიფა-უეფას კოდექსებში წერია.

**— არ შეწყვიტეთ მატჩი და კაციც ბუნებრივად დაეჭვდება, ემანდ ასკაროლლის რომელიმე გუნდის ინტერესი ხომ არ ჰქონდაო, იფიქრებს.**

— ალალად გეტყვით, დღესაც არ ვიცი, აზრზე არ ვარ, რატომ განვაგრძე მატჩი. მაშინ არც დისკვალიფიკაციას მივიღებდი, ჩემს მიმართ პრეტენზიაც არავის ექნებოდა.

**— როცა პენალტამდე მატჩის დელეგატი გია ფორცხალავა მოგიახლოვდათ, რა გითხრათ?**

— თამაშის გაგრძელება თუ შეგიძლიაო. თავი დავუქნიე.

**— მეტი არაფერი უთქვამს?**

— არაფერი.

**— თქვით, ლოკომოტიველი ფეხბურთელები როცა მოგვარდნენ, ჩაწყობილი თამაში არ უხსენებიათ. წიხლი კი ამოგკრეს. ეგ როგორ გავიგოთ, მსაჯი რამდენჯერაც პენალტს დანიშნავს, იმდენი უნდა მოხვდეს? ალბათ დამეთანხმებით, ეს იშვიათად ხდება.**

— მე ერთი გავიგე, რომელიღაც ლოკომოტიველმა მითხრა, რას აკეთებ, 23 ქულას ველარ ვაგროვებთო.

**— წიხლის დამრტყმელი ბალაშვილი მოედნიდან რატომ არ გააგდეთ?**

— არ დამინახავს, წიხლი მან თუ ჩამცხო. ალყაში ვიყავი, თითქმის მთელი „ლოკომოტივი“ თავს მეხვია. ოდნავ რომ ამოვისუნთქე, მიქაძეს ამოვუღე წითელი ბარათი. რაც დავინახე, იმის შესაბამისად მოვიქეცი.

**— რა დაინახეთ?**

— მიქაძე ჩემკენ გამოქანდა, ხელი მკრა, დარტყმაც სურდა, მაგრამ გვერდით გავიწიე. არ მომხვედრია. ბალაშვილის წიხლი კი ვიდეოფირზე დავინახე. არ მეგონა, გორელი, ჩვენს ხელში გაზრდილი ბიჭი ამას თუ გააკეთებდა, ასკაროლლის ფეხს უთავაზებდა. ჩემი თვალით რომ არ მენახა მატჩის ფირი და ვინმეს ეთქვა, ბალაშვილმა დაგარტყაო, არც დავიჯერებდი.

**— მიქაძემ სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, ასკაროლლიმ აქეთ მოგვაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფაო. მართალია?**

— და თქვენ გჯერათ? მეცალა კი ამისთვის? ერთი სული მქონდა, როდის განვერიდებოდი ლოკომოტიველებს. არა, რას ამბობთ, ისეთ მდგომარეობაში ვიყავი... რაც მიქაძემ თქვა, მის სინდისზე იყოს. ერთადერთი, რაც რკინიგზელ ფეხბურთელებს მაშინ ვუთხარი, რა გინდათ, რას მერჩით, რატომ მცემთ, ნაღდი პენალტი დავნიშნე-მეთქი. ისე, ერთიც რომ იცოდეთ, „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებმა არაფერი იცოდნენ.

**— ეგ რას ნიშნავს?**

— იმას, რომ ფეხბურთელებს მატჩის შემდეგ არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამთ ჩემს მიმართ. ხომ შეეძლოთ, 7-8 წუთის შემდეგ, თამაში რომ დამთავრდა, ისევ წიხლები დაეცხოთ ჩემთვის. ნუთუ ასე სწრაფად დაწყნარდნენ? იცით, მგონია, გასახდელში მათ ყველაფერი აუხსნეს.

**— რა აუხსნეს?**

— ...

**— მატჩის შემდეგ არც გუნდების წარმომადგენლებს შეუწუხებიხართ?**

— მხოლოდ „ლოკომოტივის“ ადმინისტრატორი და ერთი კაცი შემოვიდნენ მსაჯთა ოთახში, მთხოვეს, ოქმში დამეფიქსირებინა, რომ პენალტი არასწორად დავნიშნე.

**— გადათამაშების იმედად იყვნენ?**

— ალბათ. ეტყობა, ასე უთხრეს. მეორედ როცა შემოვიდნენ, უკვე დროზე მელაპარაკნენ, ოქმში ჩაწერე, რომ მატჩი ადრე დაამთავრეო.

**— დარწმუნებული ხართ, რომ სათამაშო დროს არაფერი დააკელით?**

— დავაკელი კი არა, მატჩი 90 წუთზე მეტხანს გავაგრძელე. რამდენიც დასამატებლად ჩავთვალე საჭიროდ, იმდენი დავამატე.

**— წლეულს უკვე რამდენჯერმე მოგაყენეს შეურაცხყოფა. რა უნდა ვიფიქროთ?**

— მე ქარლელი ვარ და პრინციპული მატჩების მსაჯობას ფედერაცია უმეტესად სწორედ არათბილისელებს ანდობს. გვენდობიან, პატიოსნები ვართ.

**— იმას ამბობთ, რომ თბილისელ მსაჯებს არ ენდობიან?**

— ამას არა, მაგრამ ხომ [illegible] გამოცდილი მსაჯია, გამოცდილებას კი დიდი მნიშვნელობა აქვს. მატჩის მსაჯობისას ბევრი რამ არის გასათვალისწინებელი.

**— კონკრეტულად?**

— მატჩი უნდა იგრძნო. სხვადასხვა ქალაქში სხვანაირად უნდა იმსაჯო. ქომაგთაც უნდა გაუწიო ანგარიში. ზოგს ხისტი თამაში მოსწონს, ჯარიმის ზღვარზე, ზოგს პირიქით, „ბალეტი“. თუმცა, ყველა შემთხვევაში, სამართლიანი უნდა იყო.

**— 1990 წლიდან მოყოლებული, ჩაწყობილი მატჩები თუ გიმსაჯიათ?**

— დიახ.

**— ბევრი?**

— ზუსტად ვერ გეტყვით, იყო რამდენიმე შემთხვევა.

**— თქვენი დახმარებით რამდენ გუნდს აუღია საჭირო ქულები?**

— ვიმეორებ, ქარლელი ვარ და ქარლის გუნდის გარდა არც ერთი გუნდი არ მესიმპათიურება.

**— ვერ დამაჯერებთ, რომ...**

— ამას ხომ დაიჯერებთ, დავუშვათ, „დინამო“ და „თორი“ შეხვდნენ ერთმანეთს, „თორის“ სასარგებლოდ ვმსაჯობდე, მაინც „დინამო“ რომ გაიმარჯვებს?

**— ჩაწყობილი თამაშების მსაჯობისას თქვენ წინასწარ გეუბნებოდნენ?**

— დიახ. გუნდების წარმომადგენლები მოდიოდნენ ჩემთან და საქმის კურსში მაყენებდნენ.

**— ესე იგი, თქვენ ყველაფერი იცოდით? როდესმე თუ გითქვამთ ფედერაციის ხელმძღვანელთათვის, ეს მატჩი გარიგებული იყოო? მატჩის ოქმში მაინც თუ დაგიფიქსირებიათ?**

— არა.

**— რატომ?**

— რა აზრი ჰქონდა. მათ ჩემზე კარგად იცოდნენ, რაც ხდებოდა.

**— დაბოლოს, სამთვიანი დისკვალიფიკაცია სამართლიანად მიგაჩნიათ?**

— არა, რადგანაც სხვები არანაკლებად შემცდარან. მე მხოლოდ ერთი შეცდომა დავუშვი „ლოკომოტივ“ — „დინამოს“ მატჩისას, ფიზიკური შეურაცხყოფისას თამაში უნდა შემეწყვიტა. „დინამოს“ კარში დანიშნული პენალტი კი, „ლოკომოტივის“ კარში დანიშნულის მსგავსად, სწორი იყო. თამაშის წესების დარღვევა აშკარა გახლდათ. აქვე ერთს გკითხავთ, ეს პენალტები რომ არ დამენიშნა, მაშინ?

**— რა მაშინ?**

— არ დამსჯიდნენ?!

*კობა ინასარიძე*
*ქარელი — თბილისი*





... მაგრამ ბალაშვილის ფეხს ვეღარ გადაურჩა

# ვლადიმერ გუცაევი: შევცდი, საქართველოს ნაკრებიდან უფრო ადრე რომ არ წავედი

ოთხშაბათს ვლადიმერ გუცაევის სამწვრთნელო კარიერაში ახალი ერა დაიწყო. საუდის არაბეთიდან დაბრუნებული გუცაევი ვლადიკავკაზის „ალანიას“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა და უკვე მუშაობასაც შეუდგა. ყოველივე ამასთან დაკავშირებით გუცაევისთვის ინტერვიუს ჩამორთმევას ორი დღის მანძილზე ვცდილობდით. ახლა ძალიან დაკავებული ვარ, მოგვიანებით დამიკავშირდითო, გვითხრა ბატონმა ვოვამ, როდესაც ვლადიკავკაზში შევეხმიანეთ, მაგრამ მას მერე მწვრთნელი ველარ მოვიხელთეთ. მკითხველის ინტერესის დაკმაყოფილების მიზნით ამჯერად გუცაევის მიერ „სპორტ-ექსპრესისათვის“ მიცემულ ინტერვიუს შემოგთავაზებთ. მითუმეტეს მასში ბევრი რამ ითქვა ისეთი, რაც ქართულ ფეხბურთს ეხება.


ბადრი კეთილაძის ფოტო

**— ბატონო ვლადიმერ, როგორ აღმოჩნდით „ალანიაში“?**

— ამაზე საუბარი ზაფხულში დაიწყო. თუმცა ეს ნაკლებმოსალოდნელი გახლდათ. უბრალოდ, გავრცელდა ხმები, რომ ვალერი გაზაევი გუნდიდან წასვლას აპირებდა. კლუბის ხელმძღვანელობამაც მაშინ დაიწყო ფიქრი ჩემზე. ახლახან, როცა გაზაევმა თანამდებობა დატოვა, კლუბისა და ჩრდილოეთ ოსეთის ხელმძღვანელობამ წინასწარ მოლაპარაკებაზე მიმიწვია. საბოლოოდ ყველაფერი იმით დასრულდა, რომ გუნდი ჩამაბარეს.

**— „ალანიაში“ უკვე მეორედ მიხვედით. პირველად გაზაევის თანაშემწედ მუშაობდით. ალბათ, ბევრი რამ გახსენდებათ ტკბილად...**

— რა თქმა უნდა. მაშინ ხომ ჩვენ რუსეთის ჩემპიონები გავხდით. 1995 წელს გაზაევმა და მისმა დამხმარეებმა შევძელით, ისეთი გუნდი შეგვექმნა, რომელსაც მთელ რუსეთში თანასწორი არ ჰყავდა.

**— როგორც ვიცით, მაშინ გაზაევმა მწვრთნელ-სელექციონერად მიგიპატიჟათ.**

— არა. ეს ფუნქცია მოგვიანებით შევითავსე. ვალერიმ 1994 წლის შემოდგომაზე თანაშემწედ მიმიწვია. როცა მომავალი სეზონისთვის გუნდის დაკომპლექტების საკითხი წამოიჭრა, მე გაზაევს რამდენიმე ქართველი ფეხბურთელის გადაყვანა შევთავაზე, რომლებსაც კარგად ვიცნობდი.

**— მაშინ სამი ქართველი ლეგიონერი მიიწვიეთ — შელია, რევიშვილი და ყაველაშვილი, რომლებიც გუნდს ჩინებულად შეეწყვნენ და სეზონიც ბრწყინვალედ ჩაატარეს, ეს თქვენს კარგ სელექციურ ნიჭზე მეტყველებს.**

— ვერ გეტყვით, რომ ეს ყველაფერი მარტო ჩემი დამსახურებაა. მე საქართველოდან საუკეთესო ფეხბურთელები ჩამოვიყვანე, შემდეგ კი მათთან მწვრთნელთა მთელი შტაბი მუშაობდა, რომლებმაც ქართველებს თავიანთი პოტენციალის გამოვლენის საშუალება მისცეს.

**— 1991 წელს სამუშაოდ კვიპროსზე წახვედით. იქ როგორღა აღმოჩნდით?**

— შეიძლება ითქვას, შემთხვევით. მოსკოვში ყოფნისას სასტუმრო „ბელგრადში“ როგორღაც ცნობილი რუმინელი სპეციალისტი ანგელ იორდანესკუ გავიცანი. ჩვენ თითქმის ერთი თაობის ადამიანები ვართ, ერთმანეთსაც შორიდან ძალიან კარგად ვიცნობდით. იგი მაშინ კვიპროსულ კლუბ „ანორთოსისს“ წვრთნიდა. იორდანესკუმაც შემომთავაზა, გუნდის გაწვრთნაში დავხმარებოდი. მეც დავთანხმდი. ერთი წლის შემდეგ იგი სამშობლოში დაბრუნდა და „სტიაუას“ ჩაუდგა სათავეში. მე კი რუმინელის ადგილი დავიკავე. კვიპროსზე სამი წელი ვიმუშავე. 1994 წელს კონტრაქტიც დამიმთავრდა. ამ დროს გაზაევიც შემეხმიანა და „ალანიაში“ გადმოვედი.

**— ვლადიკავკაზში საქმეები კარგად მიგდიოდათ, მაგრამ ერთ წელიწადში გუნდი დატოვეთ. ისევ მთავარ მწვრთნელად მუშაობა მოგინდათ?**

— დიახ. მაშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აწ განსვენებულმა პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა მიმიპატიჟა და ახალგაზრდული ნაკრების თავკაცობა შემომთავაზა. მაშინვე დავთანხმდი.

**— შემდეგ არ ინანეთ ასეთი საქციელი?**

— არავითარ შემთხვევაში. მაშინ ჩვენს ახალგაზრდულ ნაკრებში ძალიან კარგმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. გუნდში ისეთი ფეხბურთელები მყავდა, როგორებიც იაშვილი, ცქიტიშვილი, კობიაშვილი, სილაგაძე, დემეტრაძე, გვარამაძე არიან. ახალგაზრდულის კანდიდატი იყო ზაზა ჯანაშიაც, თუმცა მას ტრავმები აწუხებდა. ვთვლი, რომ შესარჩევი ეტაპი წარმატებით ვითამაშეთ. ჩვენი მეტოქეები ისეთი ძლიერი გუნდები იყვნენ, როგორებიც ინგლისი, იტალია და პოლონეთი იყვნენ. ჩვენს ჯგუფში მოხვდა მოლდოვაც. ჩვენ მეორე ადგილზე გავედით. მართალია, ატლანტის ოლიმპიადაზე ვერ მოვხვდით, მაგრამ მე შეგირდების თამაშითაც კმაყოფილი დავრჩი და მუშაობამაც სიამოვნება მომგვარა.

**— განსხვავებით საქართველოს ეროვნული ნაკრებისგან...**

— პირველ ნაკრებს 1998 წლის დასაწყისში ჩავუდექი სათავეში. გუნდიდან კი წლეულს, აპრილში წამოვედი. ნაკრებს რომ დავტოვებდი, ამის შესახებ წინასწარვე განვაცხადე. ერთს კი ნამდვილად ვნანობ — საქართველოს ეროვნული ნაკრებიდან უფრო ადრე უნდა წამოვსულიყავი. მიზეზი წმინდა საფეხბურთო არ არის. არ დაგიმალავთ, რამდენიმე ფეხბურთელთან ისეთი ურთიერთობა არ მქონდა, როგორიც საჭირო იყო. ყველაფრის მოგვარება შეიძლებოდა, მაგრამ გამოჩნდნენ ავი ენები, რომლებმაც მდგომარეობა უკიდურესად დაძაბეს. ყველაფერ ამას ძალიან მარტივი ახსნა აქვს: ახალკაცი გარდაიცვალა და დაიწყო თავდაუზოგავი ბრძოლა მისი ადგილის დასაკავებლად. წინასაარჩევნო პერიოდში არცთუ ჯენტლმენურ საქციელს ჰქონდა ადგილი. ამ დროს ბევრს ისიც აძლევდა ხელს, რომ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე კრახი განეცადა. საბოლოოდ მართალია ჩემს გარეშე, ბოსკამპის ხელმძღვანელობით, მაგრამ ყველაფერი ასეც დასრულდა.

**— ეს ინტრიგები რომ არა, როგორი შედეგი იქნებოდა?**

— დარწმუნებული ვარ, ბევრად უფრო უკეთეს შედეგს მივაღწევდით. გუნდში თამაშობდნენ ძმები არველაძეები, შელია, ჯამარაული, ის ხალხი ვისაც რეკომენდაცია არ სჭირდება. ამათ დაუმატეთ ახალგაზრდები — დემეტრაძე, წერეთელი, ისინი ხომ ტალანტებად ითვლებიან. შემადგენლობა მართლაც კარგი იყო. თუმცა ამაზე საუბარს რაღა აზრი აქვს. წარსულს ხომ ველარ დააბრუნებ...

**— ნაკრებიდან წამოსვლის შემდეგ საუდის არაბეთში აღმოჩნდით. ისევ შორეულმა საზღვარგარეთმა მიგიზიდათ?**

— ასე არ ვიტყოდი. უბრალოდ, წავედი, რათა ჩემს მეგობარ რევაზ ძოძუაშვილს დავხმარებოდი, რომელიც ერთ-ერთ იქაურ გუნდს ხელმძღვანელობდა.

**— როგორც ვიცით, თქვენ და ძოძუაშვილს მარტო მეგობრობა არ გაკავშირებთ.**

— მართალია. ჩვენ ქვისლები ვართ. თუმცა მე და რეზო ძალიან დიდი ხანია, ვმეგობრობთ. თავის დროზე ბაზაზე ერთ ოთახშიც ვცხოვრობდით. მაშინ იგი უკვე ვარსკვლავი იყო, მე კი ერთ-ერთი იმედისმომცემი ფეხბურთელი.

**— საბოლოოდ თქვენი ყოფნა არაბეთში ძალიან ხანმოკლე გამოდგა.**

— თავიდან ისე ჩავედი, კონტრაქტი არც გამიფორმებია. მინდოდა, ჯერ ყველაფერი მენახა. ერთ კვირაში მივხვდი, რომ იქ დიდხანს ვერ გავძლებდი. გაუსაძლისი სიცხე, წეს-ჩვეულებები... თუმცა ხალხი კარგი იყო. მიუხედავად ამისა, ძოძუაშვილს მოვუბოდიშე და წამოვედი.

**— წლეულს თქვენ „ალანიას“ რამდენიმე მატჩი ნახეთ. როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

— გაზაევი მაინც გაზაევია. იგი ყოველთვის სწრაფ, შემტევ ფეხბურთს ანიჭებდა უპირატესობას. გუნდიც ისე თამაშობდა, გულშემატკივარს მისი ყურება უხაროდა, თუმცა სასურველ შედეგს ყოველთვის ვერ მიაღწევ.

**— „ალანიას“ სათამაშო სქემაში რაიმე ცვლილებებს შეიტანთ?**

— გუნდში ყველაფერი კარგადაა აწყობილი, ამიტომ მხოლოდ მცირეოდენ, აუცილებელ ცვლილებებს განვახორციელებ.

**— კლუბის ხელმძღვანელობა ირწმუნება, რომ დემეტრაძის გარდა არც ერთ წამყვან ფეხბურთელს არ გაყიდის...**

— იმ ფეხბურთელთა გაყიდვა, რომლებიც გუნდს სჭირდება, გამორიცხულია. ტრანსფერზე იმათ დავაყენებთ, ვინც შემადგენლობაში ვერ მოხვდება. ზოგიერთ იმ მოთამაშესაც გავსინჯავთ, გასულ სეზონში სხვაგან რომ იყვნენ განათხოვრებულნი.

**— რუსეთში მთავარ მწვრთნელად მუშაობა პირველად გიწევთ. არ გეშინიათ?**

— მე რუსულ ფეხბურთს კარგად ვიცნობ. მუდამ თვალყურს ვადევნებდი. ინფორმაციაც ყოველთვის მქონდა. ეს კი ძალიან ბევრს ნიშნავს. ვფიქრობ, ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც ყველაფერი კარგად უნდა იყოს. ძალიან მინდა, რუსეთში ჩემი სამწვრთნელო დებიუტი იღბლიანი გამოდგეს.

ვანო ოქროპირიძე

# ალანია დემეტრაძეში 5,5 მილიონ დოლარს ითხოვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გუშინ** კიევის „დინამოს“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვლადიკავკაზის „ალანია“ ქართველ ფორვარდ გიორგი დემეტრაძეში 5,5 მილიონ დოლარს ითხოვს. როგორც არაოფიციალური წყარო იუწყება, ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტ ძასოხოვს მხოლოდ იმ პირობით გაუშვია გუნდიდან ვალერი გაზაევი, თუ ეს უკანასკნელი სარფიანად გაყიდდა გიორგი დემეტრაძეს და დაფარავდა 4,5-მილიონიან ზარალს, რომელიც „ალანიას“ გაზაევის მწვრთნელობისას დაუგროვდა.

ბოლო ინფორმაციით, როგორც გუშინაც გაუწყეთ, დემეტრაძის კიევში გადასვლის საკითხი გადაწყვეტილია, თუმცა ჯერ არავინ იცის, რამდენს გადაიხდის „დინამო“. კლუბის პრეზიდენტი გრიგორი სურკისი ვაჭრობას განაგრძობს. კიევში სწორედ ამ მიზნით იმყოფება „ალანიას“ გენერალური დირექტორი ბითაროვი.

ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ დემეტრაძის დებიუტი „დინამოში“ არ შედგება 29 ნოემბერს, როცა კიეველები დონეცკში მეტად პრინციპულ შეხვედრას გამართავენ „შახტიორთან“. შეგახსენებთ, რომ მიხეილ ფოცხვერიას გუნდს ახალი მწვრთნელი ჰყავს, ვოლგოგრადის „როტორიდან“ წასული პროკოპენკო, რომელიც აცხადებს, რომ მხოლოდ მოგება დააკმაყოფილებს.

სიმონ მენაბდე

# ნუ ეძებთ, სხვაგან იმას, რაც ჩვენშია

**კარგი** სპორტსმენის ჩამოყალიბებას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. ვინ არ იცის, რომ სავარჯიშო ინვენტარზე, ეკიპირებაზე ფიზიკურ დატვირთვასა თუ კვების რეჟიმზე და სხვაზე და სხვაზე ბევრი რამაა დამოკიდებული. დღეს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება სპორტული მოედნის მოვლა-განახლებას. ევროპაში საუკეთესო სტადიონის ცნებაში საუკეთესო მოედანიც იგულისხმება. სათამაშო მინდვრის საფარზე ყველგან ზრუნავენ, ბევრს მუშაობენ სპეციალისტები, იხარჯება დიდი თანხები და შედეგიც საუცხოოა.

ჩვენში, საქართველოში, მინდვრის მოვლა-პატრონობას, სამწუხაროდ, დიდი ყურადღება არ ექცევა. საქმე მხოლოდ მორწყვითა და ალაგ-ალაგ მწვანე საფარის განახლებით იფარგლება, რაც დღევანდელ პირობებში საკმარისი არ არის.

ხშირად გვავიწყდება ანბანური ჭეშმარიტება, რომ თითოეულ მინდორს ნიადაგის თავისი სტრუქტურა გააჩნია. ამიტომაც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსხვავებული მიდგომაა საჭირო, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია. ჩვენი ამოცანაა, ერთ სტანდარტზე დავაყენოთ ნიადაგის სტრუქტურა, რათა მერე მათი მოვლა-განახლებაც ერთ ფორმულას დავუქვემდებაროთ. პრაქტიკულად ეს ადვილი შესასრულებელია. ეკოლოგიურად სუფთა მოედანი სპორტსმენის პროფესიულ ცხოვრებას გაახანგრძლივებს და აღარ იქნება საშიში მისი ჯანმრთელობისთვის.

სპორტსმენისთვის, მეტადრე ფეხბურთელის, ჩამოყალიბება იწყება ადრეულ ასაკში. ახალგაზრდა, ანუ 17-18 წლის ჭაბუკს თამაშის ათი, ხანდახან მეტი ხნის სტაჟი უგროვდება. ათი წლის მუდმივი შეხება ეკოლოგიურად მავნე მინდვრის საფართან თვალისთვის შეუმჩნეველია, მაგრამ ფაქტობრივად, საგრძნობ უარყოფით შედეგს გვაძლევს. ხშირად გვსმენია — კარგი მონაცემების ყმაწვილმა სპორტული დაოსტატების თვალსაზრისით ზრდა შეწყვიტაო. აქ სხვა უარყოფით მიზეზებთან ერთად ეკოლოგიურად შეუფერებელი მინდვრის ფაქტორი [illegible]რის. უცხოეთში ამ სამსახურზე [illegible] თანხა იხარჯება.

საქართველოში ათი თვის მანძილზე ოფიციალურად იმართება საფეხბურთო შეხვედრები. მინდვრის საფარი, ცხადია, ასეთ ექსპლუატაციას ვერ უძლებს, საჭიროა მისი განახლება, რაც პროფესიულ ცოდნასა და მსოფლიოში არსებული მიღწევების გაზიარებას მოითხოვს.

დღევანდელი აგრომომსახურება ზემოჩამოთვლილ დაზიანებათა აღდგენას ძველი მეთოდებითა და საშუალებებით ახორციელებს. ძირითადად ეს მინერალური, აზოტური სასუქების შეტანაა, რასაც შემდგომ სპორტსმენის ტრავმის შემთხვევაში, ზიანი მოაქვს მისი ჯანმრთელობისთვის. გაზონი მარად მწვანე რომ იყოს, ამისთვის წელიწადში სულ ცოტა, ხუთჯერ უნდა შევიტანოთ მოედანზე აზოტი, ფოსფორი, კალიუმი თუ სხვა მინერალები. გარდა ამისა, როგორც მსოფლიოს გამოცდილება ცხადყოფს, მინდვრის საფარი ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც უნდა გამოიცვალოს. ასეთ ფუფუნებას კი, რა დასამალია, თვით ჩვენი უმთავრესი მოედანი, პაიჭაძის სახელობის სტადიონის მინდორიც არ მოსწრებია. აქედან გამომდინარე, შეიძლება დაახლოებით გამოვთვალოთ, თუ რა სისქის მოწამლული, შხამიანი შრე ანუ პროფესიულ ენაზე რომ ვთქვათ, ქუსლი შეიქმნა მოედანზე, რომელზეც ჩვენი ფეხბურთელები თამაშობენ. შხამიანი ქუსლის სისქე ყოველწლიურად იზრდება, რადგან ის ცუდი გამტარია და ამის შედეგად მავნე შრე იმატებს და იმატებს. დაგროვილი შხამი აქტიურდება ძირითადად სიცხეში და წვიმის დროს. სიცხე არ გვაკლია, წვიმას კი ინტენსიური რწყვა ცვლის. ასე რომ, შხამის აქტიურობა, შეიძლება ვთქვათ, უწყვეტია.

აქედან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: აზოტური და მინერალური სასუქების შეტანა სტადიონების სათამაშო მინდვრებზე უნდა აიკრძალოს. აქვე დავძენ, რომ ხსენებული სასუქი ეკონომიურადაც მიუღებელია ჩვენს პირობებში, რადგან ძვირია.

არის თუ არა გამოსავალი?

არის.

არსებობს ბიოლოგიური სასუქი „კოლხეთი“, რომელიც ეკოლოგიურად სუფთაა და ეკონომიურად ხელსაყრელი — თავის შხამიან „ძმებზე“ ბევრად იაფია და ამასთანავე, მოედანზე მისი მხოლოდ ორჯერ შეტანაც საკმარისი იქნება.

ეფექტი უკვე სახეზეა, მაგრამ როგორც ყოველთვის, ყველაფერი ახალი ჩვენში ძნელად ინერგება. თუმც „კოლხეთი“ უკვე გამოიყენეს ეროვნულ სტადიონზე, დილმის საცდელ-სავარჯიშო მინდორზე, „მერანსა“ და „არსენალის“ სტადიონებზე.

„კოლხეთი“ მზადდება სასოფლო პროდუქტების გადამამუშავებელი ქარხნების ნარჩენებზე, არ გააჩნია არავითარი ტოქსიკურობა და სავსებით უვნებელია.

ლევან ცხოვრებაშვილი

# ჩაწყობილი თამაშების ამოცნობისთვის

## ფული, რომ ეცოტავათ, აღშფოთებულებმა თქვეს — ჩვენ ხომ ჩემპიონები ვართ?!



სარბიელის არქივიდან

ახლა ბევრს ლაპარაკობენ ჩაწყობილი თამაშების შესახებ, მისი გამოძიებისა თუ ამოცნობის თაობაზე, თითქმის შეუძლებლად მიიჩნევენ გარიგებული მატჩების გაშიფვრას. ამ თემაზე ხმამაღალი საუბარი კრიმინალურ ჟანრს უკავშირდება და აუტკივარ თავს არავინ იტკიებს, არავინ რისკავს. უმრავლესობა სირაქლემას პოზას არჩევს. თუმცა არიან ისეთები, ვისაც ალალად სჯერა, რომ ეროვნულ ჩემპიონატში ჩაწყობილ შეხვედრებს ადგილი არა აქვს. გამოჩნდა ისეთიც, ვინც უზარმაზარი აუდიტორიის წინაშე ხმამაღლა თქვა — ეს თამაში გარიგებული იყოო! ამ სენსაციური განცხადების თაობაზე ფედერაციაში საგანგებო კომისია შეიქმნა, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს ის დეტალები, რომლის შესახებაც ილაპარაკა მსაჯმა ასკაროლლიმ 17 ნოემბრის სტკ-ს სხდომაზე. ეს მასალა 7 ნოემბრის „სპორტ-ექსპრესში" დაბეჭდილ წერილში — „ჩაწყობილი თამაშების ანტოლოგია" — მოყვანილ ფაქტებზე დაყრდნობით მომზადდა. მასში უამრავი საინტერესო ამბებია მოთხრობილი და ვიმედოვნებთ, რომ მისი გაცნობა უცილოდ წაადგებათ ხსენებული კომისიის წევრებს საქმის გამოძიებისას, ანაც სამომავლო მუშაობაში მსგავსი შემთხვევების მოკვლევაში.

ჩაწყობილი თამაშებისგან დაზღვეული არც ერთი ქვეყნის ჩემპიონატი არ არსებობს. ეს აქსიომაა. თუმცა, როგორც წესი, მის შესახებ ლაპარაკი უმრავლეს შემთხვევაში დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობს და სააშკარაოზე მხოლოდ რამდენიმე წლის შემდგომ გამოაქვთ. არადა, თავის დროზეც ყველა ყველაფერს ამჩნევს და ყველამ ყველაფერი იცის.

ახლა კი უპრიანი იქნება, იმ ფაქტებს გავეცნოთ, რომლებიც საბჭოთა კავშირის 70-80-იანი წლების ჩემპიონატების უცნაურ ბატალიებზე მოგვითხრობენ.

### მსაჯის რეკომენდაცია

1991 წლის შემოდგომა. გაზეთი „ფუტბოლი" ესაუბრება მსაჯ იური სავჩენკოს:

— ჩაწყობილი შეხვედრების მსაჯობა თუ გიხდებოდათ?

— იყო ასეთებიც.

— ძირითადად როგორ ხასიათს ატარებს გარიგებული მატჩი?

— უპირველეს ყოვლისა, საბრძოლო ჟინი არ შეიმჩნევა. თითქმის არა აქვს ადგილი უხეშობებს, გაფრთხილებების რიცხვი მინიმალურია. გოლებზე ფეხბურთელებს თავდაჭერილი, „კაცური" რეაქცია აქვთ. ისინი ყოველგვარი სტვენისა და კოცნის გარეშე გამოხატავენ ემოციებს...

თუმცა ერთი ასეთი შემთხვევაც მქონდა. 1981 წელს დონეცკში ადგილობრივი „შახტიორისა" და კიევის „დინამოს" მატჩს ვმსაჯობდი. თამაში ნორმალურად მიდიოდა. მე-80 წუთისთვის სტუმრები 3:1 იგებდნენ. უცებ ბოლო ათ წუთში ყველაფერი გაურკვევლად წარიმართა. კიეველთა დაცვა გაჩერდა და „შახტიორი" მის საჯარიმოში იმას აკეთებდა, რაც მოესურვებოდა. ანგარიში უკვე 2:3 გახდა. ვგრძნობ, რომ გოლი კიდევ გავა, მაგრამ ბურთი არა და არ შედის დინამოელთა კარში. და აი, მატჩის დამთავრებამდე წუთნახევრით ადრე ერთ-ერთმა კიეველმა თავი ველარ შეიკავა და მეტოქეს საჯარიმოში ეუხეშა — პენალტი, გოლი, ფრე.

მივდივარ სამსაჯო ოთახისკენ შეფიქრიანებული და... ეჭვების გაფანტვა „დინამოს" მწვრთნელმა ვალერი ლობანოვსკიმ ითავა, იმ ლობანოვსკიმ, რომლისგანაც არაერთხელ მიმიღია საყვედური. მომღიმარმა გამომიწოდა ხელი და მითხრა — აი, ასე უნდა მსაჯობა! არადა, ორიოდე წუთის წინ მისი გუნდის კარში პენალტი დავნიშნე და კიეველებს გამარჯვება გამოვტაცე. შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ლობანოვსკიმ სწორედ თერთმეტმეტრიანის გამო გადამიხადა მადლობა. ეს პარადოქსია.

კიდევ ერთი დეტალი — მწვრთნელის არაადეკვატური რეაქცია მომხდარზე.

1981 წლის 26 სექტემბერს კიევის „დინამო" ერევნის „არარატს" სტუმრობდა. მატჩი 1:1 მორჩა. მსაჯმა მარკ რაფალოვმა შეხვედრის ოქმში ჩაწერა — შეხვედრის სცენარი ძალიან წააგავდა შარშანდელ „ლოკომოტივი" — „დინამოს" (კიევი) თამაშს (1:1). ანგარიში 1:1. პირველი ბურთი ბლოხინმა გაიტანა. დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე ერევნელებმა პენალტის წყალობით გაათანაბრეს. როგორც მაშინ, ახლაც კიეველებმა განზრახ „აიკიდეს" თერთმეტმეტრიანი, შემდეგ კი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ და გადაწყვეტილებას აპროტესტებდნენ. ორივე შემთხვევაში ფეხბურთი არ იყო.

### ლობანოვსკის გუნდი

რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ჩაწყობილი თამაშების უმრავლესობა ვალერი ლობანოვსკის კიევის „დინამოს" მატჩებზე მოგვითხრობს. თუმცა ჩვენთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

დევი არკადიევის წიგნში, „ლობანოვსკის ფეხბურთი", წარსულში ცნობილი კიეველი ფეხბურთელი ვლადიმირ მუნტიანი აღნიშნავს, რომ „დინამომ" ჩაწყობილი შეხვედრების თამაში 1974 წლიდან დაიწყო, როცა გუნდში ლობანოვსკი მივიდა.

80 წლების ბოლოს კიეველმა ოლეგ ბლოხინმა „კომსომოლსკაია პრავდას" კორესპონდენტს კითხვაზე, მიუღია თუ არა მას გარიგებულ მატჩებში მონაწილეობა, უპასუხა — არ დამითვლიაო.

ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როცა ფეხბურთელები ხელმძღვანელობის წინააღმდეგ წასულან.

ეპიზოდი დევი არკადიევის წიგნიდან.

1985 წლის სეზონი კიეველებმა დნეპროპეტროვსკში სტუმრობით გახსნეს. ჯერ კიდევ მატჩამდე დაიწყო ლაპარაკი შეხვედრის სავარაუდოდ ფრედ დამთავრების შესახებ. ასეც მოხდა.

მომდევნო ტურში „დინამო" ოდესის „ჩერნომორეცს" ეწვია. სტუმართა გუნდის ხელმძღვანელები თანახმანი იყვნენ, დნეპროპეტროვსკში ნაჩვენები შედეგი გაემეორებინათ. თუმცა მწვრთნელთა საბჭოს რამდენიმე წევრმა პროტესტი გამოთქვა — უმჯობესია, წავაგოთ, ოღონდ ნაღდ ბრძოლაში. ვისლა უნდა მოვუგოთ, თუ არა „ჩერნომორეცს"?

ლობანოვსკის ამხედრებულებისთვის უთქვამს — თქვენ იღებთ პასუხისმგებლობას შედეგზე? აზრის ორად გაყოფის გამო მთლიანი გუნდი შეიკრიბა. ფეხბურთელებმა ალალი თამაშის მომხრეებს დაუჭირეს მხარი. ის მატჩი კიეველებმა 3:0 მოიგეს.

### ჭადრაკი და ფეხბურთი

1981 წლის 5 მაისს კიევში შედგა ლიდერთა შეხვედრა. პირველადგილოსანი დინამოელები მოსკოვის ცსკა-ს მასპინძლობდნენ. 30 ათასმა გულშემატკივარმა ყოვლად უსახური თამაში იხილა. „ფუტბოლ-ჰოკეიში" სერგეი სადნიკოვი წერდა — ორივე გუნდი ინერტულად მოქმედებდა, თავის თავს არ ჰგავდა. აშკარად ჩანდა, რომ მეტოქეები თანახმანი იყვნენ, ხელებჩამოშვებულებს ნახევარი ძალით ეთამაშათ.

ამ მატჩის ტელერეპორტაჟი უნახავს რამდენიმე მილიონ მაყურებელს. შეხვედრაში გამოჩნდა უამრავი ყალბი ემოცია. ფეხბურთელებმა ყველას აჩვენეს, თუ როგორ უნდა გაატარონ მოედანზე საათნახევარი ფეხბურთის გარეშე.

ამ ფაქტთან დაკავშირებით საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმში უმსჯელიათ. სხდომის ერთ-ერთი მონაწილე ლევ ფილატოვი 1994 წლის „ფუტბოლში" იხსენებს — ვალერი ლობანოვსკის და ცსკა-ს თავკაცს ოლეგ ბაზილევიჩს შავი დღე აყარეს. გამომსვლელები ერთხმად აღიარებდნენ, რომ გუნდებმა ჩაწყობილი მატჩი ითამაშეს. ლობანოვსკი და ბაზილევიჩი სკოლის მოსწავლეებივით ისხდნენ.

პრეზიდიუმის დადგენილებაში ჩაიწერა, რომ მატჩის საბრძოლო ჟინი საერთოდ არ გამოხატავდა ფეხბურთელების მომზადების დონეს და გუნდების კლასს, ორთავე „სცენარისტი" მკაცრად გააფრთხილეს. ეს იყო მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა მიუჩინონ თავიანთი ადგილი შეთქმულებს ყოველგვარი პროკურატურის გამომძიებლის დახმარების გარეშე. თუმცა ის შემთხვევა ერთადერთი დარჩა.

სხდომის პერიპეტიებზე მოთხრობის გარდა ფილატოვმა კიდევ ერთი დეტალი გაიხსენა. როცა ლობანოვსკის მოუსმენია ბრალდება, ბავშვური გულუბრყვილობით უკითხავს მოსამართლეებისთვის — რატომ აქვთ უფლება მოჭადრაკეებს, უბრძოლველად ითამაშონ მოკლე ყაიმი, ფეხბურთელებს კი არ შეუძლიათ იგივეს გაკეთება...

### რა მოხდა ქუთაისში?

1985 წელს კიევის „დინამომ" ვადამდე გაინაღდა ჩემპიონობა. ბოლო ორი ტურის მატჩები თბილისსა და ქუთაისში ჰქონდა გასამართი და ერთნაირი ანგარიშით 1:2 წააგო.

„ტორპედო" — „დინამოს" მატჩის ინსპექტორი მარკ ფილატოვი იგონებს — ქუთაისში საკმაოდ გავლენიანმა პირმა გამაცნო საიდუმლო მოლაპარაკებების ნიუანსები. როცა კიეველებისთვის 2 ქულის საჩუქრად დათმობა შეუთავაზებიათ, ისინი აღშფოთებულან — ჩვენ ხომ ჩემპიონები ვართ! ქუთაისელებს მოუწიათ თანხის 30 პროცენტით გაზრდა.

ტელევიზიითა თუ პრესის ფურცლებით გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებზე „დინამოს" მწვრთნელს არანაირი რეაგირება არ გაუკეთებია. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ თქვა — თბილისსა და ქუთაისში თამაშებისას უმოტივაციოდ ვიყავით დარჩენილებიო.

### შევარდნაძეს აწყენინეს

1984 წელს გაზეთ „ლელოში" დაიბეჭდა სტატია სათაურით — „სპექტაკლი ფსევდორეჟისორითა და უნიჭო მსახიობებით". მასში მოთხრობილი იყო თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „დინამოს" მატჩის თაობაზე.

— თამაშში მხოლოდ ორი დასამახსოვრებელი ეპიზოდი ვიხილეთ: პირველი ტაიმის მიწურულს გოლი მასპინძლებმა გაიტანეს, მეორე ნახევრის დასაწყისში კი — სტუმრებმა. დანარჩენი დრო ფეხბურთელები მაყურებელთა ნებისყოფას ამოწმებდნენ. ექსპერიმენტის შეწყვეტა მეორე ტაიმის შუაშიც შეიძლებოდა. სამთავრობო ლოჟა ჯერ საქართველოს ცკ-ს პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ დატოვა. იგი აღშფოთებას ვერ მალავდა. შევარდნაძეს სხვებიც მიჰყვნენ და ნაკადმაც იძალა. მატჩის დამთავრებამდე კარგა ხნით ადრე მაყურებელთა უმრავლესობა სტადიონს ტოვებდა. ვინც დარჩა, მხოლოდ იმისთვის, რომ ფეხბურთელები სტვენით გაეცილებინა.

კიდევ ერთი საყურადღებო დეტალი. 12 წლის განმავლობაში (1974-1985) მოსკოველმა და თბილისელმა დინამოელებმა ერთმანეთში 24 შეხვედრა ჩაატარეს. 5-ჯერ ერთმა იმარჯვა, ამდენივეჯერ მეორემ, 14 მატჩი ფრედ მორჩა, ბურთების შეფარდება 22:22. სრული თანაფარდობა...

### ყოვლისშემძლე ტორპედო

„ცრუფეხბურთის შესახებ" — ასე დაასათაურა ლევ ფილატოვმა თავისი წერილი, რომელიც 1986 წლის „ოგონიოკში" გამოქვეყნდა. ფილატოვმა სააშკარაოზე გამოიტანა ჩაწყობილი თამაშების სუპერსერია ქუთაისის „ტორპედოს" მონაწილეობით.

— 1985 წლის ჩემპიონატში 27-ე ტურის შემდეგ „ტორპედო" მყარად დამკვიდრდა ცხრილის ფსკერზე. უცბად ყველაფერი შეიცვალა, ქუთაისელები შეხვედრას შეხვედრაზე იგებდნენ. მათ სძლიეს — თბილისის „დინამოს", „ჩერნომორეცს", მოსკოვის „ტორპედოს", „დნეპრს", „მეტალისტს", კიევის „დინამოს". ამდენი გამარჯვების სერიაში თვალშისაცემი იყო ერთი „ჩავარდნა" — ალმაატის „ყაირატთან" 1:4 წაგება. ალმაატელები თავად იბრძოდნენ უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის.

მაშ ასე, 27 მატჩში ქუთაისელებს სულ 5 მოგება ჰქონდათ, ბოლო 7 შეხვედრაში კი 6-ჯერ გაიმარჯვეს... შედეგად პირველ ლიგაში ვორონეჟის „ფაკელი" დაქვეითდა. „ჩერნომორეცსა" და ბაქოს „ნეფთჩის" კი გადათამაშებაში მონაწილეობის მიღება მოუხდათ.

— იქნებ ვინმემ გაიკვირვოს — აგრძელებს ფილატოვი — და თქვას, ეგებ სეზონის მიწურულს გუნდს დამატებითი შინაგანი ენერგია აუმოქმედდაო. არა, არც ერთი სულიერი არ დაიჯერებდა ასეთ „გმირობას".

ფილატოვმა ცალკე გამოყო „ტორპედო" — „დნეპრის" შეხვედრა. დნეპროპეტროვსკელი თავდამსხმელი ოლეგ პროტასოვი საუკეთესო ბომბარდირობას ლამობდა და იგი ახლოს იყო მიზანთან, დაემხო ნიკიტა სიმონიანის რეკორდი (34 გოლი სეზონში). პროტასოვს გოლების გატანა ესაჭიროებოდა, „ტორპედოს" კი — მოგება. ორივე გუნდმა მოედანი კმაყოფილმა დატოვა. პროტასოვმა 2 ბურთი გაიტანა, ქუთაისელებმა კი 2 ქულა მოიპოვეს — 4:3.

### დასკვნა

ჩაწყობილი თამაშები ფეხბურთის მოურჩენელი სენია. მის წინააღმდეგ ინერტული პოზიცია ფეხბურთის სიკვდილის ტოლფასია.

ნუ დავუშვებთ იმას, რომ მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გაცხადდეს ის, რაც გუშინ ხდებოდა, რაც დღეს და ხვალ მოხდება.

**ხვიჩა სანიძიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს 11 ჩემპიონატი 14 ტური ანონსი

# დრო ძილისა და ფერადი სიზმრებისა



პირველი წრის „ვიტ ჯორჯია“ — „ლოკომოტივი“: რკინიგზელი ჩომახიძე (№17) ყიფიანსა და დოლიძეს შორის

ორ დღეში ქართული ფეხბურთი საშობაო არდადეგებისთვის გაემზადება. დასრულდება ექსპერიმენტული მეთერთმეტე ეროვნულის პირველი ეტაპი, რომელმაც გასაკვირი და სასიკეთო ბევრი ვერაფერი დაგვანახა.

მერე იქნება ღრმა ძილი გაზაფხულის პირამდე. ძილი, რომელიც ასე დამთრგუნველად მოსძალებია ქართულ ფეხბურთს.

ამ დროს ევროპას დასასვენებლად ანაც ძილისთვის სად სცალია, ყველა საქმეს აკეთებს, სამომავლო გეგმებს აწყობს, მხოლოდ ქართული ფეხბურთია მოცლილი. მას არსად ეჩქარება და არც არავინ მოელის.

ტოკიოში, მსოფლიოს ჩემპიონატის წილისყრაზე ქართული დელეგაცია სულაც რომ არ გაემგზავროს, მსოფლიო ფეხბურთის მამები დიდად არ მოგვისაკლისებენ, უჩვენოდაც ჩინებულად ჩაივლის 7 დეკემბრის საფეხბურთო ცერემონიალი. ეროვნული ნაკრების მწვრთნელს ამომავალი მზის ქვეყანაში ჩაბრძანება არ ელირსება უბრალო მიზეზის გამო — საქართველოს უპირველეს გუნდს მწვრთნელი არ ჰყავს (უახლოეს მომავალშიც არ აპირებენ მის დანიშვნას). მაშინ ზედმეტი ხარჯი რა საჭიროა, ფიფა ისედაც შეგვატყობინებს, ვისთან და რომელ ჯგუფში გაგვამწესეს.

ჰოდა, მეტად ხელსაყრელი დროა ძილისთვის და სულ ფერად-ფერადი სიზმრებიც გვისურვებია, მაგრამ თვლემის დაწყებამდე როგორმე იქნებ მეთოთხმეტე ტური ჩაგვემთავრებინა.

ჩამთავრდება, აბა, რა იქნება, კვირა საღამოს ყველაფერი გაირკვევა, გვეცოდინება იმ რვა გუნდის ამბავი, რომლებსაც თავი ქუდში ექნებათ. ის რვაც გამოაშკარავდება, თავში საცემად რომ გაუხდებათ საქმე.

ეს მომავლის ამბავია, 28 ნოემბერს კი იქნება ცოტა ფეხბურთი და ბევრი ვნებათაღელვა. არავის გაუკვირდეს, ჩაწყობა-გარიგებების მცდელობებიც იქნება და უშფოთველი ძილისთვისაც ის გულარხეინი გაემზადება, ვისაც მეტი ფხა და მარიფათი აღმოაჩნდება.

სანამ იმას გავარჩევდეთ, ვინ ვის მოუგებს თუ ვინ წააგებს, ცოტა ტრადიციას გადავუხვიოთ და „ა“ და „ბ“ ზონაში არსებულ ვითარებაზე ვთქვათ. „ა“ ზონაში თითქმის ყველაფერი გარკვეულია (რა თქმა უნდა, თუ ახალმა სკანდალმა არ იფეთქა და ზედა ოთხეულშიც ვითარება ხელოვნურად არ შეცვალა).

„ბ“ ზონაში ისეთი ამბავია, დედა შვილს არ აიყვანს ხელში. ოთხივე შეხვედრა თამამად შეგვიძლია ცენტრალურად მოვნათლოთ და რახან ლიდერები არიან, მოდით, „კოლხეთი“ — „ტორპედოთი“ დავიწყოთ.

უპირატესობა აშკარად სტუმართა მხარესაა. ქუთაისელებმა ბოლო დროს ბურთი სადაც ააგდეს, იქ დაიბრიყვეს ფოთელები. ფსიქოლოგიურად წელგამართულები ეწვევიან რიონისპირელები „ფაზისს“. ბევრისთვის არც ისაა სადავო, რომ „ტორპედო“ გაცილებით უკეთესი გუნდია, ვიდრე „კოლხეთი“.

ზღვისპირელები თავმოყვარეობას შეუწუხებია. ფოთელები ვერაფრით ეგუებიან ჩაგვრას და ქუთაისელებს ემუქრებიან, ყველა გამარჯვებას სწორედ კვირას ამოვადენთ ძმრადო.

აქ ზედმეტია საუბარი გარიგებასა და ქულის გაყოფაზე. „ტორპედოს“ აუცილებლად მოგება სჭირდება, რათა „დინამო“ არ დაიახლოვოს, ხოლო „კოლხეთს“, შელახული ავტორიტეტის გარდა, გაერთიანებულ ჯგუფში კონკურენტთა სუნთქვა აწუხებს და სამი ქულა სწორედ რომ სულზე მიუსწრებს.

მასპინძლებს საკუთარი თამაში ჯერაც ვერ უპოვიათ, სტუმრებს ასპროცენტიანი მომენტების გამოუყენებლობა აუფერულებთ და მაინც, „ფაზისზე“, ჩვენი აზრით, ფრე ვერ დაფიქსირდება. ან „კოლხეთი“, ანაც „ტორპედო“.

„გორდა“, თსუ, „დილა“, „მერანი“, „ხობი“ და იბერია“. წარმოგიდგენიათ, ზედა ოთხეულში მოხვედრის შანსი ექვსიდან ხუთ გუნდს აქვს. მხოლოდ ხობელები არიან განწირულები, მაგრამ არა იმდენად, რომ მოგებაზე არ იფიქრონ. თუ ხობელებს ჯგუფში დარჩენა სურთ, მაშინ ქულების გაჩუქება-გასხვისებაზე ზედმეტია ფიქრი, არადა, საფეხბურთო წრეები ირწმუნებიან, „იბერია“ მოიგებსო.

მართალია, ბურთი მრგვალია და ფეხბურთშიც ყველაფერი ხდება, მაგრამ ხელაღებით იმის მტკიცება, სამტრედიელები მოიგებენო, გარკვეულ ეჭვებს ბადებს.

გადაწყვეტით ვერავინ იტყვის, გუნდად „იბერია“ სჯობს „ხობსო“, ანაც პირიქით. სამტრედიული კლუბი შედარებით დალაგებულია, ხობელები კი გაცილებით ბრძოლისუნარიანები არიან. ერთი მატჩის კარგად ჩატარება კი ყველას ძალუძს, ამიტომ ამ შეხვედრის პროგნოზისგან თავს შევიკავებთ.

გორის „დილამ“ იმდენი ჭრა და კერა, ისე გაიხლართა ათასგვარ ძაფებში, რომ ბოლო ტურამდე მიიყვანა საქმე. „დილამ“ „მერანს“ რომ ვერ მოუგოს, მაშინ მოგჭამათ ჭირი უზრუნველ ცხოვრებაზე ფიქრმა და ოცნებამ.

„დილა“ შინ ძნელად წასაქცევი გუნდია, მაგრამ „მერანი“ ერთ-ერთი იმათგანია, რომელსაც მსგავსი „გმირობა“ ჩაუდენია. ავჭალელებს სხვა გზა არ დარჩენიათ, ათასიდან ერთი შანსი, ასე მონათლეს ტრანსპორტელებმა 28 ნოემბრის მატჩი. „მერანი“ ახლა დაჭრილი დათვივითაა და მისგან ყველაფერია მოსალოდნელი.

საბოლოოდ ერთს ვიტყვით, „დილა“ — „მერანი“ ფრედ არ დამთავრდება.

ფრე არ დაფიქსირდება, ალბათ, რუსთავის „ფოლადზეც“, რადგანაც არც „გორდას“ წაადგება ერთი ქულა და შეიძლება თსუ-საც ვერ ეშველოს. მოგება ორივეს შეუძლია და ვის მხარესაც იქნება საფეხბურთო ბედისწერა, სწორედ ის გაიმარჯვებს.

ახლა „ა“ ზონაზეც ვთქვათ. „თემურ სტეფანიასა“ და „ეროვნულზე“ ნამდვილი ბული დადგება და გვერწმუნეთ, არ წააგებთ, თუ ორიდან ერთ მატჩს დაესწრებით.

ბოლნისში „სიონი“ თბილისის „დინამოს“ უმასპინძლებს. სიტყვა მასპინძლობა ამ შემთხვევაში პირობითად გამოვიყენეთ, თორემ დიდი ბრძოლა რომ იქნება, ფაქტია.

ბოლნისელებმა აქამდეც დაამტკიცეს თავიანთი სიძლიერე, მაგრამ თუ „დინამო“ დააჩოქეს, მაშინ უფრო რიხიანები და წელგამართულები იქნებიან.

ქვემოქართლელები განსაკუთრებული მონდომებით ემზადებიან ჩემპიონების დასახვედრად და საფეხბურთო საქართველოს მათ დამარცხებასაც ჰპირდებიან.

თუ „დინამომ“ მოიგო, საჩემპიონო გვირგვინის შენარჩუნების შანსი გაიზრდება, არადა, არც დამარცხებისგან შეიქმნება ტრაგედია.

ამ ბოლო დროს ძალიან დამაფიქრებელმა სიჩუმემ დაისადგურა „ლოკომოტივის“ ბანაკში. რკინიგზელები არც სააპელაციო კომიტეტის სხდომაზე გამოჩენილან. არ დასწრებიან თავიანთი საჩივრის განხილვას და სხდომაც გადაიდო.

„ლოკომოტივი“ ჩუმადაა და „ვიტ ჯორჯიას“ დამარცხება სწადია, მერე კი ყველა არსებულ ხერხს გამოიყენებს, რათა ოთხეულში შეძვრეს.

„ვიტ ჯორჯია“ თითქმის სასურველ ოთხეულშია, მაგრამ სათამაშოდ თავდაჯერებული არ გავა, პირიქით, მოსაგებად ემზადება და კლუბის ხელმძღვანელობამ ფეხბურთელებს გამარჯვების შემთხვევაში პრემიებიც კი გაუორმაგა.

ყველა ვეტერინარი მზადყოფნაშია, რკინიგზელებს კი დისკვალიფიცირებული ბალაშვილი და მიქაძე დააკლდებათ. ვინ მოიგებს, მხოლოდ ღმერთმა უწყის, ჩვენი მხრიდან კი უპირატესობა სტუმრებისთვის მიგვინიჭებია.

სინიორ კარნევალე მეექვსედ წამოუძღვება „ბათუმს“ აღმოსავლეთ საქართველოსკენ. მეათედ დაუპირისპირდებიან ბათუმელები დედაქალაქურ გუნდებს და ეს ის შემთხვევაა, როცა უპირობო ფავორიტები არიან. ვერას მოუხერხებს მაძღარ და დალაგებულ „ბათუმს“ მშიერი და უპატრონოდ მიგდებული „არსენალი“. თამაშის ხალისი დაკარგვიათ მასპინძლებს, სტუმრებისთვის კი სამი ქულა მეტად მნიშვნელოვანია. გაერთიანებულ ჯგუფში უფრო მყარი დასაყრდენი ექნებათ.

წყალტუბოს „სამგურალი“, არ არის გამორიცხული, შინ „თბილისთან“ დამარცხდეს. მაშინ მეტად გაუჭირდებათ წყალტუბოელებს ჯგუფში ადგილის შენარჩუნება. „თბილისს“ მოგება იმისთვის სჭირდება, რათა უძლიერესთა შორის მოხვედრის არცთუ მცირე შანსი გაიზარდოს. ისე, არც ფრეზე იტყოდნენ მოწინააღმდეგენი უარს.

ფედერაციამ მეთოთხმეტე ტურის განმსჯელთა ვინაობა ისევ გაასაიდუმლოვა. ასე რომ, ქართველ მსაჯებს იცავს ქართული ფეხბურთის ფედერაცია.

**მამუკა ქვანტალიანი**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 12 - აშვეთია | დინამო |
| ალექსიძე | დინამო |
| 11 - იონანიძე | ტორპედო |
| 8 - ქებაძე | ლოკომოტივი |
| 7 - მეგრელაძე | ტორპედო |
| გ. ქორიძე | ვიტ ჯორჯია |

| «ა» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | დინამო | 13 | 10 | 1 | 2 | 35:11 | 24 | 31 | 7 | 6 | 1 | 0 | 24:6 | 18 | 19 | 6 | 4 | 0 | 2 | 11:5 | 6 | 12 |
| 2 | ვიტ ჯორჯია | 13 | 6 | 4 | 3 | 19:11 | 8 | 22 | 7 | 4 | 2 | 1 | 14:4 | 10 | 14 | 6 | 2 | 2 | 2 | 5:7 | -2 | 8 |
| 3 | ბათუმი | 13 | 5 | 7 | 1 | 14:4 | 10 | 22 | 7 | 5 | 2 | 0 | 12:1 | 11 | 17 | 6 | 0 | 5 | 1 | 2:3 | -1 | 5 |
| 4 | სიონი | 13 | 6 | 3 | 4 | 12:16 | -4 | 21 | 6 | 3 | 3 | 0 | 6:2 | 4 | 12 | 7 | 3 | 0 | 4 | 6:14 | -8 | 9 |
| 5 | ლოკომოტივი | 13 | 5 | 2 | 6 | 20:18 | 2 | 17 | 6 | 2 | 2 | 2 | 7:6 | 1 | 8 | 7 | 3 | 0 | 4 | 13:12 | 1 | 9 |
| 6 | თბილისი | 13 | 3 | 4 | 6 | 21:30 | -9 | 13 | 7 | 3 | 1 | 3 | 14:19 | -5 | 10 | 6 | 0 | 3 | 3 | 7:11 | -4 | 3 |
| 7 | არსენალი | 13 | 2 | 3 | 8 | 10:22 | -12 | 9 | 6 | 2 | 1 | 3 | 6:9 | -3 | 7 | 7 | 0 | 2 | 5 | 4:13 | -9 | 2 |
| 8 | სამგურალი | 13 | 2 | 2 | 9 | 8:27 | -19 | 8 | 6 | 2 | 1 | 3 | 3:6 | -3 | 7 | 7 | 0 | 1 | 6 | 5:21 | -16 | 1 |

| «ბ» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ტორპედო | 13 | 11 | 2 | 0 | 33:5 | 28 | 35 | 7 | 5 | 2 | 0 | 18:4 | 14 | 17 | 6 | 6 | 0 | 0 | 15:1 | 14 | 18 |
| 2 | კოლხეთი | 13 | 8 | 0 | 5 | 19:15 | 4 | 24 | 6 | 5 | 0 | 1 | 10:3 | 7 | 15 | 7 | 3 | 0 | 4 | 9:12 | -3 | 9 |
| 3 | დილა | 13 | 5 | 2 | 6 | 16:22 | -6 | 17 | 6 | 3 | 1 | 2 | 8:8 | 0 | 10 | 7 | 2 | 1 | 4 | 8:14 | -6 | 7 |
| 4 | თსუ | 13 | 4 | 4 | 5 | 12:15 | -3 | 16 | 7 | 3 | 1 | 3 | 9:9 | 0 | 10 | 6 | 1 | 3 | 2 | 3:6 | -3 | 6 |
| 5 | იბერია | 13 | 4 | 3 | 6 | 8:20 | -12 | 15 | 7 | 4 | 1 | 2 | 7:7 | 0 | 13 | 6 | 0 | 2 | 4 | 1:13 | -12 | 2 |
| 6 | მერანი | 13 | 3 | 6 | 4 | 12:12 | 0 | 15 | 7 | 2 | 3 | 2 | 7:6 | 1 | 9 | 6 | 1 | 3 | 2 | 5:6 | -1 | 6 |
| 7 | გორდა | 13 | 4 | 1 | 8 | 14:17 | -3 | 13 | 6 | 3 | 1 | 2 | 10:4 | 6 | 10 | 7 | 1 | 0 | 6 | 4:13 | -9 | 3 |
| 8 | ხობი | 13 | 2 | 4 | 7 | 15:23 | -8 | 10 | 6 | 1 | 2 | 3 | 9:10 | -1 | 5 | 7 | 1 | 2 | 4 | 6:13 | -7 | 5 |

თბილისი. „ეროვნული“. 28 ნოემბერი. 15 საათი.

**ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია**

რუსთავი. „ფოლადი“. 28 ნოემბერი. 15 საათი

**გორდა — თსუ**

წყალტუბო. „26 მაისი“ 28 ნოემბერი. 15 საათი

**სამგურალი — თბილისი**

ხობი. „კოლხეთი“. 28 ნოემბერი. 15 საათი

**ხობი — იბერია**

თბილისი. „ისანი“. 28 ნოემბერი. 15 საათი

**არსენალი — ბათუმი**

ფოთი. „ფაზისი“. 28 ნოემბერი. 15 საათი

**კოლხეთი — ტორპედო**

გორი. „ცენტრალური“. 28 ნოემბერი. 15 საათი

**დილა — მერანი**

ბოლნისი. „თემურ სტეფანია“. 28 ნოემბერი. 15 საათი

**სიონი — დინამო**

# გარკვეული გაურკვევლობა

**უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი**
**I წრე. 25 ნოემბერი**

UEFA CUP

### ლიონი (საფრანგეთი) 3:0 ვერდერი (გერმანია)

1:0, 2:0 ანდერსონი (13, 45), 3:0 ვერელი (77)
ლიონი: კუპე, კანტერონი, ლავილი (ბრეშე 81), ბაკი, ს. ბლანი, დელმოტი, ვიოლო, ლინარესი, დორასო, ანდერსონი (კანუტი 90), ვერელი (ურასი 82)
ვერდერი: როსტი, ფრინგსი, ბაუმანი, სესარი, ვიდნერი (მაქსიმოვი 65), ვიკი, აილტსი (დაბროვსკი 71), ბოდე, ა. ჰერცოგი, აილტონი, პიზარო
მსაჯი: დ. მესინა (იტალია)

### რეინჯერსი (შოტლანდია) 2:0 დორტმუნდი (გერმანია)

1:0 კოლერი (18ს.კ.), 2:0 უოლესი (45)
რეინჯერსი: მირე, ადამჩუკი, მური, ვიდმარი, ნუმანი, კ. რეინა (კანჩელსკისი 85), ბ. ფერგიუსონი, ვან ბრონკჰორსტი, ალბერტცი, ამატო (იოჰანსონი 44), უოლესი (მაკენი 67)
დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი, ფაიერზინგერი, კოლერი, ევანილსონი, სტევიჩი, რიკენი (ბუტი 72), ბარბარესი, ადო (ჯ. რეინა 46), მიოლერი, ბობიჩი (ჰერლიხი 83)
მსაჯი: უ. მაიერი (შვეიცარია)

### ლანსი (საფრანგეთი) 1:2 კაიზერსლაუტერნი (გერმანია)

0:1 სიკორა (30ს.კ.), 0:2 ვაგნერი (37), 1:2 შონბერგი (85ს.კ.)
ლანსი: ვარმუზი, სიკორა, პიერ-ფანფანი, ისმაელი, კორიდონი (მორეირა 81), ბლანშარი, ნიარკო, დაკურტი (სახო 46), რული, ბრუნელი, ნუმა (დეზირე ჟობი 46)
კაიზერსლაუტერნი: რაინკე, კოხი, რამზი, შონბერგი, რატინიო (პეტერსონი 87), როოსი, ჯორკაეფი, შტრასერი, მ. ვაგნერი (რაიხი 75), ხრისტოვი (სობოტჩიკი 81), მარშალი

### დეპორტივო (ესპანეთი) 4:2 პანათინაიკოსი (საბერძნეთი)

1:0 ოლივარესი (7ს.კ.), 2:0 პაულეტა (11), 3:0 ჯალმინია (13), 3:1 ვარჟიხა (19), 4:1 დონატო (30), 4:2 გალიეტო (66)
დეპორტივო: სონგო, რომერო, ნაიბეტი, დონატო, სკალონი, ფლავიო კონსეისაო, მაურო სილვა (ხაიმე სანჩესი 45), ფერნანდო სანჩესი (ფრანი 74), ჯალმინია, მაკაი, პაულეტა (ბასირი 34)
პანათინაიკოსი: ნიკოპოლიდისი, ფისასი, ჰენრიკსენი, გუმასი, ოლივარესი (გალიეტო 45), ნასიოპულოსი, კოლა, ბასინასი, მიუკლანდი, პლიპფსენი (კარაგუნისი 77), ვარჟიხა (სიგურდსონი 83)
მსაჯი: ტ. ჰიუგი (ნორვეგია)

### პარმა (იტალია) 2:1 შტურმი (ავსტრია)

1:0 დი ვაიო (16), 1:1 შოპი (23), 2:1 სტანიჩი (61)
პარმა: ბუფონი, ლასისი, ტორიზი, ტურამი, ბრედა, დ. ბაჯო (კანავარო 59), ლონგო (სარტორი 56), ვალემი, მონტანო (ორტეგა 77), სტანიჩი, დი ვაიო
შტურმი: შიკლგრუბერი, ნოიკირხნერი (ფელდჰოფერი 56), მილანიჩი (შტრაფნერი 76), ფოდა, შოპი, მაელიხი, მარტენსი, პრილასნიგი, მინავად ჩალი, ვასტიჩი, კოციანი (რაინმაიერი 82)
მსაჯი: დ. გალაჰერი (ინგლისი)

### აიაქსი (ჰოლანდია) 0:1 მალიორკა (ესპანეთი)

0:1 დიეგო ტრისტანი (35)
აიაქსი: გრიმი, ნიუვენბურგი, ვან ჰალსტი (დე კლერი 77), ვინტერი, ობრაიენი, მოკოენა, ვიჩგე, კნოპერი, ლაუდრუპი, ვამბერტო (ჰოსი 66), გრონკიაერი
მალიორკა: ბურგოსი, სივიერო, ნადალი, მიგელ სოლერი, ი. სტანკოვიჩი (კარერასი 79), ლორენი, ოლაიზოლა, ჩიჩი სოლერი, ენგონგა, დიეგო ტრისტანი, ლეო ბიაჯინი (კარლოს დომინგუში 73)

### რომა (იტალია) 1:0 ნიუკასლი (ინგლისი)

1:0 ტოტი (51პ)
რომა: ანტონიოლი, კაფუ, ძაგო, მარკოს ასუნსაო, ალდაირი, დი ფრანჩესკო, კანდელა, რინალდი, მონტელა, ტოტი, დელვეკიო
ნიუკასლი: ჰარპერი, ბარტონი, შარვე, დაბიზასი, ჰიუზი, პისტონე, ლი, სპიდი, სოლანო, შირერი, ქეცბაია (რობინსონი 81)
გაფრთხილება: ძაგო, ალდაირი, შირერი, ტოტი
მსაჯი: კ. კოლომბო (საფრანგეთი)

### სელტა (ესპანეთი) 7:0 ბენფიკა (პორტუგალია)

1:0 კარპინი (18პ), 2:0 მაკელელე (30), 3:0 ტურდო (40), 4:0 ხუანფრანი (42), 5:0 ტურდო (50), 6:0 კარპინი (55), 7:0 მოსტოვოი (61)
სელტა: დუტრუელი, ხუანფრანი (სორია 66), ჯოროვიჩი, კასერესი, ველასკო, ჯოვანელა, მაკელელე, გუსტავო ლოპესი, მოსტოვოი (ტომასი 75), კარპინი, ტურდო (ბენი მაკკარტი 54)
ბენფიკა: ენკე, რიკარდო როხასი (ბრუნო 56), პაულო მადეირა, რონალდო, ანდრადე ოლივეირა, რიბეირო, კანდაუროვი (კალეი 45), კალადუ (ჩანო ფერნანდესი 63), პობორსკი, ჟოაო პინტუ, ნუნუ გომეში
მსაჯი: პ. დარკინი (ინგლისი)

### ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) 1:3 იუვენტუსი (იტალია)

1:0 იანაკოპულოსი (15), 1:1 ტუდორი (27), 1:2 კოვაჩევიჩი (67), 1:3 ინძაგი (89)
ოლიმპიაკოსი: ელეფთეროპულოსი, მავროგენიდისი, ამანატიდისი, პურსანიდისი, კარატაიდისი, ანცასი, პურსაიტიდისი (ოფორი კუაე 73), ნინიადისი, იანაკოპულოსი, ჯორჯევიჩი, ჯოვანი
იუვენტუსი: რამპულა, მირკოვიჩი, ბაკინი (ბირინდელი 76), ფერარა (მონტერო 69), ტუდორი, ოლისე, დავიდსი, პესოტო, ტაკინარდი, დელ პიერო (ინძაგი 63), კოვაჩევიჩი
გაფრთხილება: იანაკოპულოსი, ანცასი, პურსაიტიდისი, ტუდორი, დავიდსი, კოვაჩევიჩი
მსაჯი: რ. პედერსენი (დანია)

### არსენალი (ინგლისი) 3:0 ნანტი (საფრანგეთი)

1:0 ოვერმარსი (13პ), 2:0 უინტერბერნი (81), 3:0 ბერხკამპი (90)
არსენალი: სიმენი, ვივასი, უინტერბერნი, გრიმანდი, ადამსი, ლიუნგბერგი (ანრი 70), ვიეირა, პეტი (პარლოუ 38), ბერხკამპი, ოვერმარსი, კანუ (შუკერი 70)
ნანტი: ლანდრო, ჟილე, კარიერი, სიბიერსკი, პიოსელი, მ. ლერუა, სავინო, მონტერუბიო (ჯოპ-ფენეპე 70), შანელე, დეროფი (ოლემბე 42), აჰამადა (ტურე 54)
გაძევება: შანელე (60)
მსაჯი: დ. კორენი (ისრაელი)

### სლავია (ჩეხეთი) 4:1 სტიაუა (რუმინეთი)

1:0 დოსტალეკი (1), 2:0 ჰორვატი (35), 3:0 დოსტალეკი (47), 4:0 ტ. დოშეკი (55), 4:1 ლუტუ (81)
სლავია: ჩერნი, ლ. დოშეკი, ვლჩეკი (კრეიჩიკი 52), პეტროუსი, რადა, ულიხი, დოსტალეკი, ჰორვატი, კუჩარი, ტ. დოშეკი (შკალა 86), ზელენკა (რ. ვაგნერი 67)
სტიაუა: რიტლი, მიუ, ბორდეანუ, რეჯიკამპფი, ბაკიუ, დურო, როსი, დანჩილესკუ (ლუტუ 51), ლინკარი (ლეკეტუში 69), კიოკოუ, ს. ილიე

### სპარტაკი (რუსეთი) — ლიდსი (ინგლისი)

ძლიერი ყინვის გამო გადაიდო




რომა — ნიუკასლი 1:0. ნიუკასლელი ალან შირერი (№9) რომაელ ანტონიო ძაგოს მოახტა

**საერთო** მოსაზრებით, ინგლისური „ნიუკასლის" დაცვა რომში, „ოლიმპიურ" სტადიონზე, ადგილობრივი „რომას" მრისხანე ფორვარდთა ტანდემის წინააღმდეგ მშვენივრად გაისარჯა. ბობი რობსონის შეგირდები რომაელებს მძლავრი და მობილური ტაქტიკით დაუპირისპირდნენ, რის შედეგადაც მასპინძლებს თითქმის არც ერთი ასპროცენტიანი საგოლე მომენტი არ შექმნიათ, თუ არ გავითვალისწინებთ იმ ერთადერთ ბურთს, რომელიც რომაელთა ლიდერმა ტოტიმ 51-ე წუთზე თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან გაიტანა. პენალტი ინგლისელთა კარში მარკო დელვეკიოს წაქცევისთვის დაინიშნა. ეს უკანასკნელი საჯარიმოში აკრძალული ხერხით ნიუკასლელმა ლორან შარვემ შეაჩერა. შეხვედრაში მონაწილეობდა „ნიუკასლის" ქართველი ლეგიონერი თემურ ქეცბაია, რომელიც საკმაოდ აქტიურობდა და ერთი ორჯერ შორეული დარტყმით რომაელთა მეკარე, ფრანჩესკო ანტონიოლიც შეამოწმა, რამდენად საიმედოდ იდგა იგი კარში. ზოგჯერ ქართველს სულ ახლახან მოშუშებული ტრავმა მაინც ეტყობოდა. მეორე ტაიმში ბობი რობსონმა ეს შეამჩნია და შეცვალა. ფაბიო კაპელოს ბიჭებმა კი ერთადერთი გატანილი გოლის გარდა ვერაფერი მოახერხეს და მატჩი მხოლოდ მინიმალური ანგარიშით 1:0 მოიგეს. ახლა ინგლისელებს შანსი მიეცათ მერვედფინალში მოსახვედრად. საპასუხო მატჩი ნიუკასლში, „სენტ ჯეიმსის პარკზე" დეკემბერში გაიმართება.

ტურინის „იუვენტუსმა" სტუმრად საბერძნეთში, შეიძლება ითქვას, თითქმის უპრობლემოდ დაამარცხა ადგილობრივი „ოლიმპიაკოსი" 3:1, თანაც ეს ყველაფერი რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის, მათ შორის, ფრანგი მსოფლიოს ჩემპიონის — ზინედინ ზიდანისა და ანტონიო კონტეს გარეშე მოახერხა. არც ალესანდრო დელ პიერო და ფილიპო ინძაგი გადაღლილან დიდად, რადგან მთელი შეხვედრა არ ჩაუტარებიათ. კარლო ანჩელოტიმ თავისი ბიჭები, რომის „ლაციოს" წინააღმდეგ, სერია A-ს საკვირაო მატჩისთვის შემოინახა.

არადა, მატჩის დებიუტი ტურინელებს იოლ შეხვედრას არ უქადდა. უკვე მე-15 წუთზე ბერძენმა სტელიოს იანაკოპულოსმა „ოლიმპიაკოსი" დააწინაურა, თუმცა 27-ზე „იუვენტუსის" ხორვატმა ლეგიონერმა იგორ ტუდორმა ანგარიში გაათანაბრა. ამის შემდეგ, 67-ე წუთამდე მინდორზე დიდად აღსანიშნავი არაფერი მომხდარა, სწორედ ამ დროს ტურინელთა იუგოსლაველმა ფორვარდმა, დარკო კოვაჩევიჩმა გაიტანა გოლი და თავისი გუნდიც დააწინაურა. ბერძნები კი აქტიურობდნენ, მაგრამ მათ უკბილო შეტევას შედეგი არ მოუტანია. სამაგიეროდ, 89-ზე შეცვლაზე შემოსული პიპო ინძაგისგან მესამე ბურთი მიიღეს საკუთარ კარში და ამრიგად, მერვედფინალის საგზურს ფაქტობრივად გამოემშვიდობნენ.

უეფას თასის მეთექვსმეტედფინალში ჩემპიონთა ლიგის გათამაშებიდან გავარდნილი ორი გუნდი — შოტლანდიური „გლაზგო რეინჯერსი" და გერმანული დორტმუნდის „ბორუსია" შეხვდა ერთმანეთს. გლაზგოში, „აიბროქსის" სტადიონზე, „რეინჯერსმა" ერთობ დამაჯერებელი ანგარიშით — 2:0 დაამარცხა მეტოქე და მომდევნო ეტაპზე გასვლის რეალური შანსი შეინარჩუნა. მატჩის მე-18 წუთზე, ვეტერანმა გერმანელმა მცველმა იურგენ კოლერმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი და ამრიგად გახსნა ანგარიში. კოლერი „რეინჯერსის" არგენტინელ ლეგიონერ გაბრიელ ამატოს ვერ გაუმკლავდა და ავტოგოლსაც ამიტომ გამოჰკრა ხელი. მერე მას ანგარიშის გათანაბრებაც შეეძლო, მაგრამ შოტლანდიელთა ნორვეგიელმა მეკარე ტომას მირემ ივარგა. ეს უკანასკნელი „რეინჯერსმა" ლივერპულის „ევერტონიდან" ინათხოვრა მას შემდეგ, რაც გუნდის ძირითადმა კარის დარაჯმა, შტეფან კლოსმა ტრავმა მიიღო. 45-ე წუთზე უკვე გლაზგოელმა როდნი უოლესმა გამოიჩინა თავი, რომელმაც დაახლოებით 12 მეტრიდან მშვენიერი ბურთი გაუტანა იენს ლემანს და ამრიგად საბოლოო ანგარიში, 2:0 დააფიქსირა. ორი კვირის შემდეგ, საპასუხო მატჩში, დორტმუნდელებს ძალიან სერიოზული გამოცდა ელით მერვედფინალში მოსახვედრად.

ესპანეთში გალისიურ „სელტას" ბდღვნად არ ეყო ლისაბონის „ბენფიკა". სახელოვანი პორტუგალიური გუნდი თავისი არსებობის მანძილზე ჩატარებულ 242 საევროთასო შეხვედრაში, ასე არც ერთ გუნდთან არ შერცხვენილა. მატჩის შედეგმა — 7:0, საპასუხო შეხვედრას, ფაქტობრივად, ყოველგვარი აზრი დაუკარგა. „ბენფიკას", „სელტას" მხრიდან ვისაც არ დაეზარა, ყველამ გაუტანა. ორ-ორი გოლი ვალერი კარპინმა და მარიო ტურდომ მიითვალეს. რუსმა ლეგიონერმა მე-18 წუთზე თერთმეტმეტრიანიდან გახსნა ანგარიში, ხოლო 55-ეზე დუბლიც შეასრულა. თავი მეორე რუსმა ლეგიონერმა ალექსანდრ მოსტოვოიმაც გამოიჩინა, რომელმაც 61-ე წუთზე მატჩს წერტილი დაუსვა. თითო-თითო ბურთი კლოდ მაკელელემ და ხუანფრან გარსიამაც შეაგდეს. „სელტა" მიმდინარე სეზონში ნამდვილ აღმავლობას განიცდის. გუნდი ესპანეთის პრიმერადივიზიონშიც საკმაოდ წარმატებულად ასპარეზობს და 12 ტურის შემდეგ „დეპორტივოსთან" ერთად პირველ-მეორე ადგილებს იყოფს.

ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენებმა ესპანეთის პირველობის ლიდერმა „დეპორტივომ" ევროთასებზეც ივარგა და 4:2 დაამარცხა ბერძნული „პანათინაიკოსი". ანგარიში მას შემდეგ გაიხსნა, რაც სტუმარმა პერსი ოლივარესმა მე-7 წუთზე ბურთი თავის კარში ჩაჭრა. ამით დაბნეულმა ბერძნებმა, ექვსწუთიან მონაკვეთში კიდევ ორი გოლი გაატანინეს პაულეტასა და ჯალმინიას (მე-11 და მე-13 წუთები). მართალია, მე-19 წუთზე „პანათინაიკოსის" პოლონელმა ლეგიონერმა, კრისტოფ ვარჟიხამ სხვაობა შეამცირა, მაგრამ 30-ეზე დეპორტივოელმა დონატომ კვლავ აღადგინა სამბურთიანი უპირატესობა. ბერძენთაგან უკანასკნელი გოლი ფერნანდო გალიეტომ გაიტანა. ეს უკვე 66-ე წუთი იყო. ესპანელებს მერვედფინალში გასვლის მშვენიერი შანსი აქვთ.

ლონდონის „არსენალმა" მშობლიურ „ჰაიბერიზე" დაბრუნება ფრანგული „ნანტის" 3:0 დამარცხებით აღნიშნა. ბოლო ხანს ინგლისელები თავიანთ საევროთასო შეხვედრებს ცნობილ „უემბლის" სტადიონზე მართავდნენ. ლონდონური გუნდი ამ მატჩში ძალიან სოლიდურად გამოიყურებოდა და ფაქტობრივად, არც კი გასჭირვებია სამბურთიანი უპირატესობის მოპოვება. ანგარიში მე-13 წუთზე ჰოლანდიელმა მარკ ოვერმარსმა გახსნა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმით. 81-ზე ნაიჯელ უინტერბერნმა ძალიან ეფექტური გოლი გაიტანა, ხოლო ჰოლანდიელმა დენის ბერხკამპმა მეტად შთამბეჭდავად დააგვირგვინა მატჩი. თითქმის ეჭვს არ იწვევს, რომ „არსენალი" მომდევნო ეტაპზე მოხვდება.

კიდევ ერთმა იტალიურმა გუნდმა — „პარმამ" შინ იზეიმა გამარჯვება, თუმცა, ავსტრიული „შტურმის" 2:1 დამარცხება იოლი სულაც არ ყოფილა. მე-16 წუთზე მარკო დი ვაიოს გატანილი ბურთი სტუმრებმა დაახლოებით 7 წუთში მარკუს შოპის გოლით უპასუხეს. ამის შემდეგ კარგა ხანს აღარაფერი მომხდარა, უფრო სწორად, იტალიელებმა ვერაფერი მოუხერხეს ავსტრიელებს 61-ე წუთამდე, როცა მარიო სტანიჩმა მეორედ დალაშქრა „შტურმის" კარი. 2:1 სულაც არ არის მომდევნო ეტაპზე ასპარეზობის წინაპირობა.

დარჩენილი წყვილებიდან გამოსაყოფია „კაიზერსლაუტერნის" საგარეო მოგება ფრანგულ „ლანსთან", აგრეთვე ამსტერდამის „აიაქსის" საშინაო მარცხი ესპანურ „მალიორკასთან". კიდევ ერთმა ფრანგულმა კლუბმა, „ლიონმა" შინ 3:0 მოუგო ბრემენის „ვერდერს".

# სკამი შეინარჩუნა

მიუხედავად უეფას თასის გათამაშებაში განცდილი გამანადგურებელი მარცხისა, რომელიც ლისაბონის „ბენფიკას" ესპანურმა ვიგოს „სელტამ" აგემა, კლუბის ხელმძღვანელობის განცხადებით, გერმანელი ფეხბურთის სპეციალისტი, იუპ ჰაინკესი მთავარი მწვრთნელის პოსტს მაინც შეინარჩუნებს. ეს განცხადება ვიგოში 0:7 განადგურების შემდეგ ესპანეთიდან დაბრუნებულმა „ბენფიკას" თავმჯდომარემ, ჟოაო ვალე აზევედომ გააკეთა. „ჰაინკესი კლუბიდან არ წავა — განაცხადა მან — თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფეხბურთელებიც დამშვიდებულნი შეხვდნენ მოვლენებს. რამდენიმე მათგანი სამაგალითოდ დაისჯება. ასეთი განადგურებისა და უპასუხისმგებლობის შემდეგ, ზოგიერთმა მათგანმა პასუხი უნდა აგოს შედეგზე. უახლოეს მომავალში ყველაფერი გაირკვევა. სამარცხვინოა, როდესაც ისეთი სახელოვანი კლუბი, როგორიც ლისაბონის „ბენფიკაა", ასე უსახურად გაითელა ფეხქვეშ".

„სამარცხვინო", „განადგურებული" — ასეთი სათაურებით აჭრელდა მარცხის მეორე დღეს პორტუგალიური პრესა. „ესპანელებს შეუძლიათ არც კი გვეწვიონ" — აღნიშნავდა ჟურნალისტთა უმრავლესობა.

თუმც ჰაინკესს, რომელიც „ბენფიკაში" მიმდინარე სეზონის დასაწყისში ჩაუდგა სათავეში, ცოტა თუ სდებდა ბრალს.

„პასუხისმგებლობას სრულიადაც არ გავურბივარ, რალაც საშინლად ვითამაშეთ" — განაცხადა ჰაინკესმა, ფეხბურთის სპეცილისტმა, რომელიც 1998 წელს მადრიდის „რეალს" თავკაცობდა და მათთან ერთად ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა — მარცხმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, თუ რამხელა განსხვავებაა ესპანურ და პორტუგალიურ ჩემპიონატებს შორის, ერთმანეთს ხომ მათი ლიდერები ხვდებოდნენ".

მართლაც, „ბენფიკამ" პორტუგალიის ჩემპიონატი საკმაოდ ძლიერად დაიწყო და ახლა გათამაშების ცხრილის სათავეშია, თუმცა მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს მუდმივ მეტოქე „პორტუს". უკანასკნელ ტურში ლისაბონელები სწორედ „პორტუსთან" დამარცხდნენ ანგარიშით 0:2.

ნიკა შუბლაძე

# პელეს საიდუმლო



პელემ როგორც იქნა, აღიარა, თუ რატომ არ ითამაშა 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე. მკითხველს შევახსენებთ, რომ ამ წელს, ფეხბურთის მეფე 34 წლის გახლდათ და დასავლეთ გერმანიის მსოფლიოს თასზე ბრაზილიელთა ნაკრებში კონკურენტი კვლავ არ ჰყავდა. ახლახან პელემ ბრაზილიის ტელევიზიას განუცხადა, რომ ჩემპიონატზე წაუსვლელობით პროტესტი გამოხატა იმ ზეწოლის წინაღმდეგ, რომელსაც ქვეყნის სამხედრო მინისტრთა კაბინეტი ახორციელებდა ეროვნული ნაკრების მიმართ: „ისინი ცდილობდნენ, ვაიძულებინეთ, მაგრამ მაგრად დავდექი" — თქვა პელემ. მარიო ზაგალომ, რომელიც 1974 წელს ბრაზილიელთა მთავარი მწვრთნელი გახლდათ, დაადასტურა პელეს სიტყვები.

ერთი საინტერესო დეტალიც. როცა პელეს ჰკითხეს, თუ ასეთი განწყობა გქონდათ, რატომღა ითამაშეთ 1966 და 1970 წლების მსოფლიოს ჩემპიონატზე, ხელისუფლებაში ხომ იგივე ხალხი იყოო, მეფემ უპასუხა: „მაშინ არ ვიცოდი, ქვეყანაში თუ ასეთი ამბები ხდებოდაო"...

# ბრაზილია ბრაზილიაში

სამხრეთ ამერიკის ქვეყნებისთვის ფიფამ კარგა ხანია, დაადგინა 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის დებულება. თუმც სიტყვა „დაადგინა" ცოტა გადაჭარბებულია. ოკეანის გადაღმა ფინალისტებს ისევე გაარკვევენ, როგორც ოთხი წლის წინათ — ერთი, საერთო ათგუნდიანი ჯგუფი ჩამოყალიბდება.

ბრაზილიელებმა თავისებური გადაწყვეტილება მიიღეს. ამ ქვეყნის ნაკრები საშინაო შესარჩევ მატჩებს შვიდი ქალაქის სტადიონებზე ჩაატარებს. იქაურთა მტკიცებით, ასეთი მოგზაურობა ადგილობრივებს უკეთ გაცნობს ეროვნულ გუნდს.

ბოლივიელები კი საპირისპიროდ ფიქრობენ. მათ გადაუწყვეტიათ, ყველა შესარჩევი ლა პასში გამართონ, რომელიც ზღვის დონიდან 3600 მეტრზეა. ბოლივიელები ფიქრობენ, რომ ასეთ სიმაღლეზე თამაშით, მათ გუნდს მოწინააღმდეგეებთან გარკვეული უპირატესობა ექნება. თუმც ნაკრების არგენტინელი მწვრთნელი ექტორ ვეირა შიშობს, რომ იმ ბოლივიელ ფეხბურთელებს, რომლებიც გეოგრაფიულად ქვეყნის დაბალ რეგიონებში თამაშობენ, ნაკლები პრობლემები არ შეექმნებათ, ვიდრე სტუმრებს. ამიტომ ვეირას გადაუწყვეტია, ორი სრულფასოვანი გუნდი შექმნას — ერთი შინაური მატჩებისთვის, მეორე — საზღვარგარეთ წასასვლელად.

შეგახსენებთ, რომ სამხრეთ ამერიკის ქვეყნების შესარჩევი ტურნირი გაისად, 28 მარტს დაიწყება და 2001 წლის 14 ნოემბრამდე გაგრძელდება.

# ნუ დაანგრევთ ოჯახებს

ისრაელის ნაკრებმა შინ 0:5 წააგო დანიასთან. ამ მარცხის გამო ნამდვილი ვნებათაღელვა მხოლოდ ორი დღის შემდეგ დაიწყო. ადრე ვწერდით და შეგახსენებთ, პრესამ ფეხბურთელთა ერთი ჯგუფი მატჩის წინ საეჭვო ყოფაქცევის გოგონებთან დროსტარებაში ამხილა. საქმის გარჩევაში ქვეყნის მინისტრთა კაბინეტის წევრებიც ჩაებნენ. რამდენიმე ფეხბურთელმა პროტესტის ნიშნად ნაკრებში თამაშზე უარიც განაცხადა, ისინი ამბობდნენ, ისეთ რამეს გვწამებენ, ცოლ-შვილს თვალებში ველარც ვუყურებთო.

ისრაელის სპორტის მინისტრი ნათან ვილნაი ყველაზე შორს წავიდა. მან შექმნილ სიტუაციაში გარკვევა კერძო დეტექტივებს დაავალა.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გავრი ლევიმ ფეხბურთელები დაიცვა. მან თქვა: „დანიასთან წაგება მეტად სამწუხაროა, მაგრამ ფეხბურთელების ასე ხელაღებით დადანაშაულება არ შეიძლება. ამორალურ საქციელზე საუბრისას დელიკატურობა უნდა გამოვიჩინოთ და უტყუარი საბუთებიც გვქონდეს."

ფეხბურთელების აღშფოთება სავსებით გასაგებია. ვინ იცის, ეგებ ღალატი ფიქრადაც არ მოსვლიათ. თუმცა სიცრუის დეტექტორით შემოწმებას არავინ დათანხმდა. საინტერესოა, ცოლები რას ფიქრობენ?

# კინი ოლდ ტრეფორდზე დარჩება



როი კინი

როი კინის გარშემო ატეხილი ვნებათაღელვა არ ცხრება. მანჩესტერელთა კაპიტანმა განაცხადა, შესაძლოა, კლუბი დავტოვოო. ხმები მაშინვე აგორდა, კინით მადრიდის „რეალი", ასევე იტალიური „ლაციო" და „იუვენტუსი" არიან დაინტერესებულნიო.

ყველაფერ ამას თავისი ახსნა აქვს. საქმე ისაა, რომ ირლანდიელს „მანჩესტერთან" კონტრაქტის ვადა გაისად ივნისში უმთავრდება.

კლუბის ხელმძღვანელებს ფეხბურთელის თავისთან დასატოვებლად ორი, მეტად სერიოზული მიზეზი აქვთ. ერთი ის, რომ კინი გუნდის სული და გულია, მეორე მიზეზი დიდი ფულია. კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ, „მანჩესტერი" თავის ფეხბურთელში საკომპენსაციო თანხას ველარ აიღებს. არადა, კინი იაფი ნამდვილად არ ღირს.

ამიტომ, კლუბი სერიოზულ დათმობებზეც წავა, ოღონდ კონტრაქტი გააგრძელოს. თავხოტორა ირლანდიელის მიზანიც ეს არის. მან დრო კარგად შეარჩია და კლუბის მეპატრონეებს თავისი აგენტი მიუგზავნა. კინმა ტელეინტერვიუში თქვა: „მოლაპარაკებები ჯერ საწყის ფაზაშია. შედეგებს მალე მოგახსენებთ."

კომენტარი „იუნაიტედის" ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, სერ როლანდ სმიტმაც გააკეთა: „ყველაფერს ვილონებთ, რომ ჩვენი კაპიტანი „ოლდ ტრეფორდიდან" არ გავუშვათ."

როგორც ჩანს, გარიგება შედგება. კინი ახალ კონტრაქტს გააფორმებს, რომლითაც მას უფრო მაღალი ხელფასი დაენიშნება. ყოველ შემთხვევაში, ყველაფერი აქეთკენ მიდის.

## ფეხბურთის რუკასთან



ესპანური „ბარსელონას" ფინანსური უთანხმოებები აქვს თავისივე ნახევარმცველ ემანუელ ამუნიკესთან. საქმე ისე გამწვავდა, რომ სასამართლოს გასარჩევი შეიქნა. ნიგერიელ ამუნიკეს, რომელიც 1996 წლის ოლიმპიური ჩემპიონია, კატალონიურ კლუბში ორ წელზე მეტ ხანს არ უთამაშია. ამის მიზეზი მუხლის ტრავმაა. ფეხბურთელმა მკურნალობის კურსი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიარა. კლინიკამ ესპანეთში ქვითარი გამოაგზავნა, რომლის თანახმად მას, 17 მილიონი პესეტა (104 ათასი დოლარი) მართებს. უთანხმოებაც აქედან დაიწყო. ამუნიკემ ფულის გადახდა კლუბს მოსთხოვა, ეს უკანასკნელი კი უარზეა. ამჟამად, ნიგერიელი გამოჯანმრთელებულია, თუმცა მხოლოდ ინდივიდუალურად ვარჯიშობს. თავად ფეხბურთელის განცხადებაში, მას იმედი არა აქვს, რომ ძირითად შემადგენლობაში მალე დაბრუნდება.

უკრაინელები ჯერაც ვერ გამოსულან შოკიდან. სლოვენიასთან წაგების შემდეგ, ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ვალერი პუსტოვოიტენკომ ნაკრების მთავარი მწვრთნელის, იოჟეფ საბოს გადადგომა მოითხოვა. პრემიერს ამის უფლება აქვს, ის ამავდროულად ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტიც არის. საბოს კონტრაქტის ვადა 31 დეკემბერს უმთავრდება. მან კომენტარისგან თავი შეიკავა და მხოლოდ ეს თქვა: „მე იმ ასაკში არ ვარ, რომ საინფორმაციო ომში ჩავება. მეტს არაფერს ვიტყვი. დაველოდოთ მოვლენების შემდგომ განვითარებას". აღსანიშნავია, რომ უკრაინელებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა ნაადრევად იზეიმეს. „ლუჟნიკებზე", რუსეთთან ფრედ დამთავრებული მატჩის შემდეგ პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ საბო და რამდენიმე ფეხბურთელი ღირსების ორდენით დააჯილდოვა. სლოვენიელთა სიძლიერე კი მათ სათანადოდ ვერ შეაფასეს.

ესპანეთის მესამე დივიზიონში მოასპარეზე „ჰერკულესის" ფეხბურთელები, რომელთაც კუთვნილი ხელფასი ოქტომბრის თვის მერე არ მიუღიათ, გაფიცვით იმუქრებიან. „გაფიცვას ვაპირებთ" — განაცხადა გუნდის კაპიტანმა ხოსე იგნასიო კონტემ. კლუბის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ეძებს ფინანსურ გზებს, რათა ფეხბურთელებს კუთვნილი ხელფასი დაურიგოს.

შვედეთის ნაკრებისა და გლაზგოს „სელტიკის" 28 წლის ფორვარდი ჰენრიკ ლარსონი, რომელმაც გასულ თვეში უეფას თასის ტურნირში, ფრანგულ „ლიონთან" მატჩში ფეხი მოიტეხა, დაგეგმილზე ადრე აღიდგენს ფორმას. ამან კი კლუბის ექიმები ფრიად გაახარა. „ლარსონი დაგეგმილზე გაცილებით ადრე დაიწყებს თამაშს, ვიდრე ვვარაუდობდით. მას ძვალი შეუხორცდა და ახლა ყავარჯნების გარეშე დადის, სულ მალე წონის აღდგენასაც შეუდგება. ვიმედოვნებთ, რომ ფეხბურთელი ევრო 2000-ის ფინალურ ეტაპზე იასპარეზებს" — განაცხადეს გუნდის ხელმძღვანელებმა.

საფრანგეთის ლიგის თასის კენჭისყრა: სტრასბური — მეცი; ტულუზი (II) — ლანსი; ბასტია — მარსელი; ლიონი — ამიენი (II); ლე მანი (II) — შატორუ; რედ სტარი (III) — ნიმი (II); პსჟ — კრეტეი (II); ნიცა (II) — სედანი; ტრუა — ბორდო; ნიორი (II) — გენიონი (III); სენტ ეტიენი — ნანტი; ლუანი (II) — ნანსი; ოსერი — მონაკო; ბოვე (III) — ლე ავრი; გენგამი — მონპელიე; სოშო (II) — რენი. შეხვედრები ჩატარდება 8 და 9 იანვარს.

# ჯანდაცვის სამინისტრო გაფრთხილებთ...

ინგლისის ნაკრების ყოფილმა თავდამსხმელმა პოლ მერსონმა ჟურნალისტებს განუცხადა: „მე მინდა ფეხბურთის თამაში. ეს საქმიანობა ძალიან მიყვარს და სხვა რამის კეთება არ შემიძლია". იტყვით, თუ უნდა ითამაშოს, რა უშლის ხელსო. საქმე ისაა, რომ ალკოჰოლმა, ნარკოტიკებმა და აზარტული თამაშისადმი გადამეტებულმა სიყვარულმა მერსონის კარიერას და მთელ ცხოვრებას დაღი დაასვა. კოკაინით გატაცებამ, ფეხბურთელი ჯერ კიდევ 1994 წელს მოახვედრა სარეაბილიტაციო კლინიკაში. მერსონი ამჟამად თავს განკურნებულად თვლის. ზემოთ მოყვანილი მისი სიტყვებიც მკურნალობის კურსის ჩატარების შემდეგ არის ნათქვამი. მერსონის კარიერას ბევრი დასრულებულად მიიჩნევს. თავად ფეხბურთელი ოპტიმისტურად არის განწყობილი.

ოთხშაბათს მერსონი მინდორზე გამოჩნდა. მისი „ასტონ ვილა" ლოუგბოროუს უნივერსიტეტის სტუდენტებს ხვდებოდა. მერსონს შეტევაში პარტნიორობა სტენ კოლიმორმა გაუწია.

კოლიმორი ერთ დროს ბრიტანეთის უძვირესი ფეხბურთელი იყო. „ლივერპულმა" მასში 8,5 მილიონი გირვანქა გადაიხადა. დიდმა ფულმა ბევრსავნო. კოლიმორსაც ასე დაემართა. ის დეპრესიამ შეიპყრო და მერსონის მსგავსად, სარეაბილიტაციო კლინიკაში მოხვდა. ფეხბურთელი ამჟამად „ასტონ ვილას" საკუთრებაა, მაგრამ ჯონ გრეგორი მას არ ენდობა. კოლიმორი რამდენიმე თვით „ფულემში" ჰყავდათ განათხოვრებული. შემდეგ მისი გაშვება „ნოტინგემ ფორესტში" უნდოდათ. კოლიმორმა იუარა, „ვილას" გარდა არსად ვითამაშებო. გრეგორიმ კი თქვა, ჩემს გუნდში მაგის ადგილი არ არის და არასდროს იქნებაო. მწვრთნელს არ გაემტყუნება. კოლიმორი სისტემატურად აცდენს ვარჯიშებს, რისთვისაც არაერთხელ დააჯარიმეს. მსგავსი პრობლემები მას „ფულემშიც" ჰქონდა. ურჩი ფეხბურთელები კი არც ერთ მწვრთნელს არ უყვარს, გრეგორიც არ არის გამონაკლისი.

სტუდენტებთან თამაშს მივუბრუნდეთ. გულშემატკივრები მერსონ-კოლიმორის [illegible]ვილს აღფრთოვანებულნი არ შეხვდრიან. მატჩის შემდეგ, მერსონისთვის კილაცას უკითხავს — „დღეს, თქვენი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, კარგად ითამაშეთ, თუ ცუდად"? ფეხბურთელმა უპასუხა — „ძალიან ცუდად, თუმცა მაინც კმაყოფილი ვარ".

თვითონ თუ კმაყოფილია, ჩვენ რაღა გვეთქმის.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მანჩესტერელთა თავზე მოყანყალე გვირგვინი

## საკონტინენტთაშორისო თასი, 30 ნოემბერი

**მანჩესტერ იუნაიტედი**
(ინგლისი)

დაარსდა: 1878 წელს, 1902 წლამდე ერქვა „ნიუტონ ჰითი"
პრეზიდენტი: მარტინ ედვარდსი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
სტადიონი: „ოლდ ტრეფორდი" (ტევადობა 56 387)
ფერები: ალისფერი მაისურები, თეთრი ტრუსები
ინგლისის ჩემპიონი (12): 1908, 11, 52, 56, 57, 65, 67, 93, 94, 96, 97, 99
ინგლისის ასოციაციის თასის მფლობელი (10): 1909, 48, 63, 77, 83, 85, 90, 94, 96, 99
ლიგის თასის მფლობელი (1): 1992
ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი (2): 1968, 99
ევროპის თასების მფლობელთა თასის მფლობელი (1): 1991
ევროპის სუპერთასის მფლობელი (1): 1991
ფინალისტი (1): 1999 (წააგო რომის „ლაციოსთან" 0:1)
საკონტინენტთაშორისო თასის ფინალისტი (1): 1968 (წააგო არგენტინის „ესტუდიანტესთან" 1:1, 0:1)

„მანჩესტერ იუნაიტედს", ბოლო დროს, ისეთი უჩვეულო ჩავარდნები დასჩემდა, რომ მაისში დრამატულად მოგებულ ევროპის ჩემპიონთა თასს სამშაბათს, ტოკიოში, საკონტინენტთაშორისო თასი შეიძლება ვერც დაამატოს.

ცუდმა თამაშმა განსაკუთრებით ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის პირველ შეხვედრაში, „ფიორენტინასთან" (0:2) იჩინა თავი. ეს შეხვედრა რამდენიმე დღის წინანდელია. მოკლედ, ალექს ფერგიუსონის გუნდის თავზე მორგებული ევროპული გვირგვინი ერთობ ყანყალებს.

„ფიორენტიასთან" მარცხი მანჩესტერელთათვის ბოლო ოთხ სალიგო შეხვედრაში მეორე გახლდათ. გეხსომებათ, რომ მანამდე, 1997 წლიდან მოყოლებული, გუნდს ზედიზედ 18 მატჩიდან წაგებული ერთიც არ ჰქონდა. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ფერგიუსონისთვის ბრაზილიურ „პალმეირასთან" თამაშის ხარისხის გამოსწორება ერთობ მნიშვნელოვანი საკითხია.

მეორე მხრივ „იუნაიტედს" შეუძლია გახდეს ზედიზედ მეხუთე ევროპული კლუბი და პირველი ინგლისური რომელიც საკონტინენთაშორისო თასს მოიპოვებს. 1995 წელს ჯილდო „აიაქსმა" მოიგო, 1996 წელს „იუვენტუსმა", 1997-ში „დორტმუნდმა", ხოლო 1998-ში „რეალმა".

ინგლისურ კლუბთაგან პირველი, რომელიც ამ თასს წაეპოტინა სწორედ „იუნაიტედი" გახლდათ. მან 1968 წელს, ორმატჩიან, ნერვიულ ბრძოლაში არგენტინულ „ესტუდიანტესთან" წააგო ჯამში 1:2. მას მერე საკონტინენტთაშორისო თასისთვის იბრძოლეს „ნოტინგემ ფორესტმა" (1980), „ლივერპულმა" (1981), „ასტონ ვილამ" (1982) და კვლავ „ლივერპულმა" (1984). ყველა დამარცხდა.

დიახ, „მანჩესტერ იუნაიტედს" შეუძლია თავის ჯილდოთა უმდიდრესი კოლექცია კიდევ ერთი ბრწყინვალე თასით შეავსოს, მაგრამ საკუთრივ თასი მომავალშიც იარსებებს თუ არა, ან რა ფორმასა და ფორმატს მიიღებს, კაცმა არ იცის.

უეფასა და კონმებოლის ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც ევროპისა და სამხრეთ ამერიკის წარმომადგენლებმა ყოველ წელიწადს, ტოკიოში უნდა მოუსინჯონ ერთმანეთს ძალა, სულ მალე ვადა გაუდის. მოგეხსენებათ, იანვარში „მანჩესტერ იუნაიტედი" ბრაზილიას მიემგზავრება, სადაც სხვადასხვა კონტინენტის შვიდ გუნდთან ერთად მსოფლიოს პირველ საკლუბო ჩემპიონატში უნდა ითამაშოს, თუ ეს შეჯიბრება, რომელსაც, სხვათაშორის, უეფა მხარს არ უჭერს, ფეხს მოიკიდებს, მაშინ საკონტინენტთაშორისო თასის არსებობას შეიძლება აზრი დაეკარგოს.

„იუნაიტედს" კიდევ ერთი პრობლემა აქვს. დღეს მისი მომავლის ბევრს ეეჭვება. მაგალითად, „ფიორენტინას" მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ მისი ამჟამინდელი შემადგენლობის დაშლა იწინასწარმეტყველა და განაცხადა, რომ „იუნაიტედის" ახალგაზრდა ფეხბურთელები მალე იტალიურ კლუბებს მიაშურებენ.

კაპიტანი, როი კინი რომ მომავალი სეზონიდან სერია A-ში გადავა, მეტისმეტად გავრცელებული ჭორი გახლავთ. ამბობენ იმასაც, თითქოს მანჩესტერელთა ვარსკვლავი დევიდ ბექემი, ლონდონის ერთ-ერთი კლუბის წევრი გახდება, ვინაიდან მისი მეუღლე პოპ-ვარსკვლავი ვიქტორია ადამსი თავის განრიგს დევიდისას ვერ უხამებს.

გამოდის, რომ ალექს ფერგიუსონის მიერ რუდუნებით ნაგებ გუნდს დიდი დღე აღარ უწერია, თუმცა ეს მხოლოდ ეჭვებია, რომელთა საფუძვლიანობას ტოკიოშიც შეამოწმებენ და იანვრის ბრაზილიაშიც.

**მაიკ კოლეტი, როიტერი**



REUTERS იოკოჰამადან

ბრაზილიური „პალმეირასის" თავდამსხმელი ოსეასი გუნდთან ერთად „მანჩესტერთან" სათამაშოდ ემზადება

**პალმეირასი**
(ბრაზილია)

დაარსდა: 1914 წელს, 1942 წლამდე ერქვა „პალესტრა იტალია"
სტადიონი: „პარკ ანტარქტიკა" (ტევადობა 32 000)
ფერები: თეთრ-მწვანე მაისურები, თეთრი ტრუსები
ბრაზილიის ჩემპიონი (4): 1972, 73, 93, 94
სან პაულუს შტატის ჩემპიონი (2): 1951, 65
შტატების ლიგის ჩემპიონი (21)
ბრაზილიის თასის მფლობელი (3): 1960, 67, 98
სამხრეთ ამერიკის „ლიბერტადორესის" თასის მფლობელი (1): 1999
ფინალისტი (2): 1961, 68

„პალმეირასი" სამხრეთ ამერიკის საუკეთესო კლუბი არ გახლავთ. იგი არც ყველაზე სასიამოვნო ფეხბურთს თამაშობს, მაგრამ „დიდ ფილად" წოდებული მწვრთნელის რკინის ხელით მართული პროგნოზების თანახმად, საკონტინენტთაშორისო თასზე ევროპელთა მიყოლებულ წარმატებებს ბოლოს მოუღებს.

პირდაპირ მთქმელი, ხანდახან უხეში ლუის ფელიპე სკოლარი, რომელიც ფელიპაოდ ან, როგორც მოგახსენეთ, „დიდ ფილად" არის ხალხში ცნობილი, ძალისმიერი ფეხბურთის ქადაგების გამო ხშირად კრიტიკის ობიექტად იქცევა ხოლმე, მაგრამ, როდესაც საქმე თასის მომგები გუნდის შექმნას ეხება, მას კონტინენტზე ბადალი არ მოეძებნება.

სკოლარიმ 90-იან წლებში ათი ძირითადი ჯილდო მოიპოვა და ამ მაჩვენებლით ბრაზილიელ კოლეგათაგან მხოლოდ ტელე სანტანა თუ შეედრება, თუმცა მან ჯანმრთელობის გაუარესების გამო მუშაობას თავი დაანება.

ამავე დროს სკოლარი, ერთადერთი მწვრთნელი გახლავთ, რომელმაც იმავე 90-იან წლებში ორ სხვადასხვა გუნდს მოაგებინა ლიბერტადორესის თასი. ეს გუნდები გახლდათ „გრემიო" (1995) და „პალმეირასი" (1999).

სკოლარი სამშაბათს მეორედ ეწვევა ტოკიოს, სადაც ოთხი წლის წინ „გრემიოსთან" ერთად არის ნამყოფი.

მაშინ, 95-ში, „გრემიომ" „აიაქსთან" პენალტებით წააგო. სამშაბათს „დიდი ფილია" ყველა ღონეს იხმარს, რათა მეორე მარცხი თავიდან აიცილოს და თან 1994 წელს, „ველეს სარსფილდის" გამარჯვების შემდეგ თასი კვლავ სამხრეთ ამერიკას უძღვნას.

დიდი ფილას „პალმეირასში" მისვლამდე — ეს ორწელიწადნახევრის წინ მოხდა — გუნდს ლამაზად მოთამაშის, მაგრამ „კოპა ლიბერტადორესზე" ხელმოცარულის სახელი ჰქონდა გავარდნილი. სკოლარიმ სილამაზე შედეგს შესწირა მსხვერპლად.

რკინის ხელიანი მწვრთნელი ხშირად თავისი ფეხბურთელების საჯაროდ ლანძღვასაც არ ერიდებოდა. ერთხელ სკოლარიმ თავის პირდაპირობაზე თქვა: „ვიცი, სულელურად გამომდის, სიმართლის თქმა რომ მიყვარს. სხვა მწვრთნელები ასე არ იქცევიან". ამის მიუხედავად, სკოლარი ეშმაკობასაც მიმართავს ხოლმე. მას არაერთხელ უთქვამს, ესა და ეს ფეხბურთელი დაშავებულია და ვერ ითამაშებსო. მოწინააღმდეგეც ამ ინფორმაციის საფუძველზე აგებს თავის ტაქტიკას. მინდორზე გამოსვლისას კი აღმოჩნდება, რომ სკოლარიმ მოიტყუა.

„პალმეირასი" სამი ფეხბურთელის ირგვლივ აგებული გუნდია. ესენი არიან ზინიო, სეზარ სამპაიო და ჟუნიორ ბაიანო. სამივეს მსოფლიოს ჩემპიონატებზე უთამაშია. მათ გარდა კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის გამორჩევა შეიძლება. პაულო ნუნესი საჯარიმოების ბრწყინვალედ შემსრულებლად ითვლება, პარაგვაელი არჩი პასების უზუსტესი მიწოდებით გამოირჩევა. რაც შეეხება ფაუსტინო ასპრილიას, მას წარდგენა არ სჭირდება. ჩვენ იგი ჯერ კიდევ „პარმიდან" და „ნიუკასლიდან" გვახსოვს. სკოლარი ასპრილიას რამდენიმე თვე სათადარიგოთა სკამზე ამყოფებდა. კოლუმბიელმა მხოლოდ ბოლო შეხვედრებში ნაჩვენები კარგი თამაშით მოიპოვა ადგილი ძირითად შემადგენობაში. „ფაუსტინო კარგად იცნობს ინგლისურ ფეხბურთს და ტოკიოში დიდად დაგვეხმარება" — უთქვამს მწვრთნელს.

ამომავალი მზის ქვეყანაში მიმავალ გუნდს აეროპორტში ასობით ქომაგი გაჰყვა. მათ ომახიანი შეძახილებით გააცილეს ფეხბურთელები და წარმატება უსურვეს.

წინ საკონტინენტთაშორისო თასის ფინალია. „მანჩესტერ იუნაიტედი" და „პალმეირასი" ერთმანეთს არასდროს შეხვედრიან. რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ამის მიზეზი სამხრეთ ამერიკაში არსებული რეგლამენტი გახლდათ. 1968 წელს „მანჩესტერმა" ევროპის ჩემპიონთა თასი მოიგო. იმავე წელს „პალმეირასი" ლიბერტადორესის თასის ფინალში გავიდა. ბრაზილიელთა მეტოქე არგენტინული „ესტუდიანტესი" იყო. პირველი შეხვედრა არგენტინელებმა 2:1 მოიგეს. განმეორებით მატჩში „პალმეირასმა" 3:1 გაიმარჯვა. თანამედროვე წესების მიხედვით, ჩემპიონობა ბრაზილიელებს ეკუთვნოდათ, მაგრამ მაშინ ბურთების შეფარდებას ყურადღება არ ექცეოდა. დაინიშნა გადათამაშება. ნეიტრალურ მოედანზე, მონტევიდეოში, „ესტუდიანტესმა" 2:0 მოიგო და სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი გახდა.

### ყველა ფინალი

| | |
|---|---|
| 1960 | რეალი (მადრიდი, ესპანეთი) 0:0, 5:1 პენიაროლი (მონტევიდეო, ურუგვაი) |
| 1961 | პენიაროლი (მონტევიდეო, ურუგვაი) 0:1, 5:0, 2:1 ბენფიკა (ლისაბონი, პორტუგალია) |
| 1962 | სანტოსი (სან პაულუ, ბრაზილია) 3:2, 5:2 ბენფიკა (ლისაბონი, პორტუგალია) |
| 1963 | სანტოსი (სან პაულუ, ბრაზილია) 2:4, 4:2, 1:0 მილანი (იტალია) |
| 1964 | ინტერი (მილანი, იტალია) 0:1, 2:0, 1:0 ინდეპენდიენტე (ბუენოს აირესი, არგენტინა) |
| 1965 | ინტერი (მილანი, იტალია) 3:0, 0:0 ინდეპენდიენტე (ბუენოს აირესი, არგენტინა) |
| 1966 | პენიაროლი (მონტევიდეო, ურუგვაი) 2:0, 2:0 რეალი (მადრიდი, ესპანეთი) |
| 1967 | რასინგი (ბუენოს აირესი, არგენტინა) 0:1, 2:1, 1:0 სელტიკი (გლაზგო, შოტლანდია) |
| 1968 | ესტუდიანტესი (ბუენოს აირესი, არგენტინა) 1:0, 1:1 მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) |
| 1969 | მილანი (იტალია) 3:0, 1:2 ესტუდიანტესი (ბუენოს აირესი, არგენტინა) |
| 1970 | ფეიენოორდი (როტერდამი, ჰოლანდია) 2:2, 1:0 ესტუდიანტესი (ბუენოს აირესი, არგენტინა) |
| 1971 | ნასიონალი (მონტევიდეო, ურუგვაი) 1:1, 2:1 პანათინაიკოსი (ათენი, საბერძნეთი) |
| 1972 | აიაქსი (ამსტერდამი, ჰოლანდია) 1:1, 3:0 ინდეპენდიენტე (ბუენოს აირესი, არგენტინა) |
| 1973 | ინდეპენდიენტე (ბუენოს აირესი, არგენტინა) 1:0 იუვენტუსი (ტურინი, იტალია) |
| 1974 | ატლეტიკო (მადრიდი, ესპანეთი) 0:1, 2:0 ინდეპენდიენტე (ბუენოს აირესი, არგენტინა) |
| 1975 | *ფინალი არ გამართულა* |
| 1976 | ბაიერნი (მიუნხენი, გერმანია) 2:0, 0:0 კრუზეირო (ბელუ ორიზონტი, ბრაზილია) |
| 1977 | ბოკა ხუნიორსი (ბუენოს აირესი, არგენტინა) 2:2, 3:0 ბორუსია (მიონხენგლადბახი, გერმანია) |
| 1978 | *ფინალი არ გამართულა* |
| 1979 | ოლიმპია (ასუნსიონი, პარაგვაი) 1:0, 2:1 მალმიო (შვედეთი) |
| 1980 | ნასიონალი (მონტევიდეო, ურუგვაი) 1:0 ნოტინგემ ფორესტი (ინგლისი) |
| 1981 | ფლამენგო (რიო დე ჟანეირო, ბრაზილია) 3:0 ლივერპული (ინგლისი) |
| 1982 | პენიაროლი (მონტევიდეო, ურუგვაი) 2:0 ასტონ ვილა (ბირმინგემი, ინგლისი) |
| 1983 | გრემიო (ბრაზილია) 2:1 ჰამბურგი (გერმანია) |
| 1984 | ინდეპენდიენტე (ბუენოს აირესი, არგენტინა) 1:0 ლივერპული (ინგლისი) |
| 1985 | იუვენტუსი (ტურინი, იტალია) 2:2 (პენ. 4:2) არგენტინოს ხუნიორსი (ბუენოს აირესი, არგენტინა) |
| 1986 | რივერ პლეიტი (ბუენოს აირესი, არგენტინა) 1:0 სტიაუა (ბუქარესტი, რუმინეთი) |
| 1987 | პორტუ (პორტუგალია) 2:1 პენიაროლი (მონტევიდეო, ურუგვაი) |
| 1988 | ნასიონალი (მონტევიდეო, ურუგვაი) 1:1 (პენ. 7:6) პსვ (ეინდჰოვენი, ჰოლანდია) |
| 1989 | მილანი (იტალია) 1:0 ატლეტიკო ნასიონალი (მედელინი, კოლუმბია) |
| 1990 | მილანი (იტალია) 3:0 ოლიმპია (ასუნსიონი, პარაგვაი) |
| 1991 | ცრვენა ზვეზდა (ბელგრადი, იუგოსლავია) 3:0 კოლო კოლო (სანტიაგო, ჩილე) |
| 1992 | სან პაულუ (ბრაზილია) 2:1 ბარსელონა (ესპანეთი) |
| 1993 | სან პაულუ (ბრაზილია) 3:2 მილანი (იტალია) |
| 1994 | ველეს სარსფილდი (ბუენოს აირესი, არგენტინა) 2:0 მილანი (იტალია) |
| 1995 | აიაქსი (ამსტერდამი, ჰოლანდია) 0:0 (პენ. 4:3) გრემიო (ბრაზილია) |
| 1996 | იუვენტუსი (ტურინი, იტალია) 1:0 რივერ პლეიტი (ბუენოს აირესი, არგენტინა) |
| 1997 | ბორუსია (დორტმუნდი, გერმანია) 2:0 კრუზეირო (ბელუ ორიზონტი, ბრაზილია) |
| 1998 | რეალი (მადრიდი, ესპანეთი) 2:1 ვასკუ და გამა (ბრაზილია) |

## კითხვა – პასუხი

— *მანჩესტყე, შაავიტყე, ვერაფერიც ვერ შავიტყე...*

— გამარჯობა

— *ნახვამდის.*

— სალამს აღარ კადრულობ?

— *ნახვამდის, გიგზის მოსატყუებელი კბილი კარგახანია მოვიცვალე.*

— ააა, მეც არა ვთქვი, ეს კაცი რამ გაავბედნიერა-მეთქი?

— *აბა, რას იტყვი, მოიხადა ევროპამ წითელა ბატონებიო?*

— გაუჭირდება, გაუჭირდება, ძმობილო.

— *აღარ გაუჭირდება. ისეთი წამალი მაქვს შემონახული, რომ საბოლოოდ დაამარცხებს სახადს.*

— რა ჰქვია ემაგ წამალს?

— *კლაუდიო.*

— კოვზი ნაცარში. ბატონებზე წამალი არა სჭრის. მხოლოდ შელოცვა.

— *იმიტომ, არ გაჭრა ბატიგოლის წამალმა?*

— მინახავს ეგეც გულგატეხილი.

— *რად უნდა ბევრი ლაპარაკი? ეგ შენი წითელი, გუნდი აღარ არი.*

— ამდენი ხანია გიცნობ და ვერ გავიგე ვისი ბალეშჩიკი ხარ.

— *ვინც ბატონებს დაამარცხებს.*

— მეგობრად გიცანი და მტერი ყოფილხარ.

— *რა ვქნა, მომწყინდა იმის ყურება, როგორ უმიზნებს ბექემი ბურთს იორკის თავს.*

— ესე იგი, პანკარო რომ უმიზნებს სტანკოვიჩის თავს, ეს დიდებული რამეა, ბექემის დამიზნებული კი არ ვარგა, იმიტომ რომ სტანკოვიჩის ცოლს არავინ იცნობს, ბექემისას კი ყველა?

— *ეგ რა შუაშია? „ლაციოს“ ვინმე ჯობია წელს?*

— „რომა“, „რომა“ ჯობია. ისეთია, რომა...

— *ეგ შენი „რომა“ „ნიუკასლს“ ვერ უგებს.*

— სამაგიეროდ „ლაციოს“ უგებს.

— *აქედან რა გამოდის?*

— ის, რომ „მანჩესტერი“ გამოიღვიძებს.

— *ეჰ, როგორც ცხონებული მატ ბასბი ვერ გამოიღვიძებს...*

— ვენაცვალე მეაცას აჩრდილს, სად არიან „მილანი“ და „ინტერი“, როცა შენ წითელა ბატონების მოხდას ლამობ?

— *ეგრე არ შეიძლება, ძმაო, ვინმე უნდა იყიდოთ.*

— „ლაციო“ არავის ყიდის და ვისგან ვიყიდოთ?

— *ვან ფოსენი იყიდეთ.*

— ჩვენი კრუიფიც გვეყოფა.

— *მაშინ რედონდო იყიდეთ.*

— ჩუმი და დამალული ჩემი მეზარება, სხვისი ვიყიდო?

— *მაშინ ტორიჩელი იყიდეთ და დააყენეთ ბერგის ადგილზე.*

— სიამოვნებით, მაგრამ მაგ იერის კაცს „ოლდ ტრეფორდზე“ ვერ გავატარებ.

— *კოული გყავს და მორენოს იწუნებ?*

— კოული უცხოელი კი არ არის, საკუთარია.

— *და გაზა?*

— რაო?

— *გაზა იყიდეთ.*

— გაზას ვიყიდდით...ცამეტი წლის წინათ.

— *ესე იგი, აღარ ვარგა?*

— ერთი-ორ ჩასიძებულს კიდევ ჯობია.

*როლან კურბისის გადაყენების შესახებ „სარბიელმა“ გუშინვე გაუწყათ. ჯონ ტოშაკის არ იყოს, ეს ამბავი არავის გაკვირვებია. სტატისტიკა მოვიშველიოთ. კლუბი ეროვნულ ჩემპიონატში მეცხრე ადგილზეა. მშობლიურ „ველოდრომზე“ ჩატარებულ ცხრა შეხვედრაში „ოლიმპიკმა“ მხოლოდ 14 ქულა მოიპოვა. გუნდს ზედიზედ ხუთი თამაში არ მოუგია. ამას დავუმატოთ ჩემპიონთა ლიგაში „ლაციოსთან“ მარცხი და ყველაფერი ნათელი გახდება.*



მარსელის „ოლიმპიკის“ ახალდანიშნული თავკაცი ბერნარ კაზონი

# ლაციომ კურბისი შეიწირა

საფრანგეთის უდიდეს საპორტო ქალაქს ამბიციური კლუბი და მომთხოვნი გულშემატკივრები ჰყავს. თუმც „ოლიმპიკმა“ ვერ შეძლო, ბერნარ ტაპის მიერ შექმნილი სუპერკლუბის სახელი დაებრუნებინა. გუნდის საუკეთესო საევროპო შედეგი უეფას თასის ფინალში გასვლა აღმოჩნდა. მაისში, „ლუჟნიკებზე“, იტალიურმა „პარმამ“ მარსელელთა განადგურება პირველივე ტაიმში დაასრულა.

ოთხშაბათს „ლაციოსთნა“ წაგებით ყველაფერი არ დასრულებულა. წინ კიდევ ხუთი შეხვედრა, მაგრამ კლუბის პრეზიდენტი რობერ ლუი დრეიფუსი ლიგის მეოთხედფინალში გასვლის შანსს პრაქტიკულად ვერ ხედავს. ამიტომაც გუნდს ახალი მიზანი აქვს. „ოლიმპიკი“ ქვეყნის ჩემპიონატში მინიმუმ მესამე ადგილზე უნდა გავიდეს. ამით მას გაისად ჩემპიონთა ლიგაში დაბრუნების შანსი გაუჩნდება.

კურბისი ფეხბურთელებს საწვრთნელ ბაზაზე გამოემშვიდობა. ჟურნალისტებთან შეხვედრისას მან განაცხადა: „ბოლო ხუთი თვე ყველაზე ცუდი იყო ჩემს სამწვრთნელო კარიერაში. ძალიან დავიღალე და დასვენება მჭირდება“.

როლან კურბისი 46 წლისაა. ის მარსელში დაიბადა და ფეხბურთის თამაშიც იქ დაიწყო. „ოლიმპკის“ ცენტრალურმა მცველმა გუნდთან ერთად 1972 წელს საფრანგეთის ჩემპიონატი მოიგო. შემდეგ ის „მონაკოში“ გადავიდა. ევროპის ამ ჯუჯა სახელმწიფოში კურბისს სახლიც აქვს და იქაური სახელგანთქმული კაზინოს ხშირი სტუმარიცაა. ამ კლუბების გარდა, კურბისს „ბორდოში“, „ტულუზსა“ და ბერძნულ „ოლიმპიაკოსშიც“ უთამაშია.

სამწვრთნელო კარიერა კურბისმა „ტულონში“ დაიწყო. აქ მან ნოვატორის სახელი დაიმკვიდრა. შემდეგ იყო „ბორდო“ და „ტულუზი“. „მარსელიდან“ წასვლის შემდეგ მისი ახალი სამუშაო ადგილი უცნობია. მწვრთნელი ჯერჯერობით არც ერთ ვარიანტს არ განიხილავს.

ამასობაში რობერ ლუი დრეიფუსმა კურბისის მემკვიდრის ვინაობა გამოაცხადა. ახალ მენეჯერად „მარსელის“ ყოფილი მცველი ბერნარ კაზონი დაინიშნა.

კურბისმა კაზონის წარმატება უსურვა. მან თქვა: „ეს საუკეთესო არჩევანი იყო. კაზონი კლუბს და ფეხბურთელებს კარგად იცნობს. მე კი მხოლოდ იმაზე მწყდება გული, რომ უკეთეს შედეგს ვერ მივაღწიე“.

# მიირთვით ცხელი პიცა

## ანუ მცირე კულინარიული რჩევა მათთვის, ვინც მსოფლიოს ნომერ პირველ სპორტს მისდევს

ალბათ, ბევრს აინტერესებს, თუ რას მიირთმევენ წამყვანი საფეხბურთო კლუბების ფეხბურთელები, რისგან შედგება მათი ყოველდღიური კვების რაციონი, რის ჭამა ევალებათ და რის — ეკრძალებათ. ამაზე საუკეთესო პასუხს რომის „ლაციოზე“ უკეთ ვერავინ გაგვცემს. კონტინენტის ერთ-ერთმა უძლიერესმა კლუბმა, საგანგებოდ ფსიქოლოგიც კი დაიქირავა, რათა მან შესაბამისი რჩევები მისცეს ფეხბურთელებს.

აი, რას ფიქრობს ამ საკითხზე პროფესორი კამა, პიროვნება, რომელსაც სპორტსმენთა კვების დარგში ბადალი მთელ იტალიაში არ მოეძებნება.

„ათლეტებს კუნთოვანი სისტემის ჰარმონიულად განვითარებისთვის ნივთიერება კარბიჰიდრატი ესაჭიროებათ. როდესაც სპორტსმენი მხოლოდ წვნიანი კერძებით იკვებება, ვფიქრობ, ეს საკმარისი არ გახლავთ. მე ამ მხრივ დიდი გამოცდილება მაქვს და ვთვლი, რომ ერთი მოზრდილი ნაჭერი პიცა ტომატით, კარტოფილითა და ოდნავ მაიონეზით ყველა ფეხბურთელმა უნდა მიირთვას. ეს ენერგიის მომატებასა და ორგანიზმში ნივთიერებათა დაბალანსებას უწყობს ხელს. თანამედროვე ფეხბურთი მოთამაშეებს უდიდეს ენერგიას ახარჯვინებს და მისი სწრაფად აღდგენაა საჭირო. მიმაჩნია, რომ ეს მხოლოდ დიეტით არ მიიღწევა. თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზედმეტად ცხიმიანი საკვების მიღება არათუ სპორტსმენს, არამედ ნებისმიერ ადამიანს ვნებს, ამიტომ მხოლოდ გარკვეული ნორმაა დასაშვები.“

„ლაციოს“ შვედმა თავკაცმა სვენ გორან ერიკსონმაც გაითვალისწინა პროფესორის რჩევა. თქვენ წარმოიდგინეთ, კლუბმა სპეციალური ფურგონიც კი შეიძინა, რათა სპეცპერსონალმა ფეხბურთელებს საწვრთნელ ბაზა „ფორმელოზე“ ყოველდღე მიართვას ცხელ-ცხელი პიცა. გასაკვირია, მაგრამ ეს სუპერიტალიური კერძი ყველაზე მეტად არაიტალიური წარმოშობის ფეხბურთელებმა, არგენტინელმა ხუან სებასტიან ვერონმა და ჩილელმა მარსელო სალასმა დაიგემოვნეს.

პროფესორი კამას მოსაზრებამ მთლიანად გააქარწყლა ცნობილი ზდენეკ ზემანის თეორია სპორტსმენთა მკაცრი დიეტის შესახებ. ფეხბურთელები მხოლოდ ვეგეტარიანული საკვებითა და წვნიანებით უნდა იკვებებოდნენ, ირწმუნებოდა ჩეხი.

„ამ სახის დიეტის დაცვა ფეხბურთელებისთვის მართებულად არ მიმაჩნია — განაცხადა კამამ და დაამატა — იქნებ სპორტის ზოგიერთ სახეობათა წარმომადგენლებს მართლაც ეკრძალებათ ზედმეტი ჭამა, მაგრამ ეს ფეხბურთს არ ეხება. თუმც კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, ყველაფერში ნორმაა საჭირო და საერთოდ, ყველაფერ ამას საქმეში ჩახედული პროფესიონალებმა უნდა ადევნონ თვალყური.“

ფეხბურთისა და კულინარიის ერთობლიობის ფაქტი პირველი არ გახლავთ. იმავე „ლაციოს“ ყოფილ ფეხბურთელს, ჯუზეპე სინიორის კულინარიულ რეცეპტთა კრებულიც კი გამოუქვეყნებია სახელწოდებით „იტალიელ ფეხბურთელთა დიეტა“. წიგნი თავის დროზე საკმაოდ მოიწონეს და ინგლისურადაც კი თარგმნეს.

ინგლისელი პოლ გესქოინი ხომ ყველა სკანდალში უნდა გაეხვიოს და რაღა კულინარია იქნებოდა გამონაკლისი? ერთი ხანობა პოლს ინგლისის ნაკრების მაშინდელ მწვრთნელ გრემ ტეილორთანაც კი ჰქონდა კონფლიქტი კვების თაობაზე.

მოდი და ამის მერე თქვი, რომ ქვეყანაზე არსებობს სფერო, რომელსაც ფეხბურთთან კავშირი არ აქვს...

**საიმონ ევანსი, როიტერი**



REUTERS მარსელიდან

ზემის შემდეგ „ლაციოს“ ფეხბურთელებს ბაზაზე ცხელი პიცა ელით

გიო ახვლედიანის სვეტი

## მწვრთნელი ლაპარაკობს

აბა, მისმინეთ, ბიჭებო.

ყველამ იცით, რა უნდა ქნათ, მაგრამ თამაში ისეთი, რამეა, რომ ყველაფრისთვის მზად უნდა იყო. ძალიან კარგია, რომ პირველი ტაიმი მოვიგეთ და ძალიან კარგია, რომ სწორედ ახლა ვხვდებით ამათ. ჩვენ ხერხემალი გადავუმსხვრიეთ ემაგ ჩემპიონებს, თუმცა, არ იფიქროთ, რომ მათ აქამდე არ ჰქონდათ გადამსხვრეული, ნუ წარმოიდგენთ, რომ ამით რაღაცა შევძინეთ ფეხბურთს. ჩვენს თავს უნდა შევძინოთ, აი, ეს არის მთავარი.

ნუ მიყურებთ ასე უაზროდ. დაფიქრდით, რა შეიძლება მოხდეს შესვენების შემდეგ? სწორია, სანდრინო, დაგვაწვებიან, მაგრამ მთელი ჩვენი ფეხბურთი ხომ იმისთვისაა მოგონილი,რომ ამ დაწოლას გაუძლოს? ვიცი, რაც გიდევთ გულში, ფლანგებისა გეშინიათ. ნუ გეშინიათ ფლანგებისა, იმიტომ რომ სულ ტყუილად გგონიათ, რომ ფლანგების ამბავი განაპირა მცველთა გადასაწყვეტია, მითუმეტეს ასეთ გუნდთან. მთავარი დაცვის ცენტრია, შუბლები გაიპრიალეთ, ბიჭებო! თავი უნდა დაუხვედროთ.

რატომ? მე იმას კი არ ვამბობ, რომ განაპირა მცველებმა ფრთის მოთამაშეები გაატარონ. თუ გაატარებენ, თქვენი შუბლები საჭირო აღარ იქნება. მაგრამ ვერ წარმომიდგენია, შვილო, ჯუზეპე, როგორ უნდა გაგექცეს, ის ბიჭი მარცხენა ფლანგზე. მაგას მუხლების მაგივრად ბამბა აქვს და არ მითხრა, რომ სწრაფია და დრიბლინგი იცის. ეგ უშენოდაც დავინახე. მაგას მალე გაყიდიან და ამიტომ, თავსაც არ შემოგაკლავს. თუმცა, იცოდე, რომ თუ დასწრებაზე ეთამაშები, ეს ორჯერ გააკეთე პირველ ტაიმში, წავა და დადგება გვერდით ხაზთან. ამან არ დაგამშვიდოს. ერთხელაც მიუვა ბურთი და ვიცი, შენს მოტყუებას აღარ შეეცდება, პირდაპირ დაკიდებს. აიძულე, რომ პირდაპირ დაკიდოს. თქვენ კი შუბლები გაიპრიალეთ. გასაგებია?

რაო, მარჯვენა ფლანგიო?

თქვენ თვითონ ხართ ვარსკვლავები. კი, გასაგებია, რომ ისიც ვარსკვლავია. ეგეც გასაგებია. გესმოდათ, რა ხმაშეწყობილი სიმღერით უგინებდნენ ცოლს ჩვენი გულშემატკივრები? არ ეთამაშოთ დასწრებაზე, შენ მაგის თავის არა გაქვს, კარლო. ბურთში, ფეხებში ეთამაშე, ოღონდ, არა იმიტომ, რომ ვერ დაკიდოს, არამედ იმიტომ, რომ, ფეხში, რომ ხვდება ფეხი, ძალიან ბრაზობს. სამჯერ რომ მოხვდება, მეოთხედ თავად ჩაგარტყამს ფეხს და ამას ისე გააკეთებს, რომ მთელმა მსოფლიომ დაინახოს. მსაჯი კი მთელი მსოფლიოს ნაწილია. ეცადეთ, რომ ყვითელი ბარათი მიიღოს, შენც მიიღე, მაგრამ იმანაც მიიღოს. მერე ერთხელ განდაგან მოყევი, სისწრაფეში არ დაუთმო, ოღონდ არც ფეხებში ჩაუვარდე, მოკლედ, აგრძნობინე რომ შეუძლია დაკიდოს. დაკიდოს და დაკიდოს. თქვენ ოთხმა ხომ უკვე გაიპრიალეთ შუბლები? თქვენ, ორნი დააზღვევთ, თქვენ ორნი წინ დაიჭერთ პოზიციას.

ორი ცენტრფორვარდი? სისულელეებს ნუ ლაპარაკობ. ბურთი მათზე არ მოდის, ბურთი თქვენზე მოდის, იმიტომ, რომ ვერც ის ქარაქუცა ფიქრობს, სად აწვდის და ვერც ეს ბოლმიანი. ისინი ფიქრობენ, რომ ის ორი ცენტრფორვარდი თქვენზე კარგად დგას და მორჩა. ცენტრფორვარდები კი ფიქრობენ, რომ ფლანგებიდან ძალიან ცუდად მოდის ბურთი. ამიტომ, თქვენ ფიქრობთ, რომ ყველაფერი კარგადაა. გასაგებია?

გამიგონეთ, ძალიან კარგია, რომ სწორედ დღეს ვხვდებით მათ. ყველაფერთან ერთად ისინი გადაღლილები არიან. დაიწვნენ.

კიდევ, რაღაცის თქმა მინდოდა...

ჰო, პეპე, ნუ იცი უცებ წამოხტომა, როცა გაქცევენ. შენ რა, არაფერი გტკივა?

აბა, წავედით.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. XIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 27 ნოემბერი | | | |
| 042 | ვოლფსბურგი — ჰერტა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 043 | არმინია — ლევერკუზენი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 044 | ჰანზა — უნტერჰახინგი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 045 | მიუნხენი — ბაიერნი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | 28 ნოემბერი | | | |
| 046 | ვერდერი — ჰამბურგი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 047 | აინტრახტი — კაიზერსლაუტერნი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| 048 | დორტმუნდი — დუისბურგი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 27 ნოემბერი | | | |
| 052 | ბოხუმი — ფორტუნა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 28 ნოემბერი | | | |
| 053 | ზანქტ პაული — კარლსრუე | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 054 | მიონხენგლადბახი — ვალდჰოფი | 1,7 | 3,3 | 4,0 |
| 055 | ბერლინი — ოფენბახი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 056 | ობერჰაუზენი — ქემნიცი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 29 ნოემბერი | | | |
| 057 | ფიურტი — ნიურნბერგი | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. XVI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 27 ნოემბერი | | | |
| 058 | ქოვენთრი — ლესტერი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 059 | ევერტონი — ასტონ ვილა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 060 | მიდლსბრო — უიმბლდონი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 061 | უოტფორდი — სანდერლენდი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 062 | ვესტ ჰემი — ლივერპული | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 28 ნოემბერი | | | |
| 063 | ლიდსი — საუთჰემპტონი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 064 | ნიუკასლი — ტოტენჰემი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 065 | არსენალი — დერბი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 066 | ჩელსი — ბრედფორდი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XXI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 27 ნოემბერი | | | |
| 068 | ბირმინგემი — სუინდონი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 069 | ბლექბერნი — სტოკპორტი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 070 | ჩარლტონი — პორტ ვეილი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 071 | კრისტალ პალასი — ნოტინგემი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 072 | იფსვიჩი — ქრიუ | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 073 | მანჩესტერ სიტი — ჰადერსფილდი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 074 | პორტსმუთი — ბოლტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 075 | ქუინზ პარკი — ბარნსლი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 076 | ტრანმერი — ვულვერჰემპტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 077 | ვესტ ბრომვიჩი — შეფილდი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 28 ნოემბერი | | | |
| 078 | გრიმსბი — ნორვიჩი (17[00]) | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### ინგლისი. II დივიზიონი. XIX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 27 ნოემბერი | | | |
| 079 | ბლეკპული — კემბრიჯი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 080 | ბორნმუთი — მილუოლი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 081 | როვერსი — ლუტონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 082 | ბერი — პრესტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 083 | კარდიფი — ჯილინგემი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 084 | ჩესტერფილდი — ოქსფორდი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 085 | ნოტსი — ბრისტოლი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 086 | ოლდემი — რექსემი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 087 | რედინგი — სკანთორპი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 088 | სტოკი — კოლჩესტერი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 089 | უიგანი — ბარნლი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 090 | უიკომბი — ბრენტფორდი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### ინგლისი. III დივიზიონი. XIX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 27 ნოემბერი | | | |
| 091 | ბრაიტონი — ნორთჰემპტონი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 092 | კარლაისლი — როტერჰემი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 093 | ჩელტენემი — ლეიტონი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 094 | ჩესტერი — სუონსი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 095 | ექსეტერი — ტორკი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 096 | ჰალიფაქსი — მენსფილდი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 097 | ლინკოლნი — როჩდეილი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 098 | მაკლსფილდი — ჰარტლპული | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 099 | პიტერბრო — ბარნეტი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 100 | შრიუსბერი — ჰალი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 101 | საუთენდი — დარლინგტონი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 102 | იორკი — პლიმუთი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. XVII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 27 ნოემბერი | | | |
| 103 | ნანსი — მარსელი | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| 104 | ლე ავრი — მონაკო | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| 105 | სენტ ეტიენი — სტრასბური | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 106 | მონპელიე — პსჟ | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| 107 | ტრუა — მეცი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 108 | რენი — ოსერი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | 28 ნოემბერი | | | |
| 109 | სედანი — ნანტი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 110 | ლანსი — ბორდო | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| 111 | ბასტია — ლიონი | 2,9 | 2,8 | 2,3 |

### იტალია. სერია A. XI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 27 ნოემბერი | | | |
| 112 | პიაჩენცა — ვერონა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 113 | ბოლონია — ფიორენტინა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | 28 ნოემბერი | | | |
| 114 | კალიარი — ბარი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 115 | ლეჩე — ვენეცია | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 116 | მილანი — პარმა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 117 | რეჯინა — ინტერი | 4,4 | 2,8 | 1,8 |
| 118 | ტორინო — პერუჯა | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 119 | უდინეზე — რომა | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| 120 | ლაციო — იუვენტუსი | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### იტალია. სერია B. XIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 28 ნოემბერი | | | |
| 122 | ბრეშა — ვიჩენცა | 2,0 | 2,6 | 3,8 |
| 123 | კიევო — ჩეზენა | 2,2 | 2,6 | 3,3 |
| 124 | კოზენცა — ნაპოლი | 2,8 | 2,6 | 2,5 |
| 125 | ემპოლი — სალერნიტანა | 1,8 | 2,6 | 5,0 |
| 126 | ფერმანა — მონცა | 2,6 | 2,6 | 2,7 |
| 127 | რავენა — ტერნანა | 2,1 | 2,6 | 3,5 |
| 128 | სამპდორია — ტრევიზო | 1,7 | 2,7 | 5,6 |
| 129 | სავოია — პესკარა | 2,6 | 2,6 | 2,7 |
| | 29 ნოემბერი | | | |
| 130 | პისტოიეზე — ალძანო | 2,5 | 2,6 | 2,8 |

### იტალია. სერია C1/A. XII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 28 ნოემბერი | | | |
| 131 | ლეკო — კრემონეზე | 2,3 | 2,6 | 3,1 |
| 132 | ლივორნო — ლუკეზე | 2,6 | 2,6 | 2,7 |
| 133 | ლუმეცანე — ჩიტადელა | 2,7 | 2,6 | 2,6 |
| 134 | მონტევარკი — კარარეზე | 2,6 | 2,6 | 2,7 |
| 135 | რეჯანა — კომო | 1,8 | 2,6 | 5,0 |
| 136 | სანდონა — პიზა | 3,8 | 2,6 | 2,0 |
| 137 | სიენა — მოდენა | 1,6 | 2,7 | 7,0 |
| 138 | სპალ — ბრეშელო | 1,6 | 2,7 | 7,0 |
| 139 | ვარეზე — ალბინოლეფე | 1,9 | 2,6 | 4,2 |

### იტალია. სერია C1/B. XII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 28 ნოემბერი | | | |
| 140 | არეცო — ატლეტიკო | 1,6 | 2,7 | 7,0 |
| 141 | აველინო — გუალდო | 2,0 | 2,6 | 3,8 |
| 142 | დი სანგრო — პალერმო | 2,2 | 2,6 | 3,3 |
| 143 | კატანია — ასკოლი | 1,9 | 2,6 | 4,2 |
| 144 | კროტონე — ბენევენტო | 1,8 | 2,6 | 5,0 |
| 145 | ჯულიანოვა — ნოჩერინა | 2,3 | 2,6 | 3,1 |
| 146 | სტაბია — ვიტერბეზე | 1,7 | 2,6 | 6,0 |
| 147 | ლოდიჯანი — ფ. ანდრია | 1,9 | 2,6 | 4,2 |
| 148 | მარსალა — ანკონა | 4,0 | 2,7 | 1,9 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. XIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 27 ნოემბერი | | | |
| 155 | სევილია — მალაგა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 28 ნოემბერი | | | |
| 149 | ესპანიოლი — ალავესი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 150 | რასინგი — ბეტისი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 151 | სარაგოსა — ვალიადოლიდი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 152 | სელტა — რეალი | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| 153 | სოსიედადი — ნუმანსია | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 154 | ატლეტიკო — დეპორტივო | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 156 | ოვიედო — ვალენსია | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 157 | მალიორკა — ბარსელონა | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 158 | რაიო ვალეკანო — ბილბაო | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. XVI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 27 ნოემბერი | | | |
| 165 | კომპოსტელა — ეიბარი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 167 | ლას პალმასი — ბადახოსი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 169 | ლეიდა — სალამანკა | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | 28 ნოემბერი | | | |
| 159 | უელვა — ესტრემადურა | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 160 | ტოლედო — სპორტინგი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 161 | მერიდა — ტენერიფე | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 162 | ატლეტიკო B — ლევანტე (15[00]) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 163 | ლეგანესი — ვილიარეალი (15[00]) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 164 | ოსასუნა — ელჩე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 166 | კორდობა — ხეტაფე | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 168 | ლოგრონიესი — ალბასეტე | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### პორტუგალია. XII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 27 ნოემბერი | | | |
| 171 | სპორტინგი — ლეირია | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | 28 ნოემბერი | | | |
| 172 | ამადორა — ჟილ ვისენტე | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 173 | სეტუბალი — ალვერკა | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 175 | გიმარაეში — რიუ ავე | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 176 | სანტა კლარა — ბრაგა | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 177 | სალგეირუში — პორტუ | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| | 29 ნოემბერი | | | |
| 174 | ბენფიკა — კამპომაიორენსე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 178 | ფარენსე — ბოავიშტა | 4,0 | 3,0 | 1,8 |

### ჰოლანდია. XIV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 27 ნოემბერი | | | |
| 180 | სიტარდი — ნაიმეგენი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 181 | ტვენტე — ტილბურგი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 28 ნოემბერი | | | |
| 182 | ალკმაარი — აიაქსი (17[30]) | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 183 | გრააფსხაპი — ვიტესი (17[30]) | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 184 | ფეიენოორდი — პსვ (16[00]) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 185 | ვალვაიკი — სპარტა (17[30]) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 186 | უტრეხტი — დენ ბოსხი (17[30]) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 30 ნოემბერი | | | |
| 187 | როდა — მაასტრიხტი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

### ბელგია. XV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 27 ნოემბერი | | | |
| 189 | სენტ ტრუიდენი — ბევერენი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 190 | ლოკერენი — მუსკრონი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 191 | ანდერლეხტი — გენკი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 192 | მეხელენი — ვესტერლო | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 193 | გეელი — ლომელი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | 28 ნოემბერი | | | |
| 194 | ბეერსხოტი — შარლერუა | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 195 | აალსტი — სტარდარდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 196 | ჰარელბეკე — გენტი | 2,9 | 2,8 | 2,3 |

### საბერძნეთი. IX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 28 ნოემბერი | | | |
| 197 | კალამატა — პანიონიოსი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 198 | პანილიაკოსი — ირაკლისი | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| 199 | აპოლონი — პროდეფტიკი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 200 | ოლიმპიაკოსი — ეთნიკოსი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 201 | კავალა — პანაჰაიკი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 202 | იონიკოსი — პანათინაიკოსი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 203 | ტრიკალა — ქსანთი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 204 | არისი — პაოკ | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 205 | აეკ — ოფი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

**ჩეხეთი. XV ტური**

28 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 207 | ვიქტორია — ტეპლიცე (13$^{15}$) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 208 | ლიბერეცი — ბანიკი (16$^{30}$) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 209 | ბლშანი — ბოჰემიანსი (16$^{30}$) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 210 | ოპავა — იაბლონეცი (16$^{30}$) | 1,8 | 3,2 | 3,6 |
| 211 | ჰ. კრალოვე — დუკლა | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 212 | დრნოვიცე — სპარტა | 3,4 | 2,9 | 2,0 |

29 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 213 | სლავია — ბრნო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

**თურქეთი. X ტური**

27 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 215 | ანთალია — ფენერბაჰჩე | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 216 | ადანა — გენჩლერბირლიგი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

28 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 217 | გაზიანთეფი — ვანი (15$^{30}$) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 218 | ისთანბული — ქოჯაელი (16$^{00}$) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 219 | ალთაი — სამსუნი (16$^{00}$) | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 220 | გალათასარაი — ერზურუმი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 221 | ტრაბზონი — დენიზლი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 222 | ბურსა — გიოზთეფე | 1,9 | 2,9 | 3,6 |

**შოტლანდია. XVI ტური**

27 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 223 | დანდი იუნაიტედი — სენტ ჯონსტონი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 224 | ჰიბერნიანი — აბერდინი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 225 | კილმარნოკი — ჰართსი | 2,4 | 2,8 | 2,7 |

28 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 226 | რეინჯერსი — დანდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 227 | მოზერუელი — სელტიკი | 4,7 | 3,0 | 1,7 |

**ავსტრია. XXII ტური**

27 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 229 | აუსტრია — ლინცერი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 230 | რიდი — გრაცერი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 231 | ზალცბურგი — ბრეგენცი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

30 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 232 | შტურმი — რაპიდი | 2,3 | 2,8 | 2,9 |

**შვეიცარია. XX ტური**

27 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 233 | ბაზელი — ლოზანა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 234 | ქსამაქსი — ლუცერნი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

28 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 235 | არაუ — ციურიხი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 236 | გრასჰოპერი — დელემონი (17$^{30}$) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 237 | ლუგანო — სენტ გალენი (17$^{30}$) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 238 | ივერდონი — სერვეტი (17$^{30}$) | 2,4 | 2,8 | 2,7 |

**დანია. XVIII ტური**

27 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 239 | ოდენსე — ბრიონდბიუ | 3,8 | 3,1 | 1,8 |

28 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 240 | სილკებორგი — ორჰუსი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 241 | კოპენჰაგენი — ვიბორგი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 242 | აკადემისკი — ოლბორგი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 243 | ესბიერგი — ლიუნგბიუ | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 244 | ჰერფიოლგე — ვაილე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

**საკონტინენტთაშორისო თასი** (ტოკიოში)

30 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 525 | მანჩესტერი — პალმეირასი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

## ტურში გატანილი გოლები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი. XVII ტური | 22 და ნაკლები | 1,9 | 24 და მეტი | 1,9 |
| იტალია. XI ტური | 23 და ნაკლები | 1,9 | 25 და მეტი | 1,9 |
| ესპანეთი. XIII ტური | 26 და ნაკლები | 1,9 | 28 და მეტი | 1,9 |
| საბერძნეთი. X ტური | 22 და ნაკლები | 1,9 | 24 და მეტი | 1,9 |

**კალათბურთი. NBA**

27 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 863 | ნიუ იორკი — ორლანდო | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 864 | მაიამი — ვაშინგტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 865 | ატლანტა — ბოსტონი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 866 | კლივლენდი — შარლოტი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 867 | მილუოკი — ფილადელფია | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 868 | მინესოტა — ვანკუვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 869 | დალასი — ჩიკაგო | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 870 | სან ანტონიო — დენვერი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 871 | ფინიქსი — ნიუ ჯერსი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 872 | კლიპერსი — პორტლენდი | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 873 | გოლდენ სტეიტი — ტორონტო | 2,0 | 12,0 | 1,5 |

28 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 874 | დეტროიტი — ორლანდო | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 875 | სიეტლი — ინდიანა | 1,35 | 12,0 | 2,5 |

29 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 876 | ნიუ იორკი — დალასი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 877 | მაიამი — საკრამენტო | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 878 | იუტა — გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 879 | პორტლენდი — ინდიანა | 1,15 | 12,0 | 4,0 |

**კალათბურთი. ე.ჩ. შესარჩევი მატჩები**

27 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 880 | სლოვაკეთი — ინგლისი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 881 | უნგრეთი — ხორვატია | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 882 | შვეიცარია — ლატვია | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 883 | ბელარუსი — პოლონეთი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 884 | საბერძნეთი — ჩეხეთი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 885 | ავსტრია — ესტონეთი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 886 | ჰოლანდია — შვედეთი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 887 | ბოსნია — ისრაელი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 888 | ფინეთი — ბულგარეთი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 889 | პორტუგალია — უკრაინა | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 890 | მაკედონია — სლოვენია | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 891 | ისლანდია — ბელგია | 4,0 | 12,0 | 1,15 |

**ჰოკეი. NHL**

27 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 902 | ლოს ანჯელესი — სან ხოსე | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 903 | ტორონტო — ედმონტონი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 904 | მონრეალი — ვანკუვერი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 905 | აილენდერსი — ვაშინგტონი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 906 | კაროლინა — პიტსბურგი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 907 | ფლორიდა — ატლანტა | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 908 | სენტ ლუისი — ჩიკაგო | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 909 | ნეშვილი — ანაჰაიმი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 910 | კოლორადო — კალგარი | 1,4 | 4,4 | 3,4 |

28 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 911 | ოტავა — ფილადელფია | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 912 | დეტროიტი — ფინიქსი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 913 | ტამპა ბეი — ბუფალო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 914 | ბოსტონი — აილენდერსი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 915 | ატლანტა — დალასი | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| 916 | სან ხოსე — ნიუ ჯერსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |

29 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 917 | ტორონტო — ვაშინგტონი | 1,4 | 4,4 | 3,4 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს წინასწარ შერჩეული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# 9 ტური — ანონსი

საქართველოს ჩემპიონატი

**27 ნოემბერი. ბათუმი. 14.00**
**ბასკო — შევარდენი**

**27 ნოემბერი. ვერის ბაღი. 13.00**
**ასკ — ვითა**

**27 ნოემბერი. ვერის ბაღი. 14.45**
**სტუ — სდასუ**

**28 ნოემბერი. ვერის ბაღი. 13.00**
**გორი — სსუ**

**28 ნოემბერი. ვერის ბაღი. 14.45**
**თსუ — დინამო**

**28 ნოემბერი. რუსთავი. 14.00**
**აზოტი — მაკაბი**

ეროვნული პირველობის მეცხრე ტურში საკალათბურთო საქართველოს ყველა მოქმედი სარბიელი სრულად დაიტვირთება. ძირძველ ვერის ბაღზე რომ არაფერი ვთქვათ, ამ უქმეებზე დებიუტანტ „ბასკოსა" და ვიცე-ჩემპიონ „აზოტის" შინაური კედლებიც აურიამულდება. გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი „ბასკო" და მის კვალში ჩამდგარი რუსთაველი კლუბი საკუთარ ქალაქებში უმასპინძლებენ მეტოქეთ.

ტურის ცენტრალურ შეხვედრად კი უდავოდ ვერის ბაღში გასამართი სტუ-სდასუ უნდა მივიჩნიოთ. კიდევ ერთი სტუდენტური დერბი, რომელიც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, ალბათ, მეტოქეთა მეტ-ნაკლები თანაბარძალოვნებისა თუ სატურნირო ცხრილში დაბუდებული ინტრიგის გამო.

სადღეისოდ ორივე კლუბს ტოლად აქვს ქულები. გასულ კვირას „დინამოს" დამარცხებით სტუ მეოთხე ადგილზე მოკალათდა და მხოლოდ ბურთების უკეთესი თანაფარდობით სჯობს ლევან მოსეშვილის სდასუ-ს, რომელმაც, თავის მხრივ, სრულიად უემოციოდ წააგო წინა ტურში „აზოტთან".

თუ იმ მატჩის მიხედვით ვიმსჯელებთ, ერთხანს მოძლიერებულ სდასუელთა კარსმომდგარ კრიზისზე მსჯელობა უპრიანი იქნება, მაგრამ მრისხანე „აზოტთან" ერთად იმ დღეს სტუდენტთ საშინელი უიღბლობაც დაატყდათ თავს. ამისგან კი არავინაა დაზღვეული.

მაინცდამაინც არც ტექნიკოსებს უთამაშიათ „დინამოსთან" მთლად დაწყობილ-დალაგებულად. საბოლოოდ კი იმარჯვეს, მაგრამ თავიდან არასათანადოდ შეაფასეს მოწინააღმდეგე და არხეინად დაუხვდნენ. მათი მთავარი მწვრთნელის, ნუგზარ ჭეიშვილის შეძახილებიც, გაილვიძეთ, გამოფხიზლდითო, სწორედ ამაზე მიგვანიშნებდა.

ვეჭვობთ, ჭეიშვილმა სდასუ-სთანაც მსგავსი მიზეზით დახარჯოს ენერგია. ალბათ, ახლა ზედმეტად თავდაჯერებულ სტუ-ს აღარ ვიხილავთ მოედანზე. მათ ამის საბაბი არც აქვთ — აღმაშენებლის საუნივერსიტეტო გუნდი, როგორც ყოველთვის, წლეულსაც სოლიდურადაა დაკომპლექტებული და საჩემპიონო ამბიციამოძალებულ სტუ-საც უთუოდ მოგებისთვის შეებრძოლება.

ეგ არის, ცენტრის პრობლემა ვერ გადაუჭრიათ სდასუელთ. ლადო სუხაშვილი ჯერ მეტისმეტად ახალგაზრდაა და ბევრსაც ვერ მოსთხოვ. შოთა მაჭარაძე კია მაღალიც, ნაცადიც და ჯანიანიც, მაგრამ ფორმაში ვერაა და ეს „აზოტთან" შეხვედრამაც ცხადყო. მეტი არც არავინ ჰყავს სდასუ-ს ამ პოზიციაზე და რა გასაკვირია, რომ ტექნიკოსებთან ამ გუნდს ძალიან გაუჭირდება ფარის მისადგომებთან. სტუ-ს ერთბაშად ოთხი ტანმაღალი მოთამაშე ჰყავს, ამ მხრივ ჭეიშვილს ფართო არჩევანი აქვს და სავარაუდოა, რომ ამით შეეცდება სდასუ-ს წინააღმდეგობის დაძლევას. საჭიროებისდაგვარად მწვრთნელი ამ კალათბურთელებს ერთმანეთს შეუნაცვლებს, მით უფრო, რომ ოთხივე მათგანს ცენტრზე თამაშიც ეხერხება და თავდამსხმელობაც. კორძაძეც, მინაშვილიც, ოთიურიძეც და ორმოცაძეც გამოცდილები არიან და ხეირიც მოაქვთ თავიანთი გუნდისთვის. და თუ სტუ-მ საამატჩოდ ტრავმირებული ზურაბ ჩუბინიძეც ფეხზე დააყენა, სდასუ-ს ფარზე გასაბატონებლად ის მიზერული შანსიც მოესპობა, რაც აქამდე გააჩნდა.

დანარჩენ რგოლებში უპირატესობას ვერც ერთს მაინიჭებ. უკანა ხაზისა და ფრთის მოთამაშეები გუნდებს თითქმის ტოლ-სწორი ჰყავთ. თუ ამ მხრივ ოდნავ სდასუს-კენ გადავიხრებით, ისიც იმიტომ, რომ ამ კლუბში ზემოხსენებულ პოზიციებზე უფრო სტაჟიანი კალათბურთელები ილვწიან. თუმცა ამის კონტრიარგუმენტიც ხელთა აქვთ ტექნიკოსთა მწვრთნელებს, სტუ-ს უფრო გრძელი სკამი აქვს, თანაც, ნებისმიერ მოთამაშეზე შეიძლება გაკეთდეს აქცენტი.

არც სტუ-ს ბევრის შემძლე და მოსწრე გამთამაშებელი, ამ გუნდის წარმატებების უპირველესი საწინდარი დავით თორთლაძე უნდა იყოს სდასუ-სთან შეხვედრაში ისეთი პასიური, როგორც წინა ტურში „დინამოსთან". მასზეც ძალიან ბევრი იქნება დამოკიდებული და რა თქმა უნდა, იგი თავისას შეეცდება. და თუ რის გაკეთებას შეძლებს თორთლაძე, ამას მისი მეურვის სადღეისო მზადყოფნა განაპირობებს. სავარაუდოდ კი დათოს ან ირაკლი ხოშტარია დაიჭერს, ანაც გიორგი ჩხეიძე.

„აზოტთან" მატჩში მოსეშვილმა რუსთაველთა ლიდერ გოგობერიშვილს ხოშტარია რომ მიუჩინა, ამან აშკარად არ გაამართლა. ირაკლიმ ვერც გოგობერიშვილის გაუვნებლება შეძლო და შეტევებშიც უჩვეულოდ ცოტა, თორმეტი ქულა გააზერხა. რაკი სდასუ-ს ლიდერი სწორედ ხოშტარიაა, ლევან მოსეშვილს სხვა ტაქტიკის მიგნება მართებს, ისეთის, ხოშტარიას დაცვაში მეტ თავისუფლებას რომ მიანიჭებს და მთელი ძალით სწორედ შეტევაში დახარჯავს.

სიტყვა ტაქტიკაზე ჩამოვარდა და ორიოდ სიტყვით იმაზეც ვთქვათ, რომ სტუ უმეტესწილად პერსონალურ მეურვეობას არჩევს. ამ გუნდს აქვს წინასწარ შემუშავებული რამდენიმე კომბინაციაც, რომლებსაც დავით თორთლაძე თავს მშვენივრად აბამს და ძირითადად მინაშვილზე, ოთიურიძესა და ლოსაბერიძეზეა გათვლილი. მოსეშვილის გაწვრთნილი გუნდები კი ზონური დაცვის სიმკაცრითა და მოწინააღმდეგის ნახევარში ბურთის სწრაფი გადატანით გამოირჩევიან. სდასუ-ს შემტევი პოტენციალი კი ასეთია: ირაკლი ხოშტარიას ინდივიდუალური სიძლიერე, ბლოკის საშუალებით ცენტრის ხელსაყრელ პოზიციაში დატოვება ანაც, მსროლელების, უძილაურისა და აბულაძის ზუსტი სამქულიანები.

ამჯერად სულ ესაა, დანარჩენს კი თავად მატჩი გამოაჩენს. მოედანზე ვნახავთ, ვის რა ძალუძს, ვინ უფრო ძლიერია. სტიმული ორივე გუნდს საკმაო აქვს, ამ წყვილში გამარჯვებული ხომ საპატიო ოთხეულში ადგილს შეინარჩუნებს.

ვერის ბაღშივე, ოღონდ ხვალ, თსუ-„დინამო" დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. წინა ტურში შეიდგზის ჩემპიონ „ვითასთან" 34 ქულით წაგებული და პრესტიჟშელახული უნივერსიტეტელები გულის მოოხებას ახლა შეეცდებიან და რაც გამოუვათ, ამასაც ვნახავთ. წლეულს „დინამო" უჩვეულოდ ახალგაზრდულია და შედეგად მხოლო სამიანი უწერია მოგებათა გრაფაში, მაგრამ შეუპოვარი გიორგი ნიკოლაძის თაოსნობით ეს გუნდი დღითიდღე აუმჯობესებს თამაშის ხარისხს და არც ის არის გამორიცხული, არასტაბილურად მოთამაშე თსუ-საც გაჰკრას კბილი.

ჩვენ კი მაინც უნივერსიტეტელებს მივიჩნევთ ფავორიტად. ამ კლუბის მწვრთნელებმა, ალბათ, შესაბამისი დასკვნები გამოიტანეს და დინამოელთა წინააღმდეგაც უფრო ორგანიზებულნი წარდგებიან. და თუ მათ გამარჯვება სწადიათ და მეტი არაფერი, ერთი უნდა დაიმახსოვრონ, რადგაც უნდა დაუცდეთ, ნიკოლაძე უნდა შეაჩერონ.

წლეულს ყველაზე დიდი [illegible] („ვითას" 32 ქულით დამარცხება) [illegible] ნა ტურში ანტირეკორდის („მაკაბისთან" 44 ქულის [illegible]) ავტორის „გორ[illegible]" [illegible] გამარჯვება [illegible] მეცხრე ეროვნულში. ქართლელები ჯერაც გაუხარებელ სსუ-ს სტუმრობენ და სავსებით შესაძლებელია, კარგ ხასიათზე დაბრუნდნენ შინ. ამის ერთ-ერთი წინაპირობა კი მათი ბომბარდირის, სოსო ნინოშვილის ჯანმრთელობაა. თუ ნინოშვილმა ტრავმა მოიშუშა, ეგებ სსუ-მ ისევ ვერ დააჭაშნიკოს გამარჯვების გემო.

სხვა მხრივ სოხუმელებიც მოგებაზე არიან დაგეშილნი. მათი მწვრთნელი ვაჟა კვარაცხელიაც, ალბათ, როგორც არასდროს, ისე შეუპყრია ორი ქულის მოპოვების სურვილს.

მეცხრე ჩემპიონატის „არსენა" — „ვითა" საქმეს დასუსტებულ არმიულ კლუბთან დაიჭერს და თუ ამ ხალხური გმირის გზას გადაუხვია, ნაღდად დაამარცხებს მეტოქეს. ამ სეზონში ჩემპიონმა უკვე ორჯერ უწყალობა ღარიბთ ქულები და თუ ეს საკმარისად ჩათვალა, რა პრობლემაა, მის მორიგ გამარჯვებას წინ ველარაფერი დაუდგება. ისე, ღმერთი სამობითააო, ნათქვამია...

„შევარდენი" შაბათს „ბათუმს" ეწვევა და ძალიანაც რომ მოინდომოს, იქ მას არავინ ააფრენს. აჭარული „ბასკო" აქამდე არ დამარცხებულა და ახლა რატომღა უნდა მოეცაროს ხელი, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანს „შევარდენი" საგრძნობლად მოძლიერდა და ექვსეულისკენაც თამამად იმზირება.

„აზოტი" რუსთავში უმასპინძლებს „მაკაბის", რომელმაც დანავსული სერია გატეხა და ზედიზედ ოთხი მარცხის შემდეგ „გორი" გაანადგურა. „მაკაბის" ამ მატჩში დისკვალიფიკაციამოხდილი ირაკლი ბერიშვილიც წაეშველება, თუმცა ძნელი დასაჯერებელია, ყოველივე ამას ვიცე-ჩემპიონი სათვალავში აგდებდეს. „აზოტს" მხოლოდ ორი ქულა სურს და, ალბათ, გაიფორმებს კიდეც. აშკარაა, სხვა წონითი კატეგორიებია...

**გიორგი ბიძაშვილი**

## რეგულარული ჩემპიონატი
# არ უქმობდნენ მეზობლები

NBA



REUTERS

ინდიანა — დეტროიტი. ჯერი სტეკჰაუზი (№42) და ინდიანელი მარკ ჯეკსონი

25 ნოემბერი

**ინდიანა 99:107 დეტროიტი**

ინდიანა: სმიტსი (23), დევისი (21), როუზი (17)
დეტროიტი: სტეკჰაუზი (26), ჰილი (22), ლეიტნერი (19)

თუ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული სეზონის კალენდარს ჩავხედავთ, პირველი, რაც თვალში გვეცემა, ისაა, რომ თამაშების წინასწარ დაგეგმვისას არაა გათვალისწინებული არავითარი კანონზომიერება. ნბა-ში არ არსებობს ტურის მცნება. სამაგიეროდ, კარგად ესმით, რომ დაახლოებით ექვს თვეში თითოეულმა გუნდმა უნდა გამართოს ზუსტად 82 თამაში. ნებისმიერ გუნდს შეიძლება ხუთ დღეში ოთხი თამაშის გამართვამ მოუწიოს. შემდეგ კი ოთხი დღე დაისვენოს. მაგალითად, „სიეტლი" 21 ნოემბერს „ფინიქსს" შეხვდა, მომდევნო მატჩი კი მხოლოდ ხუთი დღის შემდეგ, 26 ნოემბერს მოუწია „კლიპერსთან".

25 ნოემბერს მხოლოდ „დეტროიტ პისტონზი" და „ინდიანა პეისერზი" დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ორივე მეტოქე ცენტრალური დივიზიონის ცხრილის შუაში იმყოფება. თან არა მარტო სატურნირო მდგომარეობით, არამედ ტერიტორიულადაც ერთმანეთის მეზობლები არიან და გუნდებს უფრო მეტი სტიმული ჰქონდათ, შემართებით ეთამაშათ.

მოულოდნელად „დეტროიტმა" მოიგო. მოულოდნელად იმიტომ, რომ „ინდიანა" მაინც უკეთეს გუნდად ითვლება. თან ის შინ თამაშობდა, სადაც განსაკუთრებით ძლიერია. როგორც ჩანს, „დეტროიტმა" დაძლია ის მცირე კრიზისი, რომლის გამოც პირველი ოთხი თამაში წააგო, მას შემდეგ კი შვიდიდან — მხოლოდ ორი. მშვენივრად ითამაშა სტუმართა მსროლელმა ჯერი სტეკჰაუზმა, რომელიც სასტარტო ხუთეულში მხოლოდ მას შემდეგ ჩასვეს, რაც ლვაწლმოსილმა ჯო დუმარსმა კალათბურთს თავი დაანება. მის მხარდამხარ მთელი „დეტროიტი" მშვენივრად ირჯებოდა. მართალია, „ინდიანამ" მოინდომა, მაგრამ მისმა ბებრებმა ბოლომდე ველარ მისდიეს გაცილებით ახალგაზრდა მეტოქეებს და ბოლო მეოთხედი 13 ქულით დათმეს.

**ირაკლი ფირაშვილი**

# ევროსტარის მონაწილენი გამოვლინდნენ

სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიბა) დაასახელა „ევროსტარის" მონაწილე „აღმოსავლეთის" და „დასავლეთის" გუნდების შემადგენლობები. შეგახსენებთ რომ, შემადგენლობების გამოსავლენად ფიბა-მ მოაწყო გულშემატკივართა საერთო-ევროპული გამოკითხვა. ევროპის თითოეულ ქვეყანაში ეს გამოკითხვა თითო გაზეთის საშუალებით მიმდინარეობდა. საქართველოში ფიბა-ს ექსკლუზიური პარტნიორი გაზეთი „სარბიელი" გახლდათ (საქართველოს კალათბურთის ფედერაციის რეკომენდაციით). ამრიგად, „სარბიელის" მკითხველმა უშუალოდ მიიღო მონაწილეობა „ევროსტარის" მონაწილე გუნდების შემადგენლობების დადგენაში.

თავად „ევროსტარი" 1999 წლის 28 დეკემბერს გაიმართება მოსკოვში. თითოეული გუნდის შემადგენლობაში 12 მოთამაშეა (10 — ევროპელი, 2 — არაევროპელი). მატჩს განსჯიან რომუალდას ბრაზაუსკასი (ლიტვა) და ეფიმ რესერი (გერმანია). ფიბა-ს საშეჯიბრო განყოფილების უფროსი ლუბომირ კოტლება მატჩის კომისარი იქნება.

გთავაზობთ „ევროსტარში" მონაწილე გუნდების შემადგენლობებს:

## აღმოსავლეთი

| № | მოთამაშე | კლუბი | ასაკი | სიმაღლე | ამპლუა | ქვეყანა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | ოდედ კატაში | პანათინაიკოსი | 25 | 193 | უკანა ხაზი | ისრაელი |
| 5 | დრაგან ტარლაჩი | ოლიმპიაკოსი | 26 | 210 | ცენტრი | იუგოსლავია |
| 6 | იბრაჰიმ ქუთლუაი | ეფესი | 25 | 198 | ფორვარდი | თურქეთი |
| 7 | ვასილი კარასიოვი | ცსკა | 28 | 194 | უკანა ხაზი | რუსეთი |
| 8 | იგორ კუდელინი | ცსკა | 26 | 196 | უკანა ხაზი | რუსეთი |
| 9 | ენტონი ბოუი | აეკ | 36 | 198 | უკანა ხაზი | აშშ |
| 10 | დეიან ბოდიროგა | პანათინაიკოსი | 26 | 204 | უკანა ხაზი | იუგოსლავია |
| 11 | ირჟი ზიდეკი | ჟალგირისი | 26 | 212 | ცენტრი | ჩეხეთი |
| 12 | ჟელკო რებრაჩა | პანათინაიკოსი | 27 | 211 | ცენტრი | იუგოსლავია |
| 13 | ანდრეი კირილენკო | ცსკა | 18 | 205 | ფორვარდი | რუსეთი |
| 14 | დინო რაჯა | ზადარი | 32 | 211 | ცენტრი | ხორვატია |
| 15 | დევიდ რივერსი | თოფაში | 34 | 186 | უკანა ხაზი | აშშ |

მწვრთნელი: *ალექსანდრ გომელსკი (რუსეთის ცსკა-ს პრეზიდენტი)*

## დასავლეთი

| № | მოთამაშე | კლუბი | ასაკი | სიმაღლე | ამპლუა | ქვეყანა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | მარკო მილიჩი | ოლიმპია | 22 | 200 | ფორვარდი | სლოვენია |
| 5 | ტაიუს ედნი | ბენეტონი | 26 | 177 | უკანა ხაზი | აშშ |
| 6 | ჯიმ ბილბა | ვილერბანი | 31 | 198 | ცენტრი | საფრანგეთი |
| 7 | გრეგორ ფუჩკა | ფორტიტუდო | 28 | 215 | ცენტრი | იტალია |
| 8 | ნიკოს ეკონომუ | კინდერი | 26 | 206 | ფორვარდი | საბერძნეთი |
| 9 | სტოიან ვრანკოვიჩი | ფორტიტუდო | 35 | 217 | ცენტრი | ხორვატია |
| 10 | კარლტონ მაიერსი | ფორტიტუდო | 28 | 192 | უკანა ხაზი | იტალია |
| 11 | ანდრეა მენეგინი | ვარეზე | 25 | 200 | ფორვარდი | იტალია |
| 12 | არტურას კარნიშოვასი | ფორტიტუდო | 28 | 204 | ფორვარდი | ლიტვა |
| 13 | ტანოკა ბერდი | პამესა | 28 | 206 | ცენტრი | აშშ |
| 14 | ანტუან რიგოდო | კინდერი | 28 | 200 | უკანა ხაზი | საფრანგეთი |
| 15 | ალესანდრო აბიო | კინდერი | 28 | 193 | უკანა ხაზი | იტალია |

მწვრთნელი: *კარლო რეკალკატი (ფორტიტუდო, იტალია)*

# ხელმოკლე ხელბურთელები შორ გზაზე ფიქრობენ

24 ნოემბერს საქართველოს ხელბურთის ასოციაციაში ალმასკომის სხდომა გაიმართა, რომელზეც შეაჯამეს საქართველოს პირველობის მეორე ტურის შედეგები და განიხილეს ეროვნული ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობის საკითხი. მეორე ტურის შედეგები მკითხველს უკვე ვაცნობეთ. რაც შეეხება მეორე საკითხს, მასზე მსჯელობა მთელი რიგი პრობლემების გაუთვალისწინებლად შეუძლებელი აღმოჩნდა.

საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის პლეი ოფში გავიდა და დანიასთან წაგება რომ არა, საუკეთესო 12 ევროპულ გუნდშიც მოხვდებოდა. პლეი ოფში გასვლამ წარმოუდგენლად აამაღლა ჩვენი გუნდის საერთაშორისო რეიტინგი. ამის დასტურია ის, რომ მსოფლიოს პირველობის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრები წილისყრის გარეშე ჩასვეს III ჯგუფში. ნაკრებს ხან სად ეპატიჟებიან ტურნირებზე, ხან სად — ოღონდ გზის ხარჯი გადაიხადეთ და მასპინძლობა ჩვენზე იყოსო. მაგრამ ჩვენი ნაკრები საქართველოს გარეთ ფეხსაც არ დგამს. არ დგამს კი არა, ვერ დგამს. ფული არა აქვს და იმიტომ.

აი, მთავარ პრობლემასაც მივადექით. ყველაფრის თავიდათავი ისევ უფულობაა, ქართული სპორტის ბოლო წლების მოუშორებელი საზრუნავი. საქართველოს ხელბურთის ასოციაციაში ყველას, ვისაც ეს ეკითხება, თავი ხელებში ჩაურგავს და მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობს, სად ვიშოვოთ ფული, სად ვიპოვოთ ის ღვთიან-მადლიანი, რომელიც ორიოდ კაპიკს არ დაიშურებსო. არა, ორიოდე კაპიკი ისე ვთქვი, ლაპარაკს მოჰყვა. 60 ათასი დოლარი მაინცაა საჭირო, რომ ეროვნული ნაკრები მსოფლიოს შესარჩევი ტურნირის გასვლით შეხვედრებზე გაემგზავროს.

არადა, ჩვენს უკვე იცნობენ ევროპაში. სამი მათგანი თამაშობს კიდეც უცხოეთში. ტიტე კალანდაძე იტალიის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გუნდ „ტრიესტაში" გამოდის. გარი თურქია — მაკედონიის „ტუტუნკომბინატში", სერგო დათუკაშვილი — იუგოსლავიის „მეტალოპლასტიკაში". სამივე თავისი გუნდის წამყვანი მოთამაშეა და საშუალოდ თითო მატჩში 6-7 ბურთი გააქვთ. სულ ახლახან ბოყოჩაძეც მიიწვიეს სლოვენიასა და საბერძნეთში. მოსწონთ ჩვენი ბიჭები და ეპატიჟებიან კიდეც. როგორც ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზაზა დოლიძე ამბობს, ეს ყველაფერი კარგია, რადგან ნაკრებისათვის რამდენიმე მოთამაშე მუდმივად კარგ ფორმაში ეყოლება, თორემ საქართველოში, გაყინულმა, ნახევრადმშიერმა, რა დონეს უნდა მიაღწიო? ის კი არა, ხომ გეუბნებით, ასოციაციას გუნდის მგზავრობის ფული ვერ უშოვია. თითქოს ძებნაც არ უნდა — სპორტის დეპარტამენტი, მაგრამ ყვავს რა კაკალი უნდა გააგდებინო, თუ არა აქვს?

ვალები კი დაგროვდა. ცალკე სპორტის დეპარტამენტს მართებს ასოციაციის 31500 ლარი, ცალკე ასოციაციამ უნდა უხადოს სხვებს 30000 ლარი. საიდან ამდენი ვალი? საიდან და იქიდან, რომ შეპირდნენ საქართველოს ნაკრებს სპორტის დეპარტამენტში, ოღონდ თქვენ პლეი ოფში გადით და ხარჯებს ჩვენ დაგიფარავთო. გავიდნენ, ბატონო. მერე, დანიაში წასვლაზე რომ მიდგა საქმე, თქვენ ჯერ წადით და ყველაფერს შემდეგ გაგისტუმრებთო... წავიდნენ, დეპარტამენტი კი დღემდე ისტუმრებს.

ისე, ხელბურთელებიც დიდი უცნაური ხალხია. ნებისმიერი რანგის საერთაშორისო შეხვედრის შემდეგ აუცილებლად ბანკეტი უნდა გაიმართოსო, წესად დაუთქვამთ. ჩვენი ამბავი რომ ვიცი, უცხო სტუმარს შვედურ სუფრას ნამდვილად არ გავუშლით, ქართული სუფრა კი, ისეთი, ჩვენ და ჩვენს სტუმარს რომ ეკადრება, წარმოგვიდგენია, რა დაჯდება. არა, ერთი-ორჯერ რომ ხდებოდეს ასეთი რამ, კაცი ხმას არ ამოიღებდა, მაგრამ იმას ხომ არ ეტყვი ხელბურთის მსოფლიო და ევროპის ფედერაციას, ასე უკვე 20000 ლარი დამიგროვდა ვალი და ეგ წესი გამიუქმეო.

მსაჯების ამბავს აღარ იკითხავთ? ისინი მთლიანად (გზის ხარჯიანად) მასპინძლის კისერზე გადადიან. თანაც, დაბრძანდებიან პრეზიდენტ-კლასის სალონებში და ფეხსაც არ იცვლიან. მე შენ გეტყვი და მესამე კლასის ბილეთით რომ იმგზავრონ, სამშობლოში უსაყვედურებენ, ეს რა ჰქენი, პრესტიჟი რატომ შეგვილახეო. აქ რომ ჩამობრძანდებიან, ხელფასიც უნდა მიართვა და ჯიბის ფულიც უნდა ჩაუდო. აბა, ხომ არ გამოიკეტება სასტუმროში, გავლა-გამოვლა არ უნდა?

ასეა, გაჭირვებულს ქვა აღმართში მიეწიაო. მსოფლიოს შესარჩევი ტურნირიღა აკლდათ ჩვენს ლატაკ ხელბურთელებს. არადა, თუ თქვი, ფულს ვერ ვშოულობ და ცოტა ხანს მაცალე, კაცი არა ხარო, სიცილით შეასკდებიან ერთმანეთს მსოფლიოს და ევროპის ხელბურთის ფედერაციები და არც დაფიქრდებიან, ისე დაითხოვენ ჩვენს ასოციაციას ნებისმიერი ჩემპიონატიდან, თან სოლიდურ ჯარიმასაც (10000-დან 30000 დოლარამდე) გამოუწერენ. მერე, ხუთი წელი რომ გაივლის, პირველ რიგში იმას გკითხავენ, აბა, მაჩვენე, ფულის გადახდის ჩეკი სადა გაქვსო. თუ ჩალუნე თავი და ყურები გაგიწითლდა, კიდევ ხუთ წელს დაგიმატებენ და ჯარიმასაც ერთი ამდენს მოუმატებენ.

ხელბურთის ასოციაციაში, ალმასკომის სხდომაზე სწორედ ამაზე ბჭობდნენ. უფრო სწორად, მსჯელობდნენ — ვითამაშოთ თუ არა მსოფლიოს შესარჩევ ტურნირზეო. ზემოთ ნახსენები მიზეზების გათვალისწინებით გადაწყდა, რომ, გვინდა არ გვინდა, უნდა ვითამაშოთ. ხოლო ფულის საშოვნელად კიდევ არის თვეზე ცოტა მეტი.

ნაკრები ემზადება. ვარჯიშობენ ბიჭები, ისე, როგორც წესი და რიგია. მთავარ მწვრთნელ ზაზა დოლიძეს შემადგენლობაც შეურჩევია:

*მეკარეები:* როლანდ ერაძე, ირაკლი კენჭაძე, შოთა თევზაძე

*ზღვის მოთამაშეები:* ირაკლი კეკელიძე, გიორგი გვაზავა

*კუთხის მოთამაშეები:* ალექსანდრე ბოყოჩაძე, გიორგი ქობელაშვილი, ზაზა ფერაძე, ანდრო ანდრიაშვილი, მამუკა კობახიძე

*გამთამაშებლები:* ვახტანგ მეიფარიანი, გარი თურქია

*ინსაიდები:* ტიტე კალანდაძე, სერგო დათუკაშვილი, ლევან გელაშვილი, ომარ ყიფიანი, ბექა ორჯონიკიძე

ამჟამად ქართველი ხელბურთელები მძლეოსნობის მანეჟში ემზადებიან. ჯერჯერობით გუნდი ლიდერების — ტიტე კალანდაძის, გარი თურქიასა და სერგო დათუკაშვილის გარეშე ვარჯიშობს, რომლებიც 22 დეკემბრიდან შეუერთდებიან ნაკრებს.

უკვე ცნობილია ქვეჯგუფის დანარჩენი მონაწილეები და შედგენილია მათი შეხვედრების გრაფიკი.

III ქვეჯგუფი

საქართველო, შვეიცარია, ისრაელი, ბელარუსი

6 იანვარი. **საქართველო** — შვეიცარია
8 იანვარი. შვეიცარია — **საქართველო**
12 იანვარი. ისრაელი — **საქართველო**
16 იანვარი. **საქართველო** — ისრაელი
21 იანვარი. **საქართველო** — ბელარუსი
23 იანვარი. **საქართველო** — ბელარუსი

ბოლო საპასუხო შეხვედრა ბელარუსის ნაკრების თხოვნით ჩვენთან ჩატარდება. ოღონდ სად, ეს კიდევ ერთი პრობლემაა. თითქოს სპორტის სასახლე ამისთვის ზედგამოჭრილია, მაგრამ ეს მხოლოდ თითქოს. [illegible] ვარში კი, [illegible] მაისურის [illegible] ფერი [illegible] — ზაზა დოლიძე [illegible] ვიფრებულია. სპორტის სასახლის ადმინისტრაცია თურმე იჯარის თანხად დღეში 2400 ლარს ითხოვს, თან გათბობის სისტემის დაყენებას უარობს, ძვირიაო. არადა, ეგვიპტეში ახლახან ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე დარბაზის იჯარა 270-დან 300 დოლარამდე ჯდებოდა, თან როგორი დარბაზის — თავისი გათბობით, დენის ავტონომიური წყაროთი, წყლით და კანალიზაციით. ამდენი სიკეთე 300 დოლარად. წარმოგიდგენიათ? ჩვენი გაყინულ-გალიგვებული სპორტის სასახლე, რომელსაც არც დენი აქვს, არც წყალი, არც გათბობა, კანალიზაციაზე აღარაფერს ვამბობთ, თურმე ოთხჯერ მეტი ღირს. ჭეშმარიტად გასაოცარი ფაქტია. არ გვცოდნია, რა სიმდიდრე გვქონია.

ისევ შესარჩევ ტურნირს დავუბრუნდეთ. ხუთი ქვეჯგუფის პირველადგილოსნები ევროპის პირველობაზე მეშვიდე-მეთორმეტე ადგილებზე გასულ გუნდებთან დაწყვილდებიან. წყვილებში გამარჯვებული ხუთი ნაკრები პირველ ექვს საუკეთესოს დაემატება და მასპინძელ საფრანგეთთან ერთად შეიკრიბება 12 ევროპული გუნდი, რომლებიც საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებენ.

ჩვენი ხელბურთელების მიზანიც ესაა. 12 საუკეთესო ევროპულ გუნდს შორის მოხვედრა ნამდვილად ძნელი ამოცანაა, მით უმეტეს, ისეთ პირობებში, როგორიც ჩვენს გუნდს აქვს. მიზანი მართლაც მაღალია, მაგრამ, როგორც უკვე გავარკვიეთ, ძლიერთა ამა ქვეყნისა ამის მიღწევის არანაირი სურვილი არ აქვთ. თუ აქვთ, კიდევ ერთი თვეა დარჩენილი და დაამტკიცონ, ბატონო. ამ ხალხმა უფულოდ, შიშველი ენთუზიაზმით და თავდადებული შრომით მოიყვანა საქმე აქამდე. ახლა ჯერი მათზეა.

**ზაზა ბენიძე**



# ქენიას ყურადღება სწყურია

ჰანოვერი. გერმანია. **ATP**-ის მსოფლიოს ჩემპიონატი. დარბაზი, ჰარდი. საპრიზო 3,6 მილიონი **$**

### თეთრი ჯგუფი

**ევგენი კაფელნიკოვი (2, რუსეთი) — ტომას ენკვისტი (4, შვედეთი) 7:5, 3:6, 6:4.**

ასაკით, ფიზიკური მონაცემებითა და თამაშის სტილით მსგავსი რუსი და შვედი იანვარში ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ, იანვარში, უკეთეს ფორმაში ენკვისტი იყო და ფავორიტადაც იგი ითვლებოდა, მაგრამ მატჩი კაფელნიკოვმა მოიგო. ხუთშაბათს ჰანოვერში იგივე გარემოებებში ისევ მსოფლიოს მეორე ჩოგანმა იმარჯვა.

სკანდინაველს მაშინაც და ამჯერადაც ბევრი რამ უნდა დაემტკიცებინა — ფინალის წინ ხომ სოჭელმა ჟენიამ გამიზნულად თუ პროფესიონალისთვის უჩვეულო გულუბრყვილობით განაცხადა, ენკვისტს ჯიგარი არ ეყოფა დიდი სლემის ტურნირის მოსაგებად, განერვიულდება და ფსიქოლოგიურად გატყდებაო.

სწორედ ამიტომ ჰანოვერში შეხვედრას მეტად პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ორივე ჩოგბურთელისთვის და მათაც თავი არ დაზოგეს.

კაფელნიკოვიცა და ენკვისტიც უკანახაზელები არიან და შეხვედრაც სათანადოდ წარიმართა. იყო კორტის უკნიდან ყუმბარისებური დარტყმების გაცვლა-გამოცვლა, კიდიდან კიდეში თავქუდმოგლეჯილი სირბილი და ბადესთან თითო-ოროლა გასვლა.

თუ შვედი აქცენტს მხოლოდ ძალაზე აკეთებდა, კაფელნიკოვი მის რიტმიდან ამოსაგდებად მძლავრ დარტყმებს მოჭრილებს და აბრაგნებს უნაცვლებდა, ბოლოს და ბოლოს კი მეტოქის აბჯარში ხვრელსაც მიაგნო — მისგან მარჯვნივ, გამომწვევად მაღლა აგდებულ ბურთებს ენკვისტი ფორჰენდით გამუდმებით პირდაპირ გზავნიდა და თითქმის უკლებლივ ბადეში ახვევდა.

პირველი სეტის ბედი ბოლოსწინა გეიმში განერვიულებული ენკვისტის შეცდომებმა გადაწყვიტა, რომელმაც საკუთარი მოწოდება დაკარგა. როდესაც მეორე ხელის დასაწყისშივე რუსმა კიდევ ერთი ბრეიკი მიითვალა, თავი, ალბათ, ქუდში ეგონა, მაგრამ მოულოდნელად შვედი გამოცოცხლდა, მეტოქეს ვალი დაუბრუნა და მალე საერთო ანგარიშიც გაათანაბრა.

კაფელნიკოვმა ჩვეულ წუწუნს, რუსულად გინებებს უმატა და ერთხელ კორტზე დაგდებით ჩოგანიც გატეხა, რისთვისაც, მთავარი მსაჯისგან ავტომატურად გაფრთხილება მიიღო. რუსს სანერვიულო მართლაც ჰქონდა: გადამწყვეტ ხელში 4:1-ით დაწინაურებულმა მეტოქეს თავისთან გათანაბრების შესაძლებლობა მისცა, თანაც ენკვისტმა მატჩის ბოლოს ეისების საბადოსაც მიაგნო (სულ 18).

მაგრამ მნიშვნელოვან მომენტში, მეტოქისგან განსხვავებით, რუსს ნერვებმა არ უმტყუნა. 4:4-ზე მან იოლად შეინარჩუნა საკუთარი მოწოდება, მატჩ-პოინტზე კი ენკვისტმა ბადეში გახვეული ბექჰენდით დაილუპა თავი.



ევგენი კაფელნიკოვი



ტოდ მარტინი

„დღეს ნებისმიერ ჩვენგანს შეეძლო მოგება. სტატისტიკას თუ გადახედავთ, მე 99 ქულა მაქვს ანგარიშზე, ტომასს — 95, ე.ი. ჩვენს შორის განსხვავება სულ რაღაც ოთხი ქულა იყო" — ამჯერად კაფელნიკოვს მეტოქე აღარ გაულიზიანებია.

სამაგიეროდ, სოჭელისგან ჟურნალისტებსა და საერთაშორისო სააგენტოებს მოხვდათ, რომლებიც, ჩოგბურთელის აზრით, არასამართლიანად აშუქებენ მსოფლიოს ჩემპიონატს: „თქვენ უნდა შეიგნოთ, რომ ეს მარტო სამპრასისა და აგასის შოუ აღარ არის. ჩემზე რომ არაფერი ვთქვა, სხვები, თუნდაც ენკვისტი ან კუერტენი, მეტ აღიარებას იმსახურებენ. ამ დილით CNN-ის ნახვამ ძალიან გამანაწყენა. გადაცემის დასაწყისშივე სამპრასსა და აგასიზე ისაუბრეს და 20 წუთის მერეღა გაკვრით მოიხსენიეს სხვა მოთამაშეები. ვფიქრობ, ასეთი რეპორტაჟების კარგს არაფერს მოიტანს."

კაფელნიკოვის თქმით, ეს მას ამ კვირაში წარმატებით ასპარეზობისთვის დამატებით სტიმულს მისცემს: „ანდრე პირველი ჩოგანია და ყურადღების ღირსიც არის, ისევე, როგორც პიტი, მაგრამ სხვებს რატომ ივიწყებენ? ძალიან მინდა, დავამტკიცო, რომ მათ არაფერში ჩამოვრჩები. ვეცდები, წელიწადი აღმაფრენით დავასრულო."

ჟენია ჯერჯერობით ერთადერთია, ვინც თავისი ჯგუფიდან ნახევარფინალის საგზური მოიპოვა.

**ნიკოლას კიფერი (6, გერმანია) — ტოდ მარტინი (7, აშშ) 6:3, 6:2.**

22 წლის გერმანელმა ყოველმხრივ დაჩაგრა აშშ-ის ღია პირველობის ფინალისტი მარტინი, რომელსაც მატჩის დროს თითქმის არაფერი გამოსდიოდა და ისე ცუდად თამაშობდა, ჟურნალისტების უმეტესობამ დაასკვნა, ალბათ, რაიმე ტრავმა აწუხებსო.

„ნეტავ, მართლა ყველაფერი ტრავმის ბრალი იყოს. სინამდვილეში კი არაფერი მაწუხებს. ძალიან მიყვარს, როდესაც მატჩს უამრავი მაყურებელი ესწრება, თუნდაც ისინი ჩემს მეტოქეს გულშემატკივრობდნენ. ოღონდ ცუდია, როცა 6:3, 5:2-ს აგებ და სირცხვილისგან იწვი. უკვე მოგება-წაგებაზე კი არა, იმ ხალხზე ვფიქრობ, მე რომ მიყურებენ და აეჭვებთ, ჩოგბურთის თამაში ვიცი თუ არა. ამ დროს მეც ეს მიტრიალებს თავში. საშინელი გრძნობაა."

**მე-3 ტური: ტოდ მარტინი — ტომას ენკვისტი 6:4, 6:1.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **ევგენი კაფელნიკოვი** | 2 | 2 | 0 | 4-2 |
| **ნიკოლას კიფერი** | 2 | 1 | 1 | 2-2 |
| **ტოდ მარტინი** | 2 | 0 | 2 | 1-4 |
| **ტომას ენკვისტი** | 3 | 1 | 2 | 3-4 |

### წითელი ჯგუფი

**ანდრე აგასი (1, აშშ) — გუსტავო კუერტენი (3, ბრაზილია) 6:4, 7:5.**

მსოფლიოს პირველი და მესამე ჩოგნების შეხვედრა უთუოდ საუკეთესოა ტურნირზე, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც.

გუსტავო კუერტენი სწრაფ კორტებზე თამაშის ოსტატად არ ითვლება, მაგრამ წლეულს უიმბლდონისა და აშშ-ის ღია პირველობის მეოთხედფინალში მისი გაღწევა მოწმობს, რომ „გუგას" ყველანაირ საფარზე თამაში ეხერხება.

სწორედ ბრაზილიელმა გაუწია ყველაზე დიდი წინააღმდეგობა აგასის, ტურნირზე პირველად მოწოდებაც აართვა და გვარიანი ოფლიც აღვრევინა. კუერტენს კარგად ესმოდა, რომ ხოტორა ამერიკელთან პასიურად თამაში თვითმკვლელობის ტოლფასი იყო, ამიტომ უჩვეულოდ აგრესიულად ირჯებოდა და თითოეულ ბურთს გამეტებით ურტყამდა.

სულისშემკვრელ, ლამაზი გათამაშებებით სავსე შეხვედრაში საბოლოოდ ამერიკელის უკეთესმა მიღებებმა ითამაშა გადამწყვეტი როლი — კუერტენის 13 ეისის მიუხედავად, ჯგუფური ტურნირი ანდრემ ისე გაიარა, ერთი სეტიც არ წაუგია, დაუმარცხებლის შთაბეჭდილებაც დატოვა და წინასწარ გაინაღდა პირველი ადგილი თავის ჯგუფში.

მატჩის შემდეგ აგასის სეზონის ბოლოს პირველი ჩოგნობისთვის სპეციალური ბროლის ჯილდო გადაეცა. „ეს ჩემთვის პროფესიონალური და პირადი თვალსაზრისითაც ძალიან ბევრს ნიშნავს, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო მიღწევაცაა ჩემს კარიერაში. ვგრძნობ, რომ ხანგრძლივი შრომა გამიფასდა" — ასეთი იყო ამერიკელის კომენტარი.

კუერტენის დამარცხებამ ნახევარფინალისკენ გზა პიტ სამპრასს გაუხსნა: პარასკევ ღამით მას ნიკოლას ლაპენტისთან ერთი სეტის მოგებაც ეყოფოდა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **ანდრე აგასი** | 3 | 3 | 0 | 6-0 |
| **პიტ სამპრასი** | 2 | 1 | 1 | 2-2 |
| **გუსტავო კუერტენი** | 3 | 1 | 2 | 2-4 |
| **ნიკოლას ლაპენტი** | 2 | 0 | 2 | 0-4 |

**ავთანდილ სვანიძე**

# თამაშის ჩაშლას რა უნდა?!

თბილისი
26 ნოემბერი

**ასკ 0:26 დათვები**

ასკ: ზ. მაისურაძე, გ. მაისურაძე, შენგელია, მაღრაძე, ვალიშვილი, ქემაშვილი, ენუქიძე, უჩავა, გეგეშიძე, კიკნაძე, კოდუა, კაპანაძე, კილაურიძე, ზაქარიაძე, ანთაძე
დათვები: აშვეთია, ნინიძე, რეხვიაშვილი, აბაშიძე, სვანიძე, გოგისვანიძე ფხაკაძე, ჩირგაძე, ჯანაშია, ნ. ძაგნიძე, ხონელიძე, ძოწენიძე, აბდალაძე, ჩუბინიძე, მაჩიტიძე
ლ.: ძაგნიძე, ძოწენიძე, ფხაკაძე, ჩუბინიძე
3 გ. ძაგნიძე
მსაჯი: ნ. რობიტაშვილი
მეთვალყურე: გ. აბაშიძე

დასაწყისი პირველ გვერდზე

ჩემპიონატის მიწურულს რომ ყველა შეხვედრას და თითოეულ ქულას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, არავისთვისაა ახალი ამბავი. ნერვები ისედაც უკიდურესობამდეა დაჭიმული. თუმცა ამ თამაშში სიურპრიზები ნაკლებად იყო მოსალოდნელი. ჩემპიონობის უპირველესი პრეტენდენტი ოთხეულის გამოკვეთილ აუტსაიდერს ხვდებოდა და ცხადი იყო, „დათვებს" გამარჯვება (პლუს პრემია) არ გაუჭირდებოდათ. მით უმეტეს, რომ ასკ-ს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდა. ამ დროს კი ბათუმელები უძლიერესი შემადგენლობით გამოვიდნენ მოედანზე.

ბურთი თამაშში ზღვისპირელებმა შეიყვანეს და აქედან დაიწყო მათი უკანმოუხედავი შტურმი. მთელი თამაში, რომელიც მხოლოდ 20 წუთს გაგრძელდა, ბათუმელებმა მეტოქე მოედნის საკუთარ ნახევარს მიაჯაჭვეს. მართალია, დათვები ძალიან სწრაფად ვერ მოძრაობდნენ, მაგრამ საკმაოდ საიმედოდ ირჯებოდნენ. ნელ-ნელა, მეთოდურად აძლიერებდნენ იერიშებს და მეტოქის ჩათვლის მოედანს უახლოვდებოდნენ. აქ ლამაზად გაათამაშეს ბურთი და აშვეთია გაიჭრა მარცხენა ფლანგზე. მართალია, ხაზთან ახლოს არმიელებმა მოახერხეს მისი შებოჭვა, მაგრამ იქვე გაჩნდა ძაგნიძე, რომელმაც სწრაფად იგდო ბურთი ხელთ და ნახტომში ლელო გაიტანა. მანვე გარდასახა და ანგარიში 0:7 გახდა.

არმიელებმა თამაში მეტოქის მინდორზე გადაიტანეს, მაგრამ „დათვების" ათმეტრიან ხაზთან ბურთი დაკარგეს. მას აბდალაძე დაეუფლა და თბილისელების სალელოე მოედნისკენ დაიძრა, დაახლოებით 20 მეტრი ირბინა და სანამ არმიელი შებოჭავდა, ბურთი ძოწენიძეს გადასცა. მანაც სანიმუშოდ მოინდომა და ბურთი არმიელთა ძელებს შორის დადო. ძაგნიძემ ისევ გარდასახა — 0:14.

ამის შემდეგ „დათვებმა" მეტოქეს შერკინებაში ჩაუტარეს გაკვეთილი. ბათუმელები არმიელთა ნახევრის შუაგულიდან მიაწვნენ [illegible] სალელოე [illegible] აში ფხაკაძე წაიქცა და ლელო [illegible] ბათუმელთა [illegible] კვლავ გარდასახა და ანგარიში 0:21 გახდა. ზღვისპირელებმა მესამე ლელოთი პრემიალური ქულა უკვე გაინაღდეს.

ამის მერე არმიელებმა იძალეს და ზღვისპირელთა 22-მეტრიან ხაზამდე ათრიეს ბურთი. აქ ისევ შეცდომა დაუშვეს და ბათუმელებმა, მაჩიტიძემ, ძოწენიძემ და ჩუბინიძემ, მეტად ლამაზი კომბინაცია გაათამაშეს. ამ უკანასკნელმა მარჯვენა კუთხესთან გაიტანა ლელო. ძაგნიძემ ვერ გარდასახა და „დათვებმა" მხოლოდ 5 ქულა მიითვალეს — 0:26.

ამის შემდეგ, დაახლოებით ორი წუთი, ჩვეულებრივი თამაში მიმდინარეობდა. ბათუმელები უტევდნენ, არმიელები, როგორც შეეძლოთ, თავს იცავდნენ. ერთ უბრალო სათამაშო ეპიზოდში „დათვებს" წინ გაუვარდათ ბურთი. მსაჯმა თამაში გააჩერა. ამ დროს კი ერთ-ერთი არმიელი ყვირილით მიუბრუნდა მსაჯს — ხომ ხედავ, წინ თამაშიაო. არბიტრმაც, არც აცია, არც აცხელა და ბურთი ბათუმელებს გადასცა. სწორედ ამის შემდეგ მოხდა ის ამბავი, რომელშიც გარკვევასაც მოთამაშეებიან-მაყურებლიანად ყველა ცდილობდა.

არმიელთა მწვრთნელი შევიდა მოედანზე და თავის გუნდს გამოსვლა მოსთხოვა. მორაგბეები თვალებს და ყურებს არ უჯერებდნენ, მაგრამ ლევან მგელაძე არ ხუმრობდა. მან მსაჯს ხელი ჩამოართვა, მივიდა ძელებთან და ერთიმეორის მიყოლებით ჩამოყარა ძირს. ამის მერე თავისი გუნდი გაიყვანა მოედნიდან და გასახდელში შევიდა. ბათუმელები ერთხანს კიდევ იდგნენ მოედანზე. შემდეგ მათაც გასახდელს მიაშურეს.

მსაჯი, მეთვალყურე და მცირერიცხოვანი მაყურებელი სახტად დარჩნენ. ლევან მგელაძემ მომხდარის თაობაზე კომენტარისგან თავი შეიკავა.

„დათვებმა" მორიგი 3 ქულა მიითვალეს.

ზაზა ბენიძე

გელა კიკილაშვილის ფოტო



ბათუმელი ფხაკაძის ლელო

# ვარკეთილში ნაძვებმა ბურთები მოისხეს

თბილისი
26 ნოემბერი

**ლოკომოტივი 1 17:29 (3:12) ყოჩები**

ლოკომოტივი 1: კერესელიძე, ჩაჩუა (მაჭუტაძე), ხინჩაგაშვილი, ცხომელიძე, კახიანი, სუჯაშვილი, უდესიანი, გიორგაძე (ღლენტი), სარიშვილი, ასათიანი (კოტრიკაძე), გუგავა, ცხადაია, ძნელაძე, ბუგიანიშვილი, მხეიძე
2 ლ — მაჭუტაძე (2), 2 გ — მხეიძე, 1 ს — მხეიძე
ყოჩები: კიკუაშვილი, ფირიაშვილი, პაპავა (გიგაური), ხურცილავა, გუშარაშვილი, ჭელიძე, სოფრომაძე (მხეიძე), სულთანიშვილი, ხელაძე, ტეფნაძე, პეტრიაშვილი, ბარძიმიშვილი, ლიპარტელიანი (იმნაძე), ხეხელაშვილი, იურინი
5 ლ — სულთანიშვილი, ფირიაშვილი, ხეხელაშვილი, ლიპარტელიანი, ჭელიძე
2 გ — ტეფნაძე, იურინი
მსაჯი: ლ. მგელაძე
მეთვალყურე: გ. აბაშიძე

ეს თამაში ასკ—„დათვების" შემდეგ დაიწყო და, ბუნებრივია, ორივე გუნდის წევრებმა იცოდნენ, რომ „დათვებმა" მორიგი სამი ქულა ჩაიწერეს. ჩემპიონობისთვის მებრძოლ „ყოჩებს" ჰაერივით სჭირდებოდა გამარჯვება, თანაც პრემიალური ქულაც უნდა მოეპოვებინა.

მომავალ ტურში „ყოჩები" „დათვებს" ბათუმში დაუპირისპირდებიან, თამამად შეგვიძლია, ეს შეხვედრა საჩემპიონო მატჩად მოვნათლოთ, მანამდე კი ორივე გუნდი ცდილობს, მაქსიმალურ შედეგს მიაღწიოს.

ვარკეთილის სტადიონზე იყვნენ ბათუმელი მორაგბეები, რომლებიც რკინიგზელებს მხურვალედ გულშემატკივრობდნენ, მაგრამ მარტო ქომაგობით თამაშს ნამდვილად ვერ მოიგებ...

მატჩი რკინიგზელთა იერიშებით დაიწყო და უკვე მეორე წუთზე მხეიძემ ზუსტი საჯარიმო დარტყმით გახსნა ანგარიში. ყოჩებმა ნელ-ნელმა დაალაგეს თამაში, მწყობრად შეუტიეს და შედეგსაც მიაღწიეს. აუტიდან მოწოდებული ბურთი სულთანიშვილმა იგდო ხელთ, „ყოჩებმა" მოლი მიახმარეს და ამანაც ლელო გაიტანა. ტეფნაძემ თანაგუნდელს გარჯა დაუფასა და ბურთი ძელებს შორის გაატარა. ამის შემდეგ „ყოჩები" კვლავ აგრძელებდნენ შეტევებს, „ლოკომოტივი 1"-ის სალელოე მოედანთან პატარა შტურმიც მოაწყვეს, მაგრამ რკინიგზელთა მცველებმა დაძაბულობა განმუხტეს. ეს მათ მხოლოდ მცირე ხნით შეძლეს. კვლავ აქტიურად თამაშობდა სტუდენტთა შერკინება, სწორედ მორკინალთა ძალისხმევის შემდეგ ყოჩმა ფირიაშვილმა მეორეჯერ დალაშქრა მეტოქის ჩათვლის მოედანი, მაგრამ ფეხნატკენი ტეფნაძის მაგივრად იურინმა სცადა ლელოს გარდასახვა, რაც უშედეგოდ დასრულდა. მატჩის პირველ ნახევარში საინტერესო მეტი არაფერი მომხდარა და „ყოჩები" შესვენებაზე ლიდერის როლში წავიდნენ.

მეორე ტაიმში „ლოკომოტივი 1" გააქტიურდა, თითქოს უპირატესობასაც დაეუფლა, მაგრამ ერთ-ერთი შეტევისას ბურთი დაკარგეს, მეტოქემ სწრაფად გაითამაშა კომბინაცია, ხეხელაშვილმა თავისი სპრინტერული მონაცემების წყალობით ჩამოიცალა მეტოქე მცველი და ამ მატჩში თავისი ერთადერთი, ხოლო გუნდის მესამე ლელო გაიტანა, რაც პრემიალური ქულის მომტანი აღმოჩნდა. იურინი კვლავ არაზუსტია.

„ლოკომოტივი 1" შეტევას მიეძალა, მაგრამ რკინიგზელები ბოლო ფაზაში სცოდავდნენ, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით სტუდენტებზე. მათი კიდევ ერთი ლამაზად გათამაშებული კომბინაცია ლიპარტელიანმა ლელოთი დააგვირგვინა. იურინმა ამჯერად ზუსტად გარდასახა და თავისი გუნდი სოლიდურად დააწინაურა. აქ კი ლოკომოტიველ გუგავას ნერვებმა უმტყუნა და მეტოქეს ბურთი ესროლა, რისთვისაც მოედნიდან გააძევეს. კაცნაკლული „ლოკომოტივი" უფრო კარგად გამოიყურებოდა. მათ განუწყვეტელ შეტევებს შედეგი უნდა გამოეღო და ასეც მოხდა. რკინიგზელთა შერკინება მძლავრად მიაწვა მეტოქეს, მათაც ვერ გაუძლეს მოწინაალმდეგის შეტევას და შეცვლაზე შესულმა მაჭუტაძემ ნახტომში ბურთი „ყოჩების" ჩათვლის მოედანზე დაამიწა. მხეიძემ ზუსტად შეასრულა გარდასახვა. რამდენიმე წუთში ჭელიძემ ასევე ლელოთი უპასუხა მეტოქეს და ანგარიშში სხვაობა აღადგინა. რკინიგზელები მარცხს არ ურიგდებოდნენ. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ცხომელიძე და უდესიანი, მაგრამ შეტევის შედეგიანად დასრულება ვერც ერთმა შეძლო. სამაგიეროდ, კვლავ შერკინების კარგი თამაშის წყალობით მაჭუტაძემ მეორე ლელო გაიტანა. ამას მცირე კამათი მოჰყვა, რაც ჩხუბში გადაიზარდა, მაგრამ მობურთალეები მალევე მორიგდნენ და თამაშიც განახლდა.

ამის შემდეგ პატარა კურიოზიც მოხდა. მხეიძემ ზუსტად გარდასახა, ბურთი კი სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე მდგარი ნაძვის ხის ტოტებში გაიჭედა. სანამ „ყოჩების" ორი მორაგბე მას ეძებდა, თამაში სათადარიგო ბურთით განაგრძეს. რამდენიმე წუთში მსაჯმაც ჩასტვინა და „ყოჩების" გამარჯვება დააფიქსირა. „ყოჩებმა" სამი ქულა მიითვალეს და „დათვებთან" ქულათა სხვაობა უცვლელი დატოვეს. მათ მხოლოდ ერთი მატჩით მეტი აქვთ ჩატარებული. ყველაფერი ბათუმში გადაწყდება, როდესაც სტუდენტები „დათვებს" დაუპირისპირდებიან.

ბაჩო სვანიძე

გელა კიკილაშვილის ფოტო



ყოჩთა ხუთი ლელოდან პირველი სოსო სულთანიშვილისა (ბურთით) იყო

## ველორბოლა



ალექს ცულე

# ცულე — მოქველბიჭო ჩაშვები

„ფესტინას“ საქმე“ გრძელდება. 1998 წლის „ტურ დე ფრანსზე“ ატეხილი სკანდალი დღემდე არ ჩამცხრალა. ფრანგული გუნდის მასტიმულირებელი საშუალებებით ხელდახუნძლული ექიმის საფრანგეთ-ბელგიის საზღვარზე დაკავების შემდეგ კარგა ხანი გავიდა, მაგრამ ქალაქ ლილის პროკურატურის გამომძიებელი პატრიკ კეილი საქმეს კვლავაც იძიებს. ოთხშაბათს მან თავისთან შვეიცარიელი მრბოლი ალექს ცულე იხმო, მაგრამ წლეულს „ტურში“ მეორე ადგილზე გასულმა სპორტსმენმა ეს მიწვევა არად ჩააგდო.

ცულე, რომელიც ჯერ ესპანური „ონსეს“ ღირსებას იცავდა (1991-97), მერე „ფესტინასას“ (1998), ახლა კი ესპანურ „ბანესტოშია“, „ონსეს“ ექიმ ნიკოლას ტერადოსს უნდა დაპირისპირებოდა. თუმცა ბატონ კეილს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა და იძულებული გახდა, მხოლოდ ტერადოსის მოსმენით დაკმაყოფილებულიყო.

„ჩვენ ვთვლით, რომ ამ დაპირისპირებაზე მოუსვლელობა უბრალოდ, უპასუხისმგებლობაა და ცულეს რეპუტაციას შელახავს. გამომძიებელიც ამავე აზრისაა“ — განაცხადა პროკურატურიდან გამოსვლისას ტერადოსის პარიზელმა ადვოკატმა ბერნარ გორნიმ. არადა, ცულესთან შეხვედრას ითხოვდა თვით ტერადოსიც, რომელიც შარშან ბატონ კეილს უკვე ორჯერ დაუკითხავს — შვეიცარიელი ერთადერთია, ვინც ესპანეთის ოლიმპიური კომიტეტის და „ონსეს“ ექიმს სადოპინგო მაქინაციებში მონაწილეობა დააბრალა.

ტერადოსის ადვოკატმა ჟურნალისტებს ისიც განუცხადა, რომ ცულე ვერ ამტკიცებს თავის ბრალდებებს და ეს კიდეც რომ მოახერხოს, საჭირო იქნება ზუსტი ადგილის და დროის დასახელება. ბატონი გორნის აზრით კი საფრანგეთში არაფერი მომხდარა უკანონო.

არადა, ფრანგული პოლიციის მიერ 1998 წელს „ფესტინას“ წევრების დაკითხვისას ალექს ცულემ აღიარა, რომ „ონსეში“ ყოფნისას დოქტორ ტერადოსის მეთვალყურეობით ეპო-ს (დოპინგის სახეობაა) იღებდა. ამის მერე შვეიცარიელი მრბოლი ველოსპორტის ხელმძღვანელებმა ექვსთვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს და იგი ტურნირებს წლეულს 1 მაისს დაუბრუნდა.

შარშანდელი „ტურისას“ ალექს ცულემ ერთი დღე-ღამე ციხეშიც გაატარა და ფრანგ პოლიციელებზე ამის გამო წარმოდგენა „წახდენია“. სწორედ ამიტომ უთქვამს უარი ლილის პროკურატურაში მისვლაზე, ემანდ კიდევ არ ჩამაყუდონო. თავისი ადვოკატის პირით კი პატრიკ კეილისთვის ძველბიჭურად შეუთვლია — მე რატომ უნდა გეახლო, თუ საქმე გაქვს, შენ თვითონ მესტუმრეო. ეს ფრაზა კი კარგად სცოდნია ცულეს, მაგრამ „ჩაშვება“ რომ არაძველბიჭურია, ეტყობა, არსად გაუგია.

**გაიოზ თალაკვაძე**

## თხილამურობა

# სეზონი რთულდება, გამარჯვების ფასიც მაღლა იწევს

დღეს შვეციის ქალაქ კირუნაში იწყება ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო შეჯიბრება — მსოფლიოს თასის გათამაშება სათხილამურო რბოლებში. ტურნირის ფორმულამ საკმაო ცვლილებები განიცადა, ასე რომ ორიოდე სიტყვით ღირს მათზე შეჩერება.

უწინარეს ყოვლისა გაიზარდა ეტაპების რაოდენობა — 16-ის ნაცვლად მათი რიცხვი 22 იქნება. ეს ძირითადად სპრინტერული რბოლების დამატების ხარჯზე მოხდა. გაიზარდა საპრიზო ფონდიც. ახლა თითოეულ ეტაპზე საუკეთესო რვა მოთხილამურის დასაჯილდოებლად გამოყოფილია 19000 დოლარი. ამასთან გამარჯვებული ამ თანხის თითქმის ნახევარს მიიღებს.

შეიცვალა ჩათვლის სისტემაც. თუ ადრე სპორტსმენი ვალდებული იყო 16-დან 14 შეჯიბრებაში მიეღო მონაწილეობა, ორი კი სამარქაფოდ ჰქონოდა, ახლა ამგვარი შეღავათები გაუქმებულია — მოთხილამურეებს ქულები დაერიცხებათ ყველა ეტაპზე.

წლეულს მსოფლიოს თასის გათამაშება ერთადერთი ოფიციალური შეჯიბრებაა, თუმცა 20 თებერვალს საფრანგეთში გათვალისწინებული მარათონული რბოლები (კაცები — 76 კმ; ქალები — 46) შესაძლოა მარათონში მსოფლიოს პირველ ჩემპიონატადაც იქცეს. განსაზღვრულია პრიზიორებისთვის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების გადაცემაც.

მკითხველს შევახსენებთ, რომ თასის შარშანდელ გათამაშებაში ქალებს შორის საუკეთესო, ნორვეგიელი ბენტე მარტინსენი იყო, კაცებში ნორვეგიის საუკუნის საუკეთესო სპორტსმენად აღიარებული, რვაგზის ოლიმპიური ჩემპიონი ბიორნ დელი, რომელსაც ახლახან გაუკეთეს ზურგის ოპერაცია, რაც ამ ლეგენდარულ სპორტსმენს წლევანდელ გათამაშებაში მონაწილეობის საშუალებას არ მისცემს. თუმცა დელის უფრო შორსმიმავალი და სერიოზული გეგმები აქვს. იგი, რა თქმა უნდა, არ აპირებს სპორტიდან წასვლას და მომავალ ოლიმპიურ თამაშებში კიდევ ერთი ან ორი ოქროს მედლის მოპოვებასაც გეგმავს, რაც მას მსოფლიოს პირველ ოლიმპიელად აქცევს. საქმე ის არის, რომ ოლიმპიური ოქროს მედლების რაოდენობით ჯერჯერობით წინ არის ამერიკელი კარლ ლუისი — 9 მედლით იგი სათავეში უდგას მსოფლიოს ოქროს ოლიმპიელთა კოჰორტას. ბიორნ დელი სწორედ ამ ადგილს უმიზნებს.

**ირაკლი ბერიაშვილი**

## ჰოკეი

# ქუდები მაღლა!

**ატლანტა — ოტავა 3:6**
**3:0 0:5 0:1**

1:0 ბუკბერგერი 4'55 (4); 2:0 ფერარო 9'20 (5); 3:0 კარლსონი 15'40 (1); 3:1 რედენი 20'52 (5); 3:2 პროსპალი 25'21 (3); 3:3 არვედსონი 28'10 (7); 3:4 რუა 29'04 (3); 3:5 პროსპალი 33'12 (4); 3:6 ბონკი 55'15 (10)

**ფინიქსი — ნიუ ჯერსი 4:2**
**1:0 1:1 2:1**

1:0 რენიკი 14'28 (9); 2:0 ნუმინენი 29'24 (3); 2:1 ნიდერმაიერი 31'02 (1); 3:1 რენიკი 41'12 (10); 4:1 რენიკი 46'56 (11); 4:2 სიკორა 59'01 (5)

**კალგარი — ჩიკაგო 2:1**
**0:0 1:1 0:0 1:0**

0:1 ამონტე 34'11 (12); 1:1 სავარი 35'44 (4); 2:1 სტილმანი 62'05 (7)

ფინიქსის ცენტრფორვარდი ჯერემი რენიკი ნიუ ჯერსისთან შეხვედრის შემდეგ სიხარულს ვერ მალავდა. „კოიოტების“ ლიდერმა ჩინებულად ჩაატარა მატჩი. იგი ყველა საგოლე კომბინაციაში მონაწილეობდა, ხოლო 47-ე წუთზე, როცა ვერაგული დარტყმით სულ მთლად დააბნია ნიუ ჯერსის მეკარე კრის ტერერი, ჰოკეისტს მთელი სტადიონი ფეხზე წამოუდგა და ტრადიციული ქუდების სროლით აღნიშნა მის კარიერაში მე-7 ჰეთ-თრიქი. საერთოდ, ფინიქსი წლეულს კარგად თამაშობს და აგერ უკვე ზედიზედ მეოთხედ მოიგო. იღბლიანი გამოდგა „კოიოტთა“ ახალი გოლკიპერის, შონ ბურკის დებიუტიც.

ზედიზედ სამჯერ დამარცხებულ ოტაველებს ატლანტელებთან საგარეო მატჩშიც წაგება ემუქრებოდათ, მაგრამ მასპინძელი ანდერს კარლსონის მე-3 შაიბამ ისინი გონს მოიყვანა. თურმე მეორე პერიოდის დაწყებამდე კანადელებმა ერთმანეთი გაამხნევეს და აკი შეხვედრის ბედიც შეატრიალეს.

ჩეხმა ვაცლავ პროსპალმა 3 (2+1) ქულა მიითვალა.

კალგარის მორიგი (მე-6) საოვერტაიმო მოგება აღარავის უკვირს, თუმცა „ალებს“ ამაში ჩიკაგოელი ანდერს ერიქსონს დაემართა, რომელმაც [illegible]ტებით დროში თავისიანები უმცირესობაში დატოვა. მართალია, მასპინძლებმა რიცხვმრავლობა ვერ გამოიყენეს, მაგრამ როგორც კი ერიკსონმა სასჯელი მოიხადა, კორ სტილმანის ზუსტმა დარტყმამ მატჩი უმალ დაასრულა.

**სამველ ლარიბიანი**



REUTERS

ოტაველი პატრიკ ტრავერსი (3) ატლანტელ რეი ფერაროს შეტევას იგერიებს

### სატურნირო ვითარება

**ჩრდილო-აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 22 | 13 | 1 | 1 | 8 | 64:49 | 28 |
| ტორონტო | 23 | 12 | 3 | 1 | 8 | 65:49 | 28 |
| ბოსტონი | 23 | 11 | 5 | 0 | 7 | 62:54 | 27 |
| ბუფალო | 22 | 10 | 2 | 0 | 10 | 63:61 | 22 |
| მონრეალი | 23 | 8 | 1 | 1 | 14 | 48:61 | 18 |

**ატლანტა**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 23 | 12 | 3 | 1 | 8 | 68:52 | 28 |
| ნიუ ჯერსი | 21 | 11 | 3 | 1 | 7 | 5:48 | 26 |
| რეინჯერსი | 22 | 7 | 3 | 1 | 12 | 52:63 | 18 |
| პიტსბურგი | 19 | 6 | 3 | 3 | 10 | 59:60 | 18 |
| აილენდერსი | 18 | 5 | 3 | 0 | 10 | 38:55 | 13 |

**სამხრეთ-აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფლორიდა | 21 | 11 | 2 | 2 | 8 | 54:52 | 26 |
| კაროლინა | 22 | 9 | 5 | 0 | 8 | 49:53 | 23 |
| ვაშინგტონი | 20 | 7 | 4 | | | 953:61 | 19 |
| ტამპა | 21 | 8 | 1 | 1 | 12 | 59:69 | 18 |
| ატლანტა | 20 | 5 | 2 | 1 | 13 | 49:77 | 13 |

**ცენტრი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 22 | 13 | 3 | 1 | 6 | 71:48 | 30 |
| სენტ ლუისი | 22 | 13 | 2 | 0 | 7 | 65:60 | 28 |
| ნეშვილი | 20 | 7 | 1 | 2 | 12 | 50:63 | 17 |
| ჩიკაგო | 22 | 5 | 4 | 2 | 13 | 53:67 | 16 |

**ჩრდილო-დასავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვანკუვერი | 22 | 10 | 5 | 1 | 7 | 64:68 | 26 |
| კოლორადო | 22 | 9 | 3 | 1 | 10 | 59:61 | 22 |
| ედმონტონი | 21 | 6 | 6 | 3 | 9 | 53:54 | 21 |
| კალგარი | 22 | 8 | 2 | 0 | 12 | 52:71 | 18 |

**წყნარი ოკეანე**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლოს ანჯელესი | 24 | 13 | 4 | 1 | 7 | 78:63 | 31 |
| სან ხოსე | 26 | 13 | 3 | 2 | 10 | 76:63 | 31 |
| ფინიქსი | 22 | 13 | 3 | 0 | 6 | 68:54 | 29 |
| ანაჰაიმი | 23 | 10 | 2 | 1 | 11 | 58:55 | 23 |
| დალასი | 22 | 9 | 3 | 1 | 10 | 46:50 | 22 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ გრაფაში კი ჩატარებული თამაშების რაოდენობაა მოყვანილი*

*ცნობილია, რომ სპორტის მოყვარულთ შეჯიბრებებთან უშუალოდ დაკავშირებულ ციფრებსა და ფაქტებზე არანაკლებ მოთამაშეთა ჯამაგირებიც აინტერესებთ. მით უმეტეს, თუ საქმე ჩრდილო-ამერიკის პროფესიულ სპორტის სახეობებზე მიდგება. მართალია, კონტრაქტის გაფორმების დროს ზუსტ ციფრებს არავინ ასახელებს და ამ თემაზე შეკითხვაც ცუდ ტონად ითვლება, ჟურნალისტებს მაინც რა დაემალებათ. ჰოდა, აშშ-ის საინფორმაციო სააგენტოს თანამშრომლებიც ადგნენ, ნჰლ-ში მოასპარეზე ყველა ჰოკეისტის გასამრჯელო ბოლო ცენტამდე დაითვალეს და ინტერნეტის საშუალებით გაავრცელეს.*

*გთავაზობთ ყველაზე საინტერესო მონაცემებს:*

# ვინ რა ღირს?
## ყველაზე ძვირადღირებული ოცეული

იარომირ იაგრი (პიტსბურგი) 10,36; პოლ კარია (ანაჰაიმი) 10; პეტერ ფორსბერგი (კოლორადო) 9; ერიკ ლინდროსი (ფილადელფია) და ტეო ფლერი (რეინჯერსი) 8,5; პაველ ბურე (ფლორიდა) 8; პატრიკ რუა (კოლორადო) 7,5; მატს სუნდინი (ტორონტო) და დომინიკ ჰაშეკი (ბუფალო) 7; ბრაიან ლიჩი 6,68; მაიკ რიხტერი (ორივე რეინჯერსი) 6,5; კერტის ჯოზეფი (ტორონტო) 6,15; მარკ მესიე (ვანკუვერი), დუგ გილმორი (ჩიკაგო), მაიკ მოდანო (დალასი), სტივ აიზერმანი, ნიკლას ლიდსტრიომი (ორივე დეტროიტი), ვალერი კამენსკი (რეინჯერსი) და რეი ბურკი (ბოსტონი) 6; ბრეტ ჰალი (დალასი) 5,5.

რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. ყველაზე ცნობილ და გავლენიან ჰოკეისტებს განსაკუთრებული ანაზღაურება აქვთ. იაგრის, კარიას, ფორსბერგის ამ სიაში ლიდერობა რა გასაკვირია. სხვათა შორის, ოცეულში თავდამსხმელები სჭარბობენ (სულ — 13), თუმც არც მეკარეები (4) და მცველები ცხოვრობენ ღარიბად.

3 მილიონზე მეტს ერთბაშად 14 მცველი იჯიბავს: ლიჩი 6,68; ლიდსტრიომი და ბურკი 6; რობ ბლეიკი (ლოს ანჯელესი) 5,27; სკოტ სტივენსი (ნიუ ჯერსი) 4,15; სანდის ოზოლინში (კოლორადო) 4; დერიან ჰეჩერი (დალასი) 3,8; კრის ჩელიოსი (დეტროიტი) 3,73; ურკი ლაუმე (ფინიქსი) 3,4; სკოტ ნიდერმაიერი (ნიუ ჯერსი) 3,25; ადამ ფუტი (კოლორადო) და კევინ ჰეჩერი (რეინჯერსი) 3,1; რობერტ შვეჰლა (ფლორიდა) 3.

მეკარეთა შორის 8 ლიდერი კი 4 მილიონ დოლარზე მეტს იღებს:

რუა 7,5; ჰაშეკი 7; რიხტერი 6,5; ჯოზეფი 6,15; გი ებერი (ანაჰაიმი) 4,5; მაიკ ვერნონი (სან ხოსე) 4,38; ჯონ ვანბისბრუკი (ფილადელფია) 4,29; მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი) 4,13.

იქნებ ვინმეს გაუკვირდეს, სიაში კოლორადოელ ჯო საკიკს და სერგეი ფიოდოროვს რომ ვერ ნახავს. ისინი 2 მილიონს სჯერდებიან. მაგრამ მათ, კონტრაქტის პირობებით, უმეტესი თანხა პირველივე სეზონში მიიღეს (შესაბამისად 17 და 28 (!) მილიონი).

ჰოკეისტთა ჯამაგირი ბევრადაა დამოკიდებული კლუბების ამჟამინდელ ფინანსურ მდგომარეობაზე. მაგალითად, ბოლო ორი წლის დებიუტანტების — ატლანტასა და ნეშვილის ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშეები — მეკარე დამიენ როუდსი და ფორვარდი კლიფ რონინგი სულ 1,9 და 1,75-ს იღებენ. ყველაზე მცირე გასამრჯელო კი სანხოსელ დეივ ლოურის და ვაშინგტონელ სტივ ჰოუპსტს აქვთ — მხოლოდ 150 ათასი დოლარი.

ბოლოს, გაფიცულ ალექსეი იაშინზე ვთქვათ. ალექსეი, ერთი მხრივ, მართალია — მისი დონის ჰოკეისტი სულ ცოტა 6-7 მილიონ დოლარად მაინც ფასობს, მაგრამ, მეორე მხრივ, სხვა მაგალითებიც ხომ არსებობს. ანაჰაიმელი ტეემუ სელიანე (5,45 მილიონი) თანაკლუბელ პოლ კარიაზე გაცილებით ნაკლებს იღებს, არადა, მას არაფერში ჩამოუვარდება, ლიგის საუკეთესო ძალისმიერი ფორვარდის, ჯონ ლეკლერის ხელფასიც (3,97) ოდნავ მეტია იაშინისაზე. თუმცა ეს უკვე სხვა ისტორიაა.

## გერმანია

XIII ტური

ულმი 1:1 შალკე

1:0 სანდი (45 ს.კ.), 1:1 სანდი (76)

ფრაიბურგი 0:2 შტუტგარტი

0:1 ლისტეში (20), 0:2 დანდი (76)

მეორე ბუნდესლიგა

XIII ტური

კიოლნი 3:1 ჰანოვერი

კოტბუსი 4:1 ალემანია

კიკერსი 3:4 მაინცი

## ინგლისი

I დივიზიონი

XXI ტური

უოლსოლი 1:3 ფულემი

## ავსტრია

XXII ტური

ლუსტენაუ — ტიროლი

გადაიდო

## ჰოლანდია

XIV ტური

ჰერენვენი 4:1 კამბური

## ჩეხეთი

XV ტური

ზიგმა 1:1 ბუდეიოვიცე

## თურქეთი

X ტური

ანკარაგიუჯიუ 2:3 ბეშიქთაში

## იტალია

სერია B. XIII ტური

ატალანტა 1:0 ჯენოა

## ბელგია

XV ტური

ბრიუგე 1:0 ლიერსი

## პორტუგალია

XII ტური

მარიტიმუ 0:0 ბელენენსეში



## დევისის მოლოდინში

დეკემბრის დამდეგს დევისის თასის ფრანგთა ნაკრები ნიცაში უმასპინძლებს ავსტრალიელებს. ფრანგები ვარჯიშობენ, თუმც ჩვეულ ოხუნჯობასაც არ ივიწყებენ. ზოგჯერ მასაჟიც კი ხუმრობის საბაბი ხდება. ნიკოლა ესკუდე (მარცხნივ) და სედრიკ პიოლინი გუნდის მეკუთნეს, პიერ დელორმს ელაბუცებიან.

## ჯორდები რომში



REUTERS რომიდან

რომს ჩასულან და გვარიანად უღრიალიათ „ნიუკასლ იუნაიტედის" ფანებს. კაჭკაჭთა გუნდი „რომას" ხვდებოდა და გვარიანადაც იბრძოლა, თუმც ერთი გოლი მაინც გაუშვა. ჯორდი ფანობა კი მაინც არ დადუმებულა. არ დადუმებულა და არც შესცივნია...



REUTERS სინგაპურიდან

## ანშლაგი, ანშლაგი

ცირკშიც გაერევა ხოლმე სპორტი. ანუ ცირკი აკრობატთა გარეშე არ არსებობს. სინგაპურში ანშლაგებით მიდის კანადური „სალტიმბანკო შოუ" — ექსტრავაგანტური საკრობატო წარმოდგენა, რომელშიც 13 ქვეყნის 53 აკრობატი მონაწილეობს.



## მადლიერების ინდაურები

„პონტიაკში", იქაურ „სილვერდოუმზე" დეტროიტელი „ლომები" ჩიკაგოელ „დათვებს" ხვდებიან. პირველთა ქომაგებს ჯერი ზეკსა და ემი კრუზს ინდაურა ქუდები მოურგიათ თავზე. რატომ? სად ლომი და დათვი და სად მეფე ერეკლეო. იმიტომ რომ 25 ნოემბერია, მადლიერების დღე. ამერიკელთა ყველაზე ამერიკული დღე. ამ დღეს კი შემწვარი ინდაური მთავარია ოჯახურ სუფრაზე

# მე ვზივარ ნავში და მივდივარ...




REUTERS ოკლენდიდან

ახალი ზელანდიის პოლიციას ორი რუსი, ბორის ბაინოვი და რენატე პავლენკო დაუჭერია. ეს წყვილი ტონგაზე ნავში ჩამსხდარა, ზელანდიის ნაპირებისკენ გამოუცურავს ბარე ათასი საზღვაო მილი, რათა ამერიკის თასის იახტების რეისისთვის ედევნებინა თვალი. რუსებს დასავლეთ ოკლენდის ყურესთან ნავი მიუყენებიათ და ნაპირზე გადმოსულან, სადაც წამსვე დაუკავებიათ პოლიციელებს, ვიზები არა გაქვთო. რის ვიზა? ჩვენ თუ გვკითხავთ, ესენი ნამდვილი გმირები არიან — წყნარ ოკეანეში უბრალო ნავით, სამი წლის წინათ შესცურეს ვლადივოსტოკის ნავსადგურიდან და იმის შემდეგ აოცებენ შეხვედრილ გემებსა და იახტებს. უკვე ხუთი თითივით იციან იმ თვალუწვდენელი ზღვის სამყაროს ალაგები. ერთი სიტყვით, ნავში და წყნარ ოკეანეში...



REUTERS ოკლენდიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზურაბ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli